**„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი"** გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№6 (222)
ივნისი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეცხრამეტე წელი | "LITERATURULI MESKHETI" | "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"


# ჟამი ავზნეობისა და წამება შალვა ახალციხელისა და ათთა-ბევრთა (ასი ათას) ქართველთა

საქართველომ, – ახლო აღმოსავლეთის სახელგანთქმულმა და უძლიერესმა სახელმწიფომ, რომელიც XI-XII საუკუნეებში უპირველეს ბურჯად ედგა ქრისტიანულ სამყაროს, XIII საუკუნის დასაწყისში ყველაზე ტრაგიკულად განიცადა ჯერ ხვარაზმელთა, ხოლო შემდეგ მონღოლთა შემოსევები... წინა ეპოქების დამპყრობლებისაგან განსხვავებით თათარ-მონღოლები გამოირჩეოდნენ მანამდე არნახული და არგაგონილი დესპოტიზმით...

მონღოლთა ლაშქარი, რომელიც შეიარაღებული იყო იმ დროისათვის სათანადო (ძირითადად ჩინური) საჭურველით, დედაბუდიანად, ცხენზე ამხედრებული, მსოფლიო ბატონობის პრეტენზიით აღმოსავლეთიდან დაიძრა და დაიპყრო იმდროინდელი სამყარო. ისინი ერთნაირად ანადგურებდნენ ყველას და ყველაფერს. მათი დაუნდობლობა, ბარბაროსობა, იქამდე მივიდა, რომ დედებს მკერდიდან გლეჯდნენ ბავშვებს და მათ თვალწინ ქვებზე ახეთქებდნენ, ხოლო ორსულ ქალებს მუცელს უფატრავდნენ...

ქართული და სხვა ხალხთა წერილობითი წყაროები, დამპყრობთა ასეთ ველურ თარეშს ადარებდნენ იმ საშინელებებს, რაც თავს დაატეხა ბაბილონის ცნობილმა მეფემ ნაბუქოდონოსორმა ძვ.წ. აღ.-ით VI საუკუნეში ებრაელებს, როცა ამოჟლიტა ისინი, მიწასთან გაასწორა ქალაქი იერუსალიმი და მისი ქუჩები გუთნით გადახნა, ნიშნად ქვეყნის ძირფესვიანი აღმოფხვრისა (ებრაელთა შემოხიზვნაც საქართველოში ამ ტრაგედიასთანაა დაკავშირებული).

**– შეიძლება ითქვას,** – გადმოგვცემს XIII საუკუნის პირველი მესამედის არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი (ატირი), **– რომ მას შემდეგ რაც ევა და ადამი გააჩინა ღმერთმა, ხალხს არ დასდგომია ისეთი დღე, რაც მოიმოქმედეს მონღოლებმა, რომ შედარებაც არ შეიძლება იერუსალიმის დანგრევასა და იზრაელთა გაწყვეტასთან, რაც ჩაიდინეს ამ დაწყევლილმა თათრებმა დაპყრობილი ქალაქების მიმართ** *(უფრო ვრცლად იხ. „ვიპისკი იზ იბნ-ელ-ატირა,* ო პერვომ ნაშესტვიი ტატარა", უჩენია ზაპისკი იმპერატორსკოი აკადემიი ნაუკ. ტ. 2 გამოცემა 4, სანკ. პეტერბურგი, 1854 წ. გვ. 636-668*)*.

მონღოლები, როცა ქალაქს იღებდნენ, აღწერის საბაბით, მოსახლეობას ქალაქგარეთ გარეკავდნენ, თუ ვინმე დარჩებოდა, იმას იქვე სპობდნენ, ძარცვა-განადგურების შემდეგ კი, გახიზნულებს, თითქმის მთლიანად, სპობდნენ, ხოლო ნაქალაქარს საძოვრებად აქცევდნენ...

ციმბირისა და ჩინეთის დაპყრობის შემდეგ, მონღოლთა მორიგი მსხვერპლი შეიქმნა შუა აზიის ხვარაზმთა დიდი სამეფო, რომელსაც, ხვარაზმშაჰი მუჰამედი ედგა სათავეში. **ხვარაზმელები დამარცხდნენ და თავის სამფლობელოდან უკუიქცნენ. კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე თავშეფარებული მუჰამედი იქვე გარდაიცვალა. მამის სიკვდილის შემდეგ მუსლიმანური სამყაროს მონღოლთაგან გადარჩენის მისია ხელში აიღო ჯალელ-ედ-დინმა** (1220-1231). აკად. ივ.ჯავახიშვილის თქმით, მან თავისი თავი გამოაცხადა *„ყველა მაჰმადიანის მფარველად"* და მიზნად დაისახა მონღოლებთან საბრძოლველად აზერბაიჯანის, ირანის, სომხეთის, საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა სამთავროების დაპყრობის ხარჯზე ახალი სახელმწიფოს შექმნა. იმის მაგივრად, რომ მოლაპარაკების გზით გაეერთიანებინა ეს ქვეყნები საერთო მტრის წინააღმდეგ, მან ცეცხლითა და მახვილით განადგურებამდე მიიყვანა არაერთი სამეფო. თავისი უგუნური პოლიტიკით მოინდომა, ერთი დაკვრით ირანიც აღედგინა და მისთვის შემოეერთებინა დაპყრობილი ქვეყნებიც. ფაქტიურად კი, მან თავისი უჭკუო ქმედებით, აიმხედრა ყველა ქვეყანა და აქტიური დახმარება გაუწია მონღოლებს, შემდგომში, თითქმის უბრძოლველად, დაეპყროთ ახლო აღმოსავლეთი...



**ვალერი გოგნაძე**

## შავლეგო

*ქართველთა ეროვნული გმირის, წმინდა მოწამის – შალვა ახალციხელის ხსოვნას*

**სამშობლოს ბჭენი, შეკრული რვალით,**
**ციხის ქონგური, მჭვრეტელი ქორებრ,**
**მუდამ გზებისკენ მზირალი თვალი,**
**რომ არ მოდუნდეს სიფხიზლე, თორემ ...**

**კვლავ ჩამორეკავს მიმწუხრის ზარი**
**და გლოვის სანთლებს აგვანთებინებს,**
**დარჩება ოქროს ბაღი და ზვარი**
**ათას ურჯუკს და ჯალალედინებს.**

**ვაჟკაცის ხელში ხრმალს,**
**ელვის მთოვარს,**
**სურს, რომ დუშმანი ერთპირ წალეკოს,**
**შავი მერანი კვლავ მიწას ტორავს**
**და ჰორიზონტებს ზვერავს შავლეგო.**

მუსლიმანური სამყაროს თვითმარქვია მხსნელმა თავისი მახვილით კატასტროფამდე მიიყვანა საქართველო, მოინდომა ქრისტესმმოსავ ქართველთა მთლიანი განადგურება.

სანამ საქართველოზე გამოილაშქრებდა, ჯალალ-ედ-დინმა წერილით მიმართა მახლობელი აღმოსავლეთის ყველა მუსლიმანურ სამფლობელოებს, დახმარებოდნენ მაჰმადიანთა დაუძინებელი მტრის – საქართველოს მოსპობის საქმეში. **დადგა დრო,** – სწერდა იგი, **– როცა საქართველო დარწმუნდება, რომ მის ძალმომრეობას ბოლო მოეღება და ყველა მაჰმადიანი ქრისტიან ქართველთა მომძლავრებისაგან განთავისუფლდება, რომ ქრისტიანობის განადგურების გარდა მიზნად მე არაფერი მაქვს დასახული და როცა საქართველოს ცეცხლსა და სისხლს შთავანთქმევინებ, დანარჩენ მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიან ურთიერთობას დავამყარებო** *(ივ.ჯავახიშვილი, ტ.3, თბ. 1982 წ. გვ. 9-10)*.

ჯალალ ედ-დინმა საქართველოსაც გამოუგზავნა ულტიმატუმი, რომლითაც მოითხოვდა ნებაყოფლობით დამორჩილებას. საქართველოს მაშინდელმა მესვეურებმა, რომლებსაც კვლავ დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელი უძლეველი ქვეყნის ბატონ-პატრონად მიაჩნდათ თავი, როდის გაითვალისწინეს შექმნილი საერთაშორისო ვითარება და, შესაბამისი ღონისძიებების მიღების მაგიერ, ჯალალ-ედ-დინს ყოვლად მედიდური და შეურაცხმყოფელი პასუხი გაუგზავნეს: მამაშენი შენზე ძლიერი იყო და რაც მას მონღოლებისაგან დაემართა, შენც კარგად იცი. იგივე მონღოლები ჩვენც შეგვებრძოლენ, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიესო (ასე აფასებდნენ ქართველები მონღოლთა პირველ გამოჩენას საქართველოში და მათი ჩრდილოეთის გზით სამშობლოში დაბრუნებას).

ქართველთა ასეთი უდარდელობა ხელს აძლევდა ჯალალ-ედ-დინს. მან არც დააყოვნა და საქართველოს სამფლობელოებისაკენ დაიძრა. მოუსმინოთ ჟამთააღმწერელს:

*„და ესე ხვარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ლაშა გიორგის მიცვალებითგან. მოაოხრეს ქვეყანა დვინისა. ეს ამბავი ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა შეატყობინეს მეფე რუსუდანსო* – მოახსენეს მოსვლა ხუარაზმელთა და თვით დიდისა სულთანისა ჯალალ-ედ-დინისა ხოცად და მოსვრად ქრისტიანთა. *ესრედ უწყალოდ მოსვრიდეს, რომელ არცა თუ დედათა და ჩვილთა ყრმათა რიდობდეს"*. მაშინ რუსუდანმა მოუწოდა „იმერთა და ამერთა". მხედართუფროსობა დაავალა ივანე ათაბაგს, – *„განაჩინა მეფემ რუსუდან სპათა მისთა თავად, და უბოძა დროშა სვიანი, და წარავლინა ბრძოლად სულთთასა"*, ივანე ათაბაგმა განაწყო მეფის ჯარი იმერნი და ამერნი, მხედართმთავრად დანიშნა „თორელნი და ძმანიცა იგი ორნი ახალციხელნი, შალვა და ივანე სახელოვანნი იგი მბრძოლნი".

მიუხედავად მესხთა გმირული ბრძოლებისა, მათ ვერაფერი გააწყეს სულთნის მრავალრიცხოვან ჯართან. **„და იქმნეს ძლიერნი ომნი".** დიდი იყო მსხვერპლი. შალვა და ივანე ახალციხელებმა სამგზის შველა სთხოვეს ივანე ათაბაგს, მაგრამ უცნაური და უგუნური შურისძიების გამო, თუ სხვა მიზეზით, ყურთ არ იღო მათი თხოვნა, – *„არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა, ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და მათ თანა მრავალთა სახელოვანთა, არამედ დგეს შორით და არა ინება შველა ივანე ათაბაგმან, რომელთა შურითა იტყვიან ამას ყოფად და არა თუ შიშითა"*. ომში ორივე ძმებს „ახალციხელებს დაუხოცეს ცხენნი, და ქუეითნი მხნედ იბრძოდეს. და მოისრნეს ორგნითვე ურიცხუნი, და უმეტეს თორელნი. და ვითარ შენივთდა ძლიერად ომი, ხრმალნიცა ახალციხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზედა... უწყალოდ დამარცხდნენ ქართველები. ტყვედ შეიპყრეს თამარ მეფის სახელოვანი სარდალი, არა ერთი ომის გმირი შალვა ახალციხელი და დაჭრილი მიჰგვარეს ჯალალ-ედ-დინს, ხოლო ძმა მისი, ასევე ლეგენდარული მხედართმთავარი ივანე „გარნისისა კლდეთა შელტოვილი" მოიკლა „ზენაკერძო მოტევებულითა ქვითა". ამ საშინელ და თავზარდამცემ ომში დაიღუპა დიდძალი ხალხი, რომ არაფერი ვთქვათ ტყვედ ჩავარდნილებზე (თურმე ქართველ ტყვეთა სიმრავლე იმდენი ყოფილა, რომ თითო ქართველი 2-3 დინარად იყიდებოდა).

როდესაც შალვა ახალციხელი მიიყვანეს სულთანთან, მან ეს სახელოვანი რაინდი შეინდო და პატივისცემის ნიშნად *„მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგანისანი"*. ასეთი პატივით, ალბათ, ჯალალ-ედ-დინი ფიქრობდა მის გადაბირებას და საქართველოს დაპყრობაში გამოყენებას (აკი მიუთითებს კიდეც სპარსი ისტორიკოსი ჯუვეინი, თითქოს ჯალალ-ედ-დინს თავისი ლაშქრისთვის საქართველოს დასაპყრობად თან გაეყოლებიოს შალვა ახალციხელი და გზაზე, როცა მისი ღალატი შეიტყო, – ქართველი მეფისადმი მიწერილი საიდუმლო წერილით, გამოსავლის ძებნას შეუდგა.

ქართველი მემატიანის გადმოცემით, ჯალალ-ედ-დინი ერთი წლის განმავლობაში შალვა ახალციხელს *„აიძულებდა დატევებასა სჯულისასა და უქადაგებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა. ხოლო მან არა უსმინა, არცა* აღირჩია წუთ ჟამისა ამის პატივი, არცა უარყო სახელი ქრისტესი. კუალად სულთანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა, არამედ იგი გარემოაქცევდა სიტყუათა მისთა. კუალად სულთანი, ქადოდა მრავალფერითა სატანჯველითა და აშინებდა, არამედ იგი მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა. ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მწარითა სიკვდილი-

დასასრული მე-10 გვ. ▶

# რუსთაველის დღე ახალციხეში

უკვდავები არიან გენიოსები. რაც უფრო მეტი დრო და ხანი გადის, მათი სახელები მსოფლიო უკიდეგანო სივრცეებს უფრო მასშტაბურად წვდებიან და თითოეული საღად მოაზროვნე ადამიანის საკუთრებად იქცევიან. ნებისმიერ სახელმწიფოს, რაც არ უნდა ინტეგრაციაში შევიდეს სხვა ქვეყნებთან, თავისი საზღვრები მაინც აქვს, რაც მისი სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ატრიბუტია, მაგრამ დიდი ადამიანები – გენიოსები, საზღვრების გარეშე, ყველას საკუთრება ხდებიან, მსოფლიო ადამიანებად იქცევიან, როგორც მათი სისხლხორცეული ნაწილები.

შოთა რუსთაველი არა მარტო ჩვენი – ქართველების, არამედ მსოფლიო საკუთრებაა, რომლის სახელიც დიდი ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს და ზოგადსაკაცობრიო იდეებით ხალხთა შორის მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.

ჯერ კიდევ გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის 800 წლის საიუბილეო დღეებში, დიდი ბრიტანეთიდან ავსტრალიამდე, იაპონიიდან არგენტინამდე, მისმა



სახელმა მეტეორივით გაიელვა და გრანდიოზულმა, დამაგვირგვინებელმა, საიუბილეო დღეებმა განუსაზღვრელი მასშტაბები შეიძინა, რომლის მსგავსი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

თუმცა, სამწუხაროდ, რუსთაველის 850 წლის საიუბილეო ღონისძიებებმა, მთელი საქართველოც კი ვერ მოიცვა და, აქა-იქ, კანტიკუნტად, აღინიშნა იგი და, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელიდან გავუშვით უდიდესი შანსი, – თანამედროვე მსოფლიოსთვის კიდევ ერთხელ შეგვეხსენებინა „რუსთაველის ქვეყანა“ – თუ ვისი გორისანი ვართ, ჩვენ, ქართველები.

რუსთაველის ტოლი და სწორი კი არა, ათი თავით დაბლა რომ დგანან მის სიდიადესთან, თანამედროვე მსოფლიოს დიდი ქვეყნები თავიანთ მწერლებს ისე წარმოაჩენენ, თითქოს მათი დარი არც არავინ არ ყოფილა, ჩვენ კი, ალბათ, ჩვენი „პატარა ქვეყნის“ გამოისობით, ჩვენივე უსუსურობით, ვერა და ვერ შევძელით აგვეხსნა მსოფლიოსთვის რუსთაველის გენიალურობა, მისი სიბრძნის სიდიადე და განუმეორებლობა. „ლეკვი ლომისა სწორია“ – ეს თეზა ხომ ქართველებისთვის არახლია და ბნელეთით მოსილ შუასაუკუნეების ეპოქაში, რუსთაველმა, პირველმა მსოფლიოში, წინა პლანზე წამოსწია ქალის როლი სახელმწიფო მართვის საქმეში...

ევროპამაც უნდა იცოდეს და ამერიკამაც, რომ ქართველებს მსოფლიო ცივილიზაციაში არანაკლები წილი გვიძევს!..

კარგია, რომ დაწესდა „რუსთაველის დღე“, თუმცა, მეტი მხარდაჭერა ჭირდება „პოეზიის სახალხო დღესასწაულს – შოთაობასაც“, რომელიც 50 წელზე მეტია ტრადიციულად იმართება. სამწუხაროდ, რა მხარდაჭერაზეა საუბარი, როდესაც „ქამრების შემოჭერის წყალობით“, ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას ამ ღონისძიების ჩატარებისათვის ისედაც მწირი ბიუჯეტი კატასტროფულად შეუმცირეს.

თუ „რუსთაველის დღე“ დავაწესეთ და ერთსულოვნად გამოვხატავთ პატივისცემასა და მოკრძალებას უდიდესი ქართველის მიმართ, მისდამი მიძღვნილი ტრადიციული ღონისძიებებიც, შესაბამისად, მაღალ დონეზე უნდა აღინიშნებოდეს, თუ არა, გავა ცოტა ხანი და დღეს დაწესებული „რუსთაველის დღეც“ დაკარგავს თავის მნიშვნელობას.

თუ საქართველო რუსთაველია და რუსთაველი საქართველო – ჩვენც, ყოველდღიურად, რუსთაველით უნდა ვცხოვრობდეთ, რუსთაველი თითოეულ ჩვენთაგანში უნდა იყოს გამჯდარი, ვითარცა სული ჩვენი არსებობისა.

*

15 მაისს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პროექტის – „მრავალეროვანი საქართველოს“ – ფარგლებში (ხელმძღვანელი **ალექსანდრე გრიგალაშვილი**) ქალაქ ახალციხეში – რაბათის ციხეზე, რუსთაველის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა, რომელიც კულტურის მინისტრმა **მიხეილ გიორგაძემ** გახსნა.

„რუსთაველის დღის“ მნიშვნელობაზე ისაუბრეს მინისტრის მოადგილემ **მანანა ბერიკაშვილმა**, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა **აკაკი მაჭუტაძემ** და ქალაქ ახალციხის მერმა **ვლადიმერ ზედგინიძემ**.

სამეცნიერო სემინარზე – *„რუსთაველი და მსოფლიო ლიტერატურა“* – მოხსენებებით გამოვიდნენ შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი **ირმა რატიანი**, დირექტორის მოადგილე **მაკა ელბაქიძე**, რუსთველოლოგიის განყოფილების გამგე **ივანე ამირხანაშვილი** და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი **მერაბ ბერიძე**.

მოწვეული სტუმრები გაეცნენ ადგილობრივ ხელოვანთა შემოქმედებას, რომლებზეც განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა აწ განსვენებული თვითნასწავლი მხატვრის **მიხეილ იაძის** რუსთაველის თემატიკისადმი მიძღვნილმა ნახატებმა. ასევე წარმოდგენილი იქნა ახალციხის სამხატვრო სკოლისა და სხვა ავტორთა ნამუშევრებიც, ხოლო კულტურის სამინისტრომ, თავის მხრივ, უზრუნველყო ცნობილი თანამედროვე ქართველი მხატვრის **ქეთი მატაბელის** ნახატების გამოფენის მოწყობა.

ასევე გაიმართა ახალციხელი პუბლიცისტისა და მკვლევარის ვაჟა სამსონიძის წიგნის – „მესხურის რეალიები ვეფხისტყაოსანში“ – წარდგინება, რომელიც შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს მიეძღვნა.

საინტერესოა, რომ კულტურის სამინისტროს ინიციატივით ახალციხიდან დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი წიგნის შექმნა *(მხატვარი ქეთი მატაბელი)* და ყველა მსურველს მიეცა შესაძლებლობა „ვეფხისტყაოსნის“ თითო სტროფი ჩაეწერა ამ ხელნაწერ წიგნში.

მოწვეულ სტუმრებს გულითადი მასპინძლობა გაუწია მუზეუმის მთელმა კოლექტივმა – მათ დაათვალიერეს მუზეუმის როგორც ძველი, ასევე ახალი ექსპოზიცია.

„რუსთაველის დღისადმი“ მიძღვნილმა ღონისძიებამ გვიანობამდე გასტანა და მესხეთის სახელმწიფო თეატრში ცნობილი მომღერლის **ნეკა სებისკვერაძის** კონცერტით დასრულდა, რომელსაც წინ უსწრებდა „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვა, სადაც მაყურებლის წინაშე წარსდგა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირადმცოდნე **თეიმურაზ ხუციშვილი**.

*ავთანდილ ბერიძე*

# ფიქრის გორგალი

## ქუქუნა ცენგირაშვილი

ზის სავარძელში დაუძლურებული ქალი და შლის ფიქრის გორგალს... იცის, ოცნებები აღარ აუხდება. ახლა მხოლოდ ფიქრი და წარსულის გახსენება ამშვიდებს. მოგონებები ალამაზებენ მის ცხოვრებას. აი, ახლაც, თითქოს კინოკადრივით მეორდება წარსული...

მწვანეთვალება, ცხვირდაჭორფლილი პატარა გოგონა, ქერა ნაწნავები რომ გადაყრია ზურგზე, შვლის ნუკრივით მიკუნტრუშებს სოფლის შარაზე. უკან მაშო ბებო მისდევს ჯოხის კაკუნით, სწორედ ისე, როგორც ახლა თვითონ დადის... სოფლის საბჭოში საშვს აიღებენ და, მერე... ჰერი! – გაუდგებიან მესხეთისკენ მიმავალ გზას... უყვართ ადიგენი, სოფელ მოხეში დეიდა ცხოვრობს. ისიც, სამ ქალიშვილთან ერთად, მოლოდინით უმზერს გზას... მთელი სოფლის გულშემატკივარია გოგონას დეიდა, სოფლის ამბულატორიაში მუშაობს, ექიმიც ისაა და ექთანიც! რამდენჯერ შემოუსვამს იგი ცხენზე და წაუყოლებია ავადმყოფთან...

დეიდისკენ მიმავალი გზა გრძელი და დამღლელია...

მაშო ბაბო და გოგონა დასხდებიან საბარგო ავტომობილში, მაშო შავ ,,ბუხანკას" ჩაუდებს კალთაში – გული არ აგერიოს, ისუნთქეო... ახალციხეში შეისვენებენ, მერე ბებო კაბას გამოუცვლის, ორნამენტებიან მძივს კისერზე ჩამოკიდებს და ასე ,,განახლებულს'' გაუყენებს ადიგენისკენ მიმავალ გზას...

დეიდა ხელგაშლილი გამოეგებება. მათ დანახვაზე გამოეფინება რაჭველებით დასახლებული მთელი სოფელი ქართლელი სტუმრების შესაგებებლად, რადგან სტუმარი მათიცაა... მეტიჩარა გოგონას ათამამებენ, აცეკვებენ და ამღერებენ... ბედნიერებით სავსეა.... ვის ,,კუკური კევი" მოაქვს, ვის ბალახის ღერზე ასხმული მარწყვი...

როგორ გაფრინდა დრო!.. ახლა იქ აღარც დეიდაა, აღარც სხვა, ვინმე ახლობელი... მონატრება დიდია, უსაშველო... ნეტავ ერთხელ კიდევ გაატარა ის გზა, ერთხელ კიდევ დაადგმევინა უძლური ფეხი იმ მიწაზე, სადაც მისი ლამაზი ბავშვობა და დეიდის ჯვარდასმული საფლავი დარჩა...

# ირინა

## ბესიკ კეკელიძე

ქალებთან საუბრის შემდეგ ირინა ისეთი განერვიულებული და გრძნობებაშლილი შევიდა სახლში, რომ სამზარეულოში საგულე წვეთები მონახა, ოცდაათ წვეთს ნახევარი ჭიქა წყალი დაასხა და დალია. კატაბალახას გემოსაგან დაიჯღანა, სკამი გამოიწია და ჩამოჯდა. თითქოს მის გრძნობას, მის სიყვარულს დასცინეს, გადაუარეს და ჩაწიხლეს, საშინლად შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, გათხოვების სურვილი გაუნელდა, სიყვარული დაბეჩავებოდა და სული აფორიაქებოდა. ყურმილი აიღო, ვახოსთან დარეკა:

– ვახო, მე ვარ.

– რა შეწუხებული ხმა გაქვს, მოხდა რამე?

– სასწრაფოდ შენი ნახვა მინდა, – ისეთმა სულდარდიანმა ჩაილაპარაკა, რომ მამაკაცი შეცბა.

– ხომ მშვიდობაა? – გაისმა ყურმილის იქიდან.

– არა, უბრალოდ, შენი ნახვა მომინდა და მსურს შეგხვდე.

– სახლში ხარ?

– კი.

– მაშინ ვაკის პარკში, ჩვენს სკამთან დაგელოდები. რამდენ ხანში მოხვალ?

– ნახევარ საათში.

– კარგი, მოვილაპარაკეთ, – ყურმილი დაკიდა ვახომ.

ირინა წამოდგა, საძინებელ ოთახში შევიდა და ტანსაცმლის გამოცვლას შეუდგა. მექანიკურად მოქმედებდა. ბინიდან სწრაფად გამოვიდა და სამარშრუტო ტაქსს ვაკის პარკამდე გაჰყვა. ხეებს შორის, ნაცნობი სკამისკენ გასწია, რომელზეც ვახო იჯდა და ელოდა. მამაკაცს სახეზე დაბნეულობა აღბეჭდვოდა, დაძაბულობისაგან სიგარეტს ეწეოდა. ირინას დანახვისთანავე წამოდგა, შეეგება და გადაკოცნა:

– რა სახე გაქვს? – გაკვირვებულმა ჩახედა თვალებში.

– სალაპარაკო მაქვს, – სკამისკენ გასწია ირინამ. ვახოც უკან გაჰყვა, კვლავ სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა.

– ვახო, გიყვარვარ? – თავი დახარა და ისე იკითხა ირინამ.

– რომ არ მიყვარდე, ცოლად შენს მოყვანას დავაპირებდი? მე ერთხელ უკვე დამენგრა ოჯახი და გრძნობა რომ არა, ამას მეორეჯერ არ დავაპირებდი. რა ბუზმა გიკბინა, რა მოგივიდა? – მამაკაცი ვერ გარკვეულიყო, რამ გამოიწვია საცოლის ასეთი მდგომარეობა.

– ახლახან გათხოვილ ქალებს მოვუსმინე და გაოგნებული ვარ მათი ოჯახური სიტუაციით. ცოლები ცალკე ცხოვრობენ, სულ სხვა ინტერესი გააჩნიათ, ქმრები – ცალკე, ერთ ჭერქვეშ, ფორმალურად არსებობენ, ურთიერთობაც მოჩვენებითი აქვთ, მათ ოჯახს ხალხის თვალში ოჯახი ჰქვია, თორემ, სინამდვილეში, ძველი ეკლესიის ნანგრევებს უფრო ჰგვანან, ვიდრე ლამაზ, წელში გამართულ ტაძარს, რომელსაც ოჯახი ჰქვია. თუ ჩვენი მომავალი ურთიერთობა ასეთი იქნება, მე უარს ვამბობ გათხოვებაზე. შეუღლება იმიტომ მინდა, რომ ჩვენ ერთმანეთი ნამდვილად გვიყვარდეს და თუ ეს გრძნობა მოჩვენებითია, მაშინ ასეთი ოჯახი არ მსურს, რომ მქონდეს.

– ირინა, მე მგონი, ბავშვები აღარ ვართ. მე შენს მიმართ წრფელი გრძნობით ვარ განმსჭვალული. თანაც, ვიცი, რა მინდა, როგორი ოჯახი მინდა მყავდეს. იცი, ყალბი ოჯახური ურთიერთობა უკვე გავიარე და ამას მეორეჯერ აღარ დავუშვებ. არც შენ გაგაუბედურებ და არც ჩემ თავს, – სიყვარულით შეჰყურებდა მამაკაცი თავჩაქინდრულ, სახეაწითლებულ ქალს.

– მართალია? – ირინამ თავი ასწია და ვახოს შეხედა.

ვახომ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქნია და გაუღიმა, ხელი კისერზე შემოხვია, ქალი ახლოს მიიზიდა და აკოცა:

– ასეთ დედაკაცებთან რა საერთო გაქვს? – ყურში უჩურჩულა ქალს.

– არაფერი, მათ საუბარს შემთხვევით შევესწარი და კინაღამ გავგიჟდი. ესენი ვინ ყოფილან, არადა, მთელი ცხოვრებაა ვიცნობ და მათი ნამდვილი სახე დღეს დავინახე.

– ახლა, ცუდ ნოტაზე ყოფნა გვეყოფა და, წამოდი, კაფეში გეპატიჟები, – ღიმილით უთხრა ვახომ საცოლეს.

წყვილი წამოდგა და ვაკის პარკის გასასვლელისკენ გაეშურა. ირინა დამშვიდდა, გულის სიღრმეში ნანობდა კიდეც, ვახოს ამ თემაზე რომ დაელაპარაკა. ქალმა საქმროს ხელკავი გაუყარა, ტანზე მიეკრა და სიარული ისე განაგრძეს.

# მევალე

## რობერტ ბერიძე

ჩვენს პატარა ქალაქში ერთი კაცი გარდაიცვალა. დიდებული ქელეხი გადაუხადა შვილმა. რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ კი ორმოცისთვის დაიწყო მზადება.

ერთ დღეს, მოულოდნელად, მამის მევალე მოადგა.

– იცი, ჩემო გიორგი, მამაშენს ჩემი ვალი რომ ემართა?

– როგორ არა, ძია თედო, ვიცი!

– ჰოდა, სასწრაფოდ ფული მჭირდება და დამიბრუნე.

– თუ კაცი ხარ, ცოტა დამაცადე, ორმოცს გადავუხდი და შემდეგ აუცილებლად გავისტუმრებ თქვენს ვალს!

–არაფრის დიდებით, დღესვე უნდა დამიბრუნო ვალი, – არ მოეშვა თედო.

– კაცი არა ხართ, ცოტა მაინც მადროვე, ძია თედო!

– მამაშენს რაც ვადროვე, ისიც კმარა!

წუთით შეყოვნდა ჭირისუფალი.

– ვის ასესხეთ ფული? – ჰკითხა გიორგიმ.

– როგორ თუ ვის? მამაშენს, ხომ გითხარი!

– ჰოდა, თუ მამაჩემს ასესხეთ, მამაჩემმა უნდა დაგიბრუნოს, წესით, ვალი.

– მასეა, მაგრამ, მამაშენი ხომ მკვდარია?

– მკვდარია თუ ცოცხალი, ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

– როგორ თუ არა აქვს, მკვდარიც და ცოცხალიც ხომ მამაშენი იყო!

– ვინ გითხრა, რომ მამაჩემი იყო, მამა კი არა, ჩემი მამინაცვალი გახლდათ, იგი!

– არ გამაგიჟო!

– გინდ გაგიჟდი, გინდ გადაგიჟდი, ასე იყო და...

– დამცინი, კიდეც? ალბათ, ჩემი გასულელება გინდა.

– არ დაგცინი, ძია თედო, ვინ გითხრა, რომ შენი გასულელება მინდა. აგერ, თუ არ გჯერა, დედაჩემს ჰკითხე, რატომ უნდა გადაგიხადოს მამინაცვლის ვალი გერმა?

– რა გერი, რის მამინაცვალი, რას მიედ-მოედები... ეი, ნუცა, მთლად შეიშალა შენი შვილი. თავს გჭრის.

– ვინ, ჩემი გიორგი? – გამოეხმაურა ნუცა. – არაფრის დიდებით ჩემი გიორგი ტყუილს არ იტყვის.

– ვინ იყო, დედი, ჩემთვის, ძია თედო – მამა თუ მამინაცვალი?

– ვინ და მამინაცვალი!

– არა გრცხვენია, ქალო, 16 წლის მოგიყვანეს ამ ოჯახში, როდისღა მოასწარი პირველი ქმრის გამოცვლა.

– როდის და, ცოლად რომ გავყევი, ეს ბიჭი, ჩემი პირველი ქმრისგან მომყვა, აღარ გახსოვს?

– მახსოვრობით ყველაფერი მახსოვს, გიორგის დაბადებაც კარგად მახსოვს, მაგრამ, რასაც შენ ამბობ, ეგ არ მახსოვს.

– შენ ჩვენი ოჯახისთვის მაინც უცხო ხარ, საიდან გეცოდინება ყველაფერი, შენ ისიც არ იცი, მთელი ეს სახლი და კარი, რასაც შენ ახლა ხედავ, ყველაფერი ანდერძით, ამერიკაში რომ ბიჭი მყავს, იმას დაუტოვა ჩემმა უბედურმა ქმარმა. ჩემი გიორგი კი დამიტოვა ცარიელ-ტარიელი. ღმერთო, ვინ მიპატრონებს მე, უბედურს?!

– უყურეთ, ერთი, ამ უნამუსოებს, – რა ამერიკა, რის ანდერძი, რა მამინაცვალი... ჩემი ვალი დამიბრუნეთ!

– მხოლოდ ერთი გზა გაქვს, ვალი რომ დაიბრუნო, ძია თედო.

– უყურე, ერთი, რჩევასაც კი მაძლევს!

– რჩევას კი არა, გზას გასწავლი.

– რა გზას?

– მამაჩემი სად მარხია, ხომ იცი?

– მერე რა, რომ ვიცი?

– ჰოდა, ადი, ჩემი მამინაცვალის საფლავზე და მთელი ხმით ჩასძახე. თუ ხმა არ გაგცა, დაელოდე, სიბერის დროს, ხომ იცი, ვისთან მეგობრობდა, მკვდრეთით აუცილებლად აღდგება და შენს ვალს უთუოდ გადაგიხდის. თუ არა, საიქიოში უსათუოდ შეხვდებით ერთმანეთს და ჩემი მამინაცვალი ისეთი კაცი არ იყო, რომ ვალი არ დაგიბრუნოს!

# დავით იაკობიძე

## ჩემი მხარე

სულ ფეხდაფეხ მოვიარე,
ამ ზაფხულზე ჩემი მხარე,
ვაზი მჭვრეტდა მსხმოიარე,
მისი ხილვით გავიხარე.
მუხლმოყრილი ვემთხვეოდი,
უკვდავ განძად შემონახულ
საქართველოს ციხე-კოშკებს
სვეტიცხოველს, ოშკს
და ხახულს.
მომესალმა ალავერდი,
შუბლშეკრული დამხვდა ლორე,
კახში-ნუხში ვერ ავედი
და ტკივილი გავიორე.
ვერ ვეწვიე ველარც განჯას,–
უქროლია სადაც მერანს,
მე ქედს ვუხრი ტატოს გარჯას,–
იქ დასდევდა ის მტერს, ვერანს.
დღესაც ვტირი
ტაო-კლარჯეთს,–
ჩვენს მშობლიურ ძირძველ
მიწას,
საქართველოს ძლიერების
აკვანი ხომ იქ დაირწა.
სამხრეთული ქარის ქროლვას,
ჩაენაცვლა ჩრდილოეთის,–
დაგვისეტყვა, დაგვიმეწყრა
სამაჩაბლო, აფხაზეთი.
შევნატროდი, კვლავ შევნატრი,
დიდ დავითის ოქროს ხანას,
დაჩეხილო საქართველო,
ვაჟაის შვლის ნუკრის ხმა ვარ!
ძმებო, ერთად! ძმებო, ერთად!–
ერთად, ერთ მუშტად და – ხმალად! –
საქართველოს აყვავებას
დააჩქარებს, ღმერთო, ხანა!

## მესხებს

მეამაყება ჩემი ასპინძა,
ჩემი დიდგორი, ჩემი მარტყოფი,
ბევრ მტერ-მოყვარეს მან უმასპინძლა,
ვწუხვარ, რომ თქვენთან არ ვარ ნამყოფი.
მედგრად იდექით სამშობლოს ფარად,
ურჯულოების სისხლი გიღვრიათ,
მანდ სარეველამ ვერ გაიხარა,
ამაში თქვენი ლომის წილია.
მესხეთის ცაო, ბევრის მნახველო,
შენი დიდება მზისებრ გაბრწყინდა,
ხარ ღირსეული,
ხარ სასახელო,
მეამაყები, როგორც მთაწმინდა.
მანდ დაიბადა მესხი მელექსე,
მისი ლამპარი ჩაუმქრალია,
დღესაც კაშკაშებს ზღვა და ხმელეთზე, –
პოეზიაში ის მწვერვალია.
მესხეთის ცაო, ბევრის მნახველო,
შენი დიდება მზისებრ გაბრწყინდა,
ხარ ღირსეული,
ხარ სასახელო,
მეამაყები, როგორც მთაწმინდა.

***

განსჯას რომ ვიწყებ,
ფიქრი ირევა,
კვლავ იმედებით
ივსება გული,
შენთვის მზის შუქი
არ დაილევა, –
საამაყო გაქვს
დიდი წარსული.
უნდა მიგულო
ანთებულ სანთლად,
შენთვის უძილო
ჭირისუფალი,
მოგემსახურო
მშობელს პირნათლად, –
მეგულებოდე
თავისუფალი.
გაჩენის დღიდან
ებრძოდი ტირანს,
ავი გრიგალი
კალთას გიხევდა,
ხშირად ყოფილხარ
უფსკრულის პირას,
ფესვმაგარ მუხას
ქარი გირხევდა.
შენი სიმტკიცე
მტერსაც ზარავდა,
მრავალ ქარცეცხლში
ქედმოუხრელო,
წმინდა გიორგის
მადლი გფარავდეს, –
სამარადისოდ
რომ იდღეგრძელო.

## ჰიმნი სამშობლოს

სამშობლო ჩემი დედაა,
მრავალ ბრძოლებში ნაწრთობი, –
არ ვარ კურთხეულ მამულის
არცერთი გოჯის დამთმობი.
თავისუფლებას ნატრული,
ლაღი და წელგამართული,
ღმერთო, ახარე, დალოცე,
ღვთიური ენა ქართული!

## დალოცვა

გარინდებული იდგნენ ქუჩები,
დილა გათენდა ყაყაჩოს ფერი,
ხეები იდგნენ, როგორც მუნჯები,
ირეცხებოდა სისხლი და მტვერი.
მომიტინგენი ნიჩბებით ჩეხეს,
თითქოს ნამგლებით კაფავდნენ ჩალას,
ალამაჰმადიც ვერ დაიკვეხნის,
რაც რუსის ჯარმა დამართა ქალაქს.



## ცისკრის ნათება

მწვერვალებიდან
ამოგორდა
ბრიალა მთვარე,
მკრთალი ნათელი
მოეფინა
მთებსა და ჭალებს,
სიოს ჩურჩულზე
აშრიალდა
ტყენი მთვლემარე,
ვარსკვლავთა ხომლი,
მოციმციმე,
ცაზე ელვარებს.
გოლიათურად
გადმოხრილა
წინ მთების ჩრდილი,
თითქოს აღვირი
აუწყვეტავთ
კლდეზე ჩანჩქერებს,
აჰა, სულს ღაფავს
აქ სიბნელე,
ღონემიხდილი,
ცისკრის ნათებას
ვერაფერი
ვერ შეაჩერებს.

## ჩემო თვალის ჩინო

ჩემო თვალის ჩინო,
შთაგონების წყაროვ,
შენ წარმომიჩინე,
ნათლად ეს სამყარო.
სულ სხვა ელფერი აქვს
აქ შენს მზეს და მთვარეს,
სხივი მოჰფენია



ზურმუხტოვან მხარეს.
ცა ფირუზის ფერი, –
ვარსკვლავთ ოკეანე,
უსასრულო, ვრცელი,
მზით შემოვიარე.
გაგიფანტავ ღრუბლებს,
შავად შემოჯარულს,
დახშულ კარს გავაღებ,
მნათობს, ცით მოარულს.
ქარს გავატან ფიქრებს,
გულში სევდად ყოფილს,
ჩრდილივით რომ დამდევს, –
ჩემგან უარყოფილს.
ამ კურთხეულ მიწას,
შევავედრებ უფალს,
გმირთა სადიდებლად,
გავშლი ზღაპრულ სუფრას.

## შენ შთამაგონებ

მე ნაკადულის
ლიკლიკი მხიბლავს,
ენა ჭიკჭიკა
ყრმას რომ მაგონებს,
ნაკადულია ბავშვივით წმინდა,
იგი მდინარეს
მატებს ძალ-ღონეს.
მაღალ მწვერვალებს
ვით შეელიე,
ის აღარა ხარ,
მთებში რომ გნახე,
მღვრიე მდინარეს
რომ შეერიე,
მაშინ დაკარგე
შენ შენი სახე.
მიდიხარ, უკან
აღარ ბრუნდები,
უმანკოება
გიჟს როგორ ანდე?
ალბათ საფლავში
გადავბრუნდები,
თუ გადაღლილმა
მთებში ვერ გნახე.
მე მაინც შენი
ლიკლიკი მხიბლავს,
ახალ ფეხადგმულ
ბავშვს რომ მაგონებს,
მიყვარხარ, რომ ხარ,
წმინდაზე წმინდა,–
ამ სიყვარულსაც
შენ შთამაგონებ.

## მოწოდება

ახლოვდება არჩევნები,
არის ციებ-ცხელება,
მიდის საქმის გარჩევები, –
ბაბუს რა ეშველება?
ერთმანეთში კინკლაობენ,
ახლები და ძველები,
შესაჭმელი შეიჭამა,
დაიბანეს ხელები.
პარლამენტში მოკალათდნენ,
ძველი ქუჩის ბიჭები,
გაუმაძღარ მოქალაქეთ,
ნურვინ შეეჭიდებით.
დაიშალნენ, დაქუცმაცდნენ,
სხვადასხვა პარტიებად,
საქართველოს დამაქცევრებს,
განა ეპატიებათ?!
ყალიბდება პარტიები
და ახალი ბლოკები,
იწერება ქარტიები,
გზნებით და დაოკებით.
მეგობრებო, ნუ ენდობით,
ისეთ ტაკიმასხარებს,
თვით მამულში ვარდის ნაცვლად
ვინაც ეკალს ახარებს!

## დრო

დღეებს ჩამოჰყრის
არსთა გამრიგე,
თვალის ხამხამში
გადიან წლები...
ამ წუთისოფლის
ვერა გავიგე,
რა უსაშველოდ,
ულვთოდ ვბერდები!
მტერს თვალს დავუვსებ,
წყალს შევაჩერებ,
ფრთებდამტვრეული,
მინახავს ქარიც,
ვერ დავიჯერებ,
თუნდ შემაჩვენონ,–
დრო თუ გინახავთ
ადგილზე მდგარი?
ვინ თქვა არისო
დრო, პანაცეა,
ვინ თქვა, არისო
ყოვლის მკურნალი?
დრომ შებრალება
არ იცის, როცა
კაცი იმქვეყნად
მიდის მწყურვალი.

# ილია ბარამიძე

## მედიტაცია

მზეო, მისანთლე, ცაო, მიტაძრე,
მე დავიღალე ცოდვილ მიწაზე,
დილით, შუადღით და საღამოთი
ჯვრის ზიდვით, ჯვარცმით და
გარდმოსახვით.
იესო, დიდო იმედო კაცთა,
შენ იცი, რაა ჯვარი და ჯვარცმა,
შენ უფლის შვილი და ძე კაცისა
მამამ დაგტოვა წუთით ჯვარცმისას
და კრავთა შენთა და შენს ჯალათთა
ნახეს, სამყარო როგორ განათდა,
ოდეს წარმოთქვი მზერით თავს ზემოთ:
– რად მიმატოვე, უფალო ჩემო!
ეს ხომ ხმა იყო ძეხორციელის,
კივილი, რომლის ექო ძლიერი
დღესაც აღელვებს, ერებს, გვარ-ტომებს:
– უფალო ჩვენო, რად მიგვატოვე!
თუ ყველას, მიწის ცოდვილ ბინადრებს,
ჯვარცმა მოგველის, ჯვარზე ვინ აგებს
ჩვენს ჯვარზე მგებელთ და მდევნელთ ოდით
არანაკლებად აქ ჩვენზე ცოდვილთ?

## როგორი იყო ჩემი ბავშვობა

*შვილიშვილ ანას*

რისი ნექტარი, ან ძუძუ ძიძის!
მე ვიზრდებოდი ზევსივით – თხის რძით.
ჩემს ამალთეას ერქვა ქაცარა,
კუდაპრეხილს და წვერებცანცარას,
მეგობარს – ყურშა, გოშიას კეთილს,
თამაშ-თამაშ რომ მკბენდა და ვკბენდი.
ქაცარას თიკანს, სახელად ქედას,
ვეფერებოდი, ის მაინც მრქენდა,
თიკანს, თუ გინდა, ძმად გაეფიცე,
არ ემეტება სხვისთვის დედის რძე.
მაგრამ მერცხალი – ჩემი მაესტრო –
ადრე ბუდობდა, რათა დაესწრო
მზისთვის ადგომა, რომ ყოველ დილით
ჩემთვის ჰანგები ემღერა ტკბილი.
ამოვიდოდა მზე და, ჰაიდა!
გაშპი, გავარდი, გინდა საითაც.
მწვანე კორდი და წყარო ცინცხალი,
თავზე ქოთანი, ხელში ხის ხმალი...
ქაცარას, ქედას, ეზო-კარს და სხვას,
ანუ სამშობლოს, ხომ უნდა დაცვა!
რატომ იცინი, ვტყუივარ განა?
ო, რა ეშმაკი გოგო ხარ, ანა!

## იუბილე

*რა თქმა უნდა, ხუმრობით*

ვით გავუძლო ყვავილების ამ წვიმას
და მხურვალე შეძახებას: ბრავო! ბის!
მე სამყაროს უმცირესმა ნაწილმა,
ანუ წევრმა დიდი არარაობის.
ყვავილ-შამპანურებიან კალათებს,
კოცნებს ხელისგულებიდან მობერილს,
როცა ხვალ-ზეგ დამცემს გულის ღალატი,
და საწუთრო ყოვლის დამამხობელი.
გმადლობთ, ყველას, დიდებსა და ყმაწვილებს,
ყველას, ვინაც მომილოცეთ სიბერე
და სცენიდან ბოლო გზისკენ მაცილებთ.

## ვერნისაჟი

შენზე ფიქრმა კიდევ ერთი
ღამე გამოიგლოვა,
გათენდა და ახლა ახალ
სივრცეებში მოგძებნი.
მხატვრისათვის ულრუბლო ცა
ცარიელი ტილოა,
პოეტისთვის სამოთხეა,
სავსე ანგელოზებით.
ვერნისაჟი, ვერნისაჟი,
სურათებით ზღაპრულით...
ირგვლივ ჩუმი შრიალია
და სიგრილე მღვიმეთა.
ფერწერულო ფერიებო,
წადით, ცაში დაბრუნდით,
ჩარჩოებში ჩასასმელად
რა ხელმა გაგიმეტათ!
შენ აქა ხარ, მშვენიერო
არსებავ საკოსმოსევ!
გუშინ ჩემო, ახლა უკვე
მთვრალო მხატვრის გუნდრუკით,
ჩემი ლურჯი სივრცის გაცვლას
მხატვრის სახელოსნოზე
გაპატიებ,
გაპატიებ,
ოღონდ ცას დაუბრუნდი.
მე ხომ შენი სიყვარული
ასთმასავით მახრჩობდა,
როგორც ახლა უცნაური
შენი სახეცვლილება.
შენ რა გევერნისაჟება,
გაიპარე ჩარჩოდან,
წადი, ცაში დამელოდე,
მოვალ აუცილებლად.

# სახარების ლოცვები

იმ პერიოდში მრავალმა მიჰყო ხელი ქვეყანაში მომხდარ ამბავთა აღწერის საქმეს. ლუკამ ბრწყინვალედ შეისწავლა ყოველივე და შთამომავლობას დაუტოვა შესანიშნავი წიგნი –სახარება.

იუდეაზე, ჰეროდეს მეფობისას, ცხოვრობდა ხანშიშესული ცოლ–ქმარი, ზაქარია და ელისაბედი; ისინი ზედმიწევნით პატიოსანი და ღვთის უსაზღვროდ პატივისმცემელნი იყვნენ. უნაყოფობის გამო, ელისაბედს შვილი არ უჩნდებოდა.

ზაქარია მღვდელი გახლდათ.

ტაძარში, საკმევლის კმევისას, ზაქარიას უფლის ანგელოზი – გაბრიელი გამოეცხადა, რომელმაც აუწყა, რომ მის ცოლს ვაჟი შეეძინებოდა და მისთვის იოანე უნდა დაერქმიათ, ***„და იქნება შენი სიხარული და სიხალისე, და მრავალნი გაიხარებენ მისი შობით. ვინაიდან დიდი იქნება უფლის წინაშე, ღვინოსა და სიკერას არ დალევს, და სულით წმიდით აღივსება დედის საშოშივე და მრავალ ძეს ისრაელისას მოაქცევს უფლის – მათი ღმერთის მიმართ“;*** რაზედაც ზაქარიამ ეჭვით მიუგო: ***„მერედა, რითი გავიგებ ამას? რადგან მე მოხუცი ვარ და ჩემი ცოლიც ხანშია შესული“.***

უფლის ანგელოზმა გაბრიელმა გადაწყვიტა ურწმუნოებისათვის, ყოველივეს ახდენამდე დაემუნჯებინა ზაქარია.

ტაძრიდან მოგვიანებით გამოსული ზაქარია ველარ ელაპარაკებოდა ხალხს ***„და მიხვდნენ, რომ ხილვა ეხილა ტაძარში. მხოლოდ ანიშნებდა მათ და იყო უხმოდ“.***

გაიხარა უფლის მადლიერმა ცოლ-ქმარმა, – ელისაბედმა მუცლად იღო.

იმ ამბიდან ექვსი თვის შემდეგ, გაბრიელ მთავარანგელოზი ეახლა გალილეის ქალაქ ნაზარეთში მცხოვრებ ქალწულ მარიამს, რომელიც იოსებზე იყო დანიშნული და უთხრა: ***„გიხაროდეს მადლით მოსილო! უფალი შენთანაა; კურთხეული ხარ ასულთა შორის“.***

ვერ მიხვდა მარიამი, რას ნიშნავდა უფლის მოკითხვა და ცოტა შეშინდა კიდეც.

გაბრიელმა დაამშვიდა და ამცნო, რომ უფლის წინაშე მადლმოსილს შეეძინებოდა ძე, რომლისთვისაც იესო უნდა დაერქვათ და ***„დიდი იქნება იგი, და უზენაესის ძედ იწოდება, და მისცემს მას ღმერთი მამამისის დავითის ტახტს. და იმეფებს იაკობის სახლზე საუკუნოდ, და არ იქნება დასასრული მისი სუფევისა“.***

გაოცებულმა მარიამმა ჰკითხა, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, მან ხომ მამაკაცი არ იცოდა.

ღმერთისათვის შეუძლებელი არაფერია, ***„სული წმიდაი მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაი გფარვიდეს შენ“***, – იყო პასუხი და ანგელოზი გაუჩინარდა.

მარიამი იუდეაში ჩავიდა ელისაბედის სანახავად.

მოხდა სასწაული, – მარიამის ხმის გაგონებისთანავე, ელისაბედმა მუცელში ყრმის ამოძრავება იგრძნო და გაოცებულმა წარმოსთქვა: ***„ვინ გამხადა იმისი ღირსი, რომ ჩემთან მოვიდა უფლის ჩემის დედა?“***

მარიამი სამი თვე დარჩა ელისაბედთან, ***„ხოლო ელისაბედისათვის მოაწია შობის ჟამმა, და შობა ძე“.***

რვა დღის შემდეგ ყრმა წინადაცვითეს.

მშობლებმა ახალშობილს იოანე დაარქვეს. ბავშვმა სახელის დარქმევისთანავე ***„ამოიდგა ენა, ხმა ამოიღო და აკურთხევდა ღმერთს“.***

ხალხი შიშმა მოიცვა.

იუდეას სასწრაფოდ მოედო ის უცნაური ამბავი.

ზაქარია აღივსო სულით წმინდით და წინასწარმეტყველებდა, რომ ყრმა ერს იხსნის ყველა მტრისა და მოძულესაგან, ***„ხოლო ყრმა იზრდებოდა და მტკიცდებოდა სულით, და იყო უდაბნოში, იმ დღემდე, როცა გამოეცხადა ისრაელს“.***

სირიაში კვირინუსის გამგებლობისას, კეისარ ავგუსტუსის ბრძანებით, მთელ ქვეყანაში აღწერა ჩატარდა. ყველამ საკუთარ ადგილს მიაშურა ჩასაწერად. იოსები ნაზარეთიდან იუდეაში, დავითის ქალაქ ბეთლემში ჩავიდა, ***„რათა ჩაწერილიყო მარიამთან, თავის დანიშნულთან ერთად, რომელიც ფეხმძიმედ იყო“.***

არსად ადგილი არ აღმოჩნდა და თავის შესაფარებლად გამოქვაბულს მიადგნენ. იმხანად, გამოქვაბულს მწყემსები იყენებდნენ საქონლის სადგომად.

მოაწია მშობიარობის დრომ და იშვა იესო ქრისტე.

უფლის ანგელოზმა მწყემსებსაც ამცნო ის ამბავი.

ანგელოზთან მოულოდნელად ციურ მოლაშქრეთა ჯარი გაჩნდა, რომელიც ღმერთს ადიდებდა: ***„დიდებაი მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანას ზედა მშვიდობაი, და კაცთა შორის სათნოებაი“.***

მალე, ანგელოზები ცად ამაღლდნენ.

მწყემსებმა ბაგაში მწოლიარე ყრმა იხილეს და ყველას აუწყეს ***„და გაბრუნდნენ მწყემსები, და ადიდებდნენ და აქებდნენ ღმერთს ყოველივე იმის გამო, რაც იხილეს და ისმინეს, როგორც ეუწყა მათ“.***

რვა დღის შემდეგ ბავშვს წინადაცვეთა შეუსრულეს.

განწმენდილი იესო, მოსეს რჯულის თანახმად, იერუსალიმში წაიყვანეს უფლის წინაშე წარსადგენად.

იმდროს იერუსალიმში ცხოვრობდა ვინმე სიმონი, მართალი და ღვთის პატივისმცემელი კაცი. მას ***„ნაუწყები ჰქონდა სულის წმიდის მიერ, რომ არ იხილავდა სიკვდილს, ვიდრე არ იხილავდა ქრისტეს უფლისას“.***

სიმონი ზუსტად მაშინ მივიდა ტაძარში, როცა მშობლებს ნორჩი იესო ჰყავდათ იქ.

სიმონმა ხელში აიყვანა ყრმა, აკურთხა ღმერთი და სთქვა: ***„აწ განუტევებ მონას შენსას, მეუფეო, თანახმად შენი სიტყვისა, მშვიდობით“.*** მოხუცმა იმ სურათის შემყურე, ყრმის განცვიფრებული მშობლებიც დალოცა. იქვე იყო წინასწარმეტყველი ანა, ფანუელის ასული, ტომით ასერი. ოთხმოცდაოთხი წლის ქვრივი ტაძარს არ შორდებოდა ***„და დღედაღამ მარხვითა და ლოცვით ემსახურებოდა ღმერთს“;*** იმხანად კი ყრმაზე ესაუბრებოდა ყველას.

უფლის წესისამებრ აღასრულეს ყველაფერი და მთელი ოჯახი: იოსები, მარიამი და იესო ნაზარეთში დაბრუნდნენ.

იზრდებოდა იესო, მტკიცდებოდა სულით და ყოველდღიურად ემატებოდა სიბრძნე. პატარა იესო მშობლებს ყოველწლიურად დაჰყავდა იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე.

ერთხელ, დღესასწაულიდან ნაზარეთში მიმავალმა მშობლებმა, იესო ვეღარ იხილეს. ერთი დღის სიარულის შემდეგ მოიკითხეს შვილი, რადგან იგი ნათესავებთან ერთად ეგულებოდათ ცალკე გუნდად მიმავალი.

სინამდვილეში კი თორმეტი წლის მაცხოვარი იერუსალიმში ტაძარში დარჩენილიყო. რაღას იზამდნენ იოსები და მარიამი, იძულებულნი შეიქნენ და გაბრუნდნენ უკან. სამი დღე ეძებეს შვილი, რომელიც ბოლოს ტაძარში იპოვეს; ***„მოძღვრებს შორის ჩამჯდარიყო, უსმენდა და კითხვებს აძლევდა მათ. ყველა მსმენელს უკვირდა მისი გონიერება და სიტყვა–პასუხი“.***

მარიამს კითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ისე, იესომ მიუგო: ***„მერედა რას მეძებთ? ნუთუ არ იცით, რომ მე მმართებს იქ ყოფნა, სადაც ყველაფერი ეკუთვნის მამაჩემს?“***

მშობლებმაც კი ვერ გაიგეს მისი სიტყვები.

დაბრუნდნენ ნაზარეთში.

იზრდებოდა იესო, – მშობლების მორჩილი, ***„ხოლო დედამისი გულში იმარხავდა ყველა ამ სიტყვას. ხოლო იესოს ემატებოდა სიბრძნე და ასაკი და მადლი ღმრთისა და კაცთა წინაშე“.***

როდესაც პილატე იუდეის მთავარი იყო, ჰეროდე – გალილეის, ხოლო ანა და კაიაფა – მღვდელმთავრები, ესაიას წინასწარმეტყველებისამებრ ***„გაისმა სიტყვა ღმრთისა იოანეს, ზაქარიას ძის მიმართ, უდაბნოში. და მოიარა იორდანეს მთელი შემოგარენი, და ქადაგებდა ნათლისცემას სინანულისას ცოდვათა მისატევებლად“.*** ის კეთილი საქმეებისაკენ მოუწოდებდა ხალხს და ქადაგებდა, რომ ვისაც ორი ხელი სამოსი ჰქონდა, ერთი დაეთმო არაფრის მქონესათვის, ხოლო ვისაც საჭმელი ჰქონდა, გაენაწილებინა მშიერისათვის. გარდა ამისა, მშვიდობიანი ცხოვრებისაკენ მოუწოდებდა ყველას.

უამრავი ადამიანი მიდიოდა მასთან და ცოდვათა აღიარების შემდეგ, იოანე ნათლისმცემელი მდინარე იორდანეში ბანდა ხალხს. გულში ფიქრობდნენ: ***„ქრისტე ხომ არ არისო იგი. მიუგო იოანემ და უთხრა მათ: მე გნათლავთ თქვენ წყლით, მაგრამ მოდის ჩემზე უძლიერესი, და მე იმის ღირსიც არა ვარ, რომ შევხსნა მისი ხამლის საკვრელი. და ის მოგნათლავთ თქვენ სულით წმიდითა და ცეცხლითა“.***

სამართლიანობით განთქმული იოანე ყველას ამხილებდა ჩადენილ ცოდვათა გამო, მათ შორის ჰეროდესაც, რომელმაც ***„საპყრობილეში ჩააგდო იოანე“.***



ნათელს იღებდა ხალხი და ლოცულობდა ნათელღებული იესოც; უეცრად, გაიხსნა ცა და მტრედის სახით ***„სული წმიდა გადმოვიდა მასზე“ და გაისმა ზეციდან ხმა: „შენა ხარ ძე ჩემი საყვარელი, შენში კეთილად გამოვჩნდი მე“.***

ოცდაათი წლისა იყო მაშინ იესო ***„და იყო, როგორც ეგონათ, ძე იოსებისა, ელისა, მატთატისა ლევისა, მელქისა, იანაისა, იოსებისა, მატათიასი, ამოსისა, ნაუმისა, ესლისა, ნაგესი, მაათისა, მატათიასი, სემეისა, იოსებისა, იუდასი, იოანასი, რესასი, ზორობაბელისა, სალათიელისა, ნერისა, მელქისა, ადისა, კორომისა, ელმოდამისა, ერისა, იოსესი, ელიეზერისა, იორეიმისა, მატთატისა, ლევისა, სიმეონისა, იუდასი, იოსებისა, იონანისა, ელაკეიმისა, მელეასი, მაინანისა, მატათასი, ნათანისა, დავითისა, იესესი, იობედისა, ბოოსისა, სალმონისა, ნაასონისა, ამინადაბისა, არამისა, ესრომისა, ფარესისა, იუდასი, იაკობისა, ისააკისა, აბრაამისა, თარასი, ნაქორისა, სარუქისა, რაგავისა, ფალეკისა, ებესისა, სალასი, კაინანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოესი, ლამექისა, მათუსალასი, ენოქისა, იარედისა, მადელეილისა, კაინანისა, ენისისა, სეთისა, ადამისა, ღმრთისა“.***

იორდანედან იესო ***„სულის მიერ გაყვანილ იქნა უდაბნოში“***, სადაც ეშმაკის მიერ ორმოცი დღის მანძილზე გამოიცდებოდა. ვერაფერს მიაღწია სატანამ და გაშორდა კიდეც.

იესო გალილეაში, შემდეგ კი ნაზარეთში დაბრუნდა, სადაც ესაია წინასწარმეტყველის წიგნში დაწერილის მიხედვით სინაგოგაში ქადაგებდა, რომ ტყვეთა მხსნელად და ტანჯულთა განსატევებლად მოევლინა ქვეყანას. ყველას უყვარდა მისი ბრძნული სიტყვები; ხოლო მაშინ, როდესაც ხალხს შეახსენა ელისე წინასწარმეტყველის დროს მრავალი კეთროვანის არსებობა და ისიც, რომ მათგან მხოლოდ ნეემან სირიელი განიწმინდა, მთის თხემზე აიყვანეს იგი გადმოსაგდებად, – ***„მაგრამ მან მათ შორის გაიარა და წავიდა“.***

იესო გალილეის ქალაქ კაპერნაუმში დაბრუნდა, სადაც უწმინდური სულით შეპყრობილი კაცი განკურნა. სინაგოგიდან დაბრუნებული სიმონთან მივიდა და ცხელებით დაავადებული მისი სიდედრი მოარჩინა.

დილამდე, სიმონის სახლში მრავალი სნეული ეახლა იესოს და მან ყველანი გაანთავისუფლა სხვადასხვა დაავადებისაგან. სწორედ ამიტომ, ხალხი იესოს სთხოვდა კაპერნაუმში დარჩენას, იესომ უთხრა მათ: ***„სხვა ქალაქებსაც ხომ უნდა ვახარო ღმრთის სასუფეველი, რადგან ამისთვის ვარ მოვლინებული; და ქადაგებდა გალილეის სინაგოგებში“.***

გენესარეთის ტბასთან იესომ მებადურთა ორი ნავი შეამჩნია.

მთელი ღამის მცდელობის მიუხედავად, მეთევზეებს ერთი თევზიც კი ვერ დაეჭირათ. იესომ უბრძანა სიმონ-პეტრეს წყალში ბადის გადაგდება. იმდენი თევზი მოჰყვა ბადეში, რომ სიმონმა მეორე ნავშიც გადაანაწილა; ორივე ნავმა ჩაძირვა დაიწყო და მაშინ სიმონ-პეტრემ იესოს უთხრა: ***„გამშორდი უფალო, ვინაიდან ცოდვილი კაცი ვარ“.*** იესომ ნავები ჩაძირვას გადაარჩინა, ხოლო სიმონს უპასუხა: ***„ნუ გეშინია, ამიერიდან კაცთა მებადური იქნები“.***

ასე გახდნენ სიმონ-პეტრე და ძმები: იაკობ ზებედესი და იოანე ზებედესი, იესოს მოწაფეები.

მაცხოვარი უამრავ სასწაულს ახდენდა, კურნავდა ხალხს და თან უფლის რწმენას განამტკიცებდა მათში; არ მოსწონდათ ეს ფარისევლებსა და მწიგნობრებს და მიზეზად იესოს ცოდვილებთან სიახლოვე და მათთან სუფრასთან ერთად ყოფნა დააყვედრეს. ***„კარგად მყოფთ კი არ სჭირდებათ მკურნალი, არამედ ავადმყოფთ“***, მშვიდად უპასუხა მათ იესომ და შეახსენა, რომ ცოდვილთა სინანულად მოევლინა ქვეყანას.

ამის შემდეგ ***„უთხრეს მას: რატომაა, რომ იოანეს მოწაფეები ხშირად მარხულობენ და ლოცულობენ, ასევე ფარისევლებისაც, შენი მოწაფეები კი ჭამენ და სვამენ? ხოლო იესომ მიუგო მათ: განა შეგიძლიათ ამარხულოთ მექორწილენი, ვიდრე მათთანაა სიძე? მაგრამ დადგება დღე, როდესაც სიძე აღარ ეყოლებათ, და მაშინ, იმ დღეებში, იმარხულებენ“.***

შაბათს, ყანაში იესოსთან ერთად მისმა მოწაფეებმა თავთავები ჭამეს.

ზოგიერთმა ფარისეველმა ეს ბრალდებად წაუყენა იესოს, რომელმაც მათ დიდი დავით მეფის საქციელი შეახსენა, როცა მოშიებულმა სხვებთან ერთად, უფლის სახლში აკრძალული, შესაწირავი პური ჭამა და სთქვა: ***„ძე კაცისა შაბათის უფალიც არის“.***

იქედან მოყოლებული, ფარისევლები და მწიგნობრები უფრო დიდი გულისყურით უთვალთვალებდნენ იესოს, რათა ბრალდება წაეყენებინათ მისთვის.

მთაზე სალოცავად ასულმა იესომ მოწაფეთაგან თორმეტი ამოარჩია და მათ მოციქულები უწოდა; აი ისინიც: ***„სიმონი, რომელსაც დაარქვა პეტრე და მისი ძმა ანდრია, იაკობი და იოანე, ფილიპე და ბართლომე, მათე და თომა, იაკობი ალფესი და სიმონი, – ზელოტედ წოდებული, იუდა იაკობისა და იუდა ისკარიოტელი, რომელიც გამცემი გახდა“.***

მთიდან დაბრუნებული იესო შესცქეროდა მოციქულებს და ბრძანებდა, რომ მათია ცათა სასუფეველი, რადგან მოიძულებდნენ და შეურაცხყოფდნენ მათ ზუსტად ისე, როგორც ექცეოდნენ წინასწარმეტყველებს მათივე მამები; ხოლო ებრალებოდა მდიდრები, რადგან კარგს იტყოდნენ მათზე ამქვეყნიურნი და მოექცეოდნენ ფარისევლურად ისე, როგორც ცრუწინასწარმეტყველებს ექცეოდნენ ასევე მათი მამები.

იესო მოწაფეებს მტრის სიყვარულს უქადაგებდა და ბრძანებდა, რომ მოყვასნი ხომ ცოდვილებსაც უყვართ და მაშ, რითი უნდა განსხვავებულიყვნენ მათგან თუ არა, მოძულესადმი კეთილგანწყობით? ***„და თუ ასესხებთ იმათ, ვისგანაც დაბრუნების იმედი გაქვთ, რას მიითვლით მადლად? რადგან ცოდვილნიც აძლევენ სესხს ცოდვილთ, რათა დაიბრუნონ ერთი იმდენიც“.***

იესო სიკეთეს ნერგავდა მოციქულებში და ასწავლიდა: ***„ნუ განსჯით, და არ განისჯებით, ნუ დაჰგმობთ, და არ დაიგმობით, მიუტევეთ და მოგეტევებათ“*** და ასწავლიდა უფლის სიტყვის მოსმენას და მის აღსრულებას, რადგან უაზრობაა მოუსმინო და არ აღასრულო, – ასეთნი ***„იმ კაცს ჰგავს, ქვიშაზე უსაძირკვლოდ რომ დადგა სახლი, და როგორც კი ეკვეთა მდინარე, მყისვე დაინგრა“.***

კაპერნაუმში ჩასულ მაცხოვარს უხუცესებმა ერთი დავრდომილი მონის განკურნება სთხოვეს. იმ მისიის შესასრულებლად მიმავალ იესოს, მონის პატრონმა გზად მეგობრები შეახვედრა, რომლებმაც გადასცეს ასისთავის სიტყვები: ნუღარ შეწუხდები უფალო, რადგან ***„არა ვარ იმისი ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე“*** და მხოლოდ სიტყვა ბრძანე, რაც საკმარისია ჩემი მონის განსაკურნებლად.

გაოცებულმა იესომ მიმართა ხალხს: ***„ისრაელშიც არ შევხვედრივარ ამნაირ რწმენას“;*** ამგვარად, უხილავად განკურნა იესომ სულთმობრძავი კაცი.

ამის შემდეგ იესო მოწაფეებთან ერთად ქალაქ ნაინში ჩავიდა, სადაც ჭაბუკის დაკრძალვის პროცესიას შეესწრო. მწარედ მოსთქვამდა მიცვალებულის დედა; შეებრალა იგი უფალს, მიუახლოვდა კუბოს და წარმოსთქვა: ***„ჭაბუკო, შენ გეუბნები, აღდეგ!“*** და ჭაბუკი გაცოცხლდა.

მთელ იუდეას მოედო ის ამბავი.

იოანე ნათლისმცემელმა მოწაფეები გაუგზავნა იესოს კითხვით: ***„შენა ხარ მომავალი, თუ სხვა ვინმეს უნდა ველოდეთ?“*** მაცხოვარმა იმ პერიოდში მრავალი ყრუ, ბრმა, კეთროვანი, კოჭლი განკურნა, ხოლო იოანეს კი შეუთვალა: ***„ნეტა მას, ვინც არ შემცდარა ჩემში“*** და ხალხს მიმართა: ***„დედისგან შობილი არცერთი წინასწარმეტყველი არ აღმატებია იოანეს; ხოლო ღმრთის სასუფეველში უმცირესიც მასზე უმეტესია“.***

მებაჟეებმაც კი ადიდეს ღმერთი, მხოლოდ ***„ფარისევლებმა და რჯულის მოძღვრებმა უარყვეს ღმრთის ნება მათ მიმართ“.*** იესომ ისინი ჯიუტ ბალღებს შეადარა.

ერთხელ, ფარისეველს სახლში ესტუმრა იესო.

მიუსხდნენ სუფრას და პურიც გატეხეს.

იმ დროს ერთი ცოდვილი ქალი ესტუმრათ, რომელმაც ნელსაცხებლები სცხო მაცხოვარს, ფეხებიც დაბანა, შემდეგ საკუთარი თმებით შეუმშრალა და დაუკოცნა კიდეც ფეხის ტერფები. მაშინ, ფარისეველმა იფიქრა იესოზე: თუ წინასწარმეტყველია, ხომ იცის, რომ ეს ქალი ცოდვილია და რატომ მიიკარაო.

მიუხვდა მაცხოვარი სიმონ ფარისეველს ნაფიქრს და მიუგო: ***„მიეტევა მას დიდძალი ცოდვა, ვინაიდან დიდია მისი სიყვარული, ხოლო ვისაც მცირედი მიეტევა, მცირედია მისი სიყვარული“*** და ქალს უთხრა: „შენმა რწმენამ გიხსნა შენ, წადი მშვიდობით!„

იესო თორმეტ მოციქულთან ერთად დადიოდა ქალაქებსა და სოფლებში და უფლის სიტყვას ქადაგებდა, თან ხალხსაც კურნავდა. რამდენიმე ქალი, მათ შორის მარიამ მაგდალელიც განკურნა და შვიდი ეშმაკი გამოიყვანა მისი სხეულიდან.

შეკრებილ დიდძალს ხალხს მაცხოვარმა ერთხელ ასეთი იგავი უამბო:

კაცი თესლს თესავდა. გზის პირას დავარდნილი თესლი ფრინველებმა აკენკეს და, ცხადია,

➔

ვერ ამოვიდა, ხოლო კლდეზე დავარდნილი აღმოცენდა, მაგრამ სინესტე აკლდა და გახმა. ზოგი მარცვალი ბარდებში ჩაცვივდა და ***„ეკალმა ერთიანად მოაშთო ყველა"***. თესლის ნაწილი ნაყოფიერ ნიადაგში მოხვდა და ასმაგად იმრავლა.

მოწაფეებმაც კი ვერ გაიგეს იესოს წარმოთქმული, რომელმაც განუმარტა მათ, რომ თესლი ღმრთის სიტყვაა, გზის პირას დაცვენილი მარცვალი ხალხია, რომელთა გულიდან ეშმაკი იოლად იტაცებს სიტყვებს, ხოლო კლდეზე დაცვენილი – ისინი, ვინც თავიდან სიხარულით იღებენ მას, ***„მაგრამ ფესვი არა აქვთ"*** და განსაცდელის დადგომისთანავე განდგებიან. ეკალ–ბარდებში ჩაცვენილი მარცვალი ისინი არიან, რომლებიც ამქვეყნიური განცხრომის სურვილით შეპყრობილნი უნაყოფონი რჩებიან. აი, პოხიერ ნიადაგში მოხვედრილი მარცვალი კი იესომ ისეთ ადამიანებს შეადარა, რომლებიც გულში წმინდად ინახავენ უფლის სიტყვას და საუკუნოდ მისი ერთგულნი არიან.

იესოს მოწაფეები ზოგჯერ ვერ კურნავდნენ ავადმყოფს, მაშინ მათ თვითონ იესო კურნავდა და გულნაკლულად იმასაც ამხელდა, რომ ურწმუნო და უკეთური იყო ის მოდგმა.

მალე იესომ მოწაფეებს გაანდო, რომ ***„ძე კაცისა მიეცემა კაცთა ხელში"***; თუმცა მათ ბოლომდე ვერ გაიგეს იმ სიტყვების აზრი და შეკითხვაც ვერ გაბედეს, ***„მაგრამ ერთი აზრი დებადათ: ვინ იყო უდიდესი მათ შორის"***.

იესომ ამოიცნო მათი ზრახვა და ბრძანა, მოეყვანათ პატარა ბავშვი, რომელიც წინ დაიყენა და წარმოსთქვა: ***„ვინც შეიწყნარებს ამ ბავშვს ჩემი სახელით, მე შემიწყნარებს; და ვინც მე შემიწყნარებს, ჩემს მომავლინებელსაც შეიწყნარებს, რადგან თქვენს შორის უმცირესი – უდიდესი იქნება"***.

იერუსალემში წასვლა გადაწყვიტა იესომ და წინასწარ მაცნეები გაგზავნა, რომლებიც სამარიელთა სოფელში მივიდნენ, ***„რათა სადგომი გაემზადებინათ მისთვის. მაგრამ იქ არ მიიღეს იგი, ვინაიდან იერუსალიმს წასასვლელად ებრუნა პირი"***.



მოხდა ასეთი რამ: თავის მოწაფეებთან ტბის მეორე ნაპირზე გადასასვლელად ნავში ჩამჯდარ იესოს ჩაეძინა.

უძლურნი აღმოჩნდნენ ამოვარდნილი გრიგალის წინაშე მაცხოვრის მოწაფეები და ნავი იძირებოდა. გააღვიძეს იესო, რომელმაც დააცხრო ქარი ***„და სიმყუდროვემ დაისადგურა"***. განცვიფრებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ***„ვინ არის იგი, ქარებს და ზღვას რომ უბრძანებს, და ისინიც მორჩილებენ მას?"***

ამასობაში გალილეის გაღმა, გადარელთა მხარეს მიადგნენ, სადაც მრავალი ეშმაკისგან შეპყრობილი ქალი, სახელად ლეგიონი განკურნა იესომ, ხოლო უკან დაბრუნებულმა სინაგოგის წინამძღვარი იაეიროსის თორმეტი წლის გოგონა სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა და გაოგნებულ მის მშობლებს უბრძანა ***„არავისთვის ეთქვათ ეს ამბავი"***.

იესომ თორმეტივე საკუთარ მოწაფეს შთაუნერგა ეშმაკის დათრგუნვისა და სნეულთა განკურნების ძალა, დააგზავნა ისინი სხვადასხვა ადგილებში უფლის სასუფევლის საქადაგებლად და ავადმყოფთა გამოსაჯანმრთელებლად, უკან დაბრუნებულ მოციქულებთან ერთად ბეთსაიდაში ქადაგების შემდეგ კი, ხუთი ათასამდე მშიერი კაცი დააპურა ხუთი პურითა და ორი თევზით, ისე რომ ხალხმა თორმეტი კალათა კიდევ გაავსო პროდუქტით. უკვირდათ იესოს სასწაული და ზოგი ფიქრობდა, ალბათ, იოანე ნათლისმცემელიაო, ზოგი ეჭვობდა, ელია ხომ არ არისო, ზოგსაც აღმდგარი ძველი წინასწარმეტყველი ეგონა იგი.

მხოლოდ მოციქულებმა იცოდნენ, რომ იესო, ქრისტე ღმრთისა იყო. იმ ამბიდან რვა დღის შემდეგ, იესომ მთაზე სალოცავად აიყვანა პეტრე, იოანე და იაკობი ***„და ლოცვისას სახის ფერი იცვალა, და სამოსი მისი გახდა სპეტაკი და ელვარე, და აჰა, ორი კაცი ესაუბრებოდა მას; ესენი იყვნენ მოსე და ელია"***.

გაოცებულმა და იმ სურათის ხილვით დაბნეულმა პეტრემ სამი კარავის გაკეთება შესთავაზა მაცხოვარს: ***„ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთიც ელიას, რადგან არ იცოდა რას ამბობდა"***. იმ დროს ზეციდან გაისმა: ***„ეს არის ძე ჩემი საყვარელი, უსმინეთ მას"***, ხოლო მოსე და ელია იმწამსვე გაუჩინარდნენ.

მაშინ იაკობმა და იოანემ, იმ სოფლის ცეცხლით მოსრა გადაწყვიტეს; განაწყენებულმა იესომ სთქვა: ***„არ იცით, რომელი სულისანი ხართ. რადგან ძე კაცისა ადამიანთა სულების წარსაწყმედად კი არ მოვიდა, არამედ სახსნელად; და სხვა სოფელში წავიდნენ"***.

გზად მიმავალთ ბევრი სთხოვდა გაყოლას, მაგრამ იესო უარს ეუბნებოდა მათ ნაკლებად მორწმუნეობის გამო.

იესომ კი სამოცდაათი მოწაფე აირჩია და ისინი უფლის სიტყვის საქადაგებლად, წყვილ-წყვილად დააგზავნა იმ ადგილებში, ***„სადაც თვითონ აპირებდა მისვლას"*** და მიმართა მათ: ***„სამკალი ბევრია, მაგრამ ცოტანი არიან მომკალნი"***, ხოლო ვინც არ მოისმენს თქვენს სიტყვას, ***„განკითხვის დღე სოდომისათვის უფრო ადვილი იქნება, ვიდრე მათთვის"***.

გახარებული დაბრუნდა სამოცდაათივე „და თქვეს: უფალო, ეშმაკნიც კი გვმორჩილებენ შენი სახელით". იესომ მადლობა შესწირა მამა ღმერთს, რადგან სწამდა, მისგან მიეცა ყოველივე.

რჯულის მოძღვარმა ჰკითხა იესოს, ვინ იყო მოყვასი? პასუხად იესომ იგავი უამბო იერუსალიმიდან იერიხონში მიმავალ კაცზე, რომელსაც ყაჩაღები დახვდნენ, სცემეს, გაძარცვეს და მომაკვდავი გზაზე დააგდეს.

მღვდელმა და ლევიტელმა გვერდი აუქციეს მას, ხოლო სამარიელმა კაცმა მიხედა, სახედარზე შეისვა, სასტუმროში მომვლელს ფული მისცა და სიკვდილისგან იხსნა მოძულე ტომის ადამიანი.

დაასრულა იგავი და იმავე მოძღვარს ჰკითხა, ვინ იყო იმ კაცის მოყვასი? ***„მან მიუგო: ის, ვინც მოწყალება გამოიჩინა მის მიმართ. და უთხრა მას იესომ: წადი და შენც ასევე მოიქეცი"***.

სტუმრად ერთ ოჯახში მოხვედრილ იესოს, მასპინძელი მარიამი გულისყურით უსმენდა, ხოლო მისი და, — მართა, სხვადასხვა საზრუნავის გამო, აქეთ-იქით დაფუსფუსებდა. სწორედ ამიტომ, მართამ შესჩივლა იესოს: ***„უფალო, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ჩემმა დამ მარტო მე მომანდო მასპინძლობა? უთხარი, ხელი შემაშველოს"***. იესომ მშვიდად მიუგო, რომ მეტისმეტად შფოთავდა მართა, ***„მარიამმა კი უკეთესი წილი ირჩია, რომელიც არ წაერთმევა მას"***.

**ლევან გვეტაძე**

გაგრძელება იქნება

ნებისმიერ ეპოქაში, მითუმეტეს, დღეს, 21-ე საუკუნეში, განვითარების როგორ მაღალ დონესაც არ უნდა აღწევდეს საზოგადოება, მისი უდიდებულესობის, — ადამიანის, როგორც განსაკუთრებული ფენომენის როლი, მასში დიდი დოზითაა გამოხატული და, ფაქტიურად, ვერაფერი ვერ შეცვლის მას.

მე, არც თუ ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, მრავალ შრომით კოლექტივში მომიწია მუშაობა: — ვიყავი მუშაც, ოსტატიც, პედაგოგიც, ჟურნალისტიც, საჯარო მოხელეც და, თითქმის, ყველა კატეგორიის ადამიანებთან მიხდებოდა შრომაც და თავისუფალი დროის გატარებაც. მქონდა წარმატებაც და წარუმატებლობაც, ტკბილსაც და მწარესაც არ იშურებდნენ გარშემომყოფნი. იყო დამცირებაც და აღმასვლაც. იყო დაუფასებლობაც და ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოების, საწარმოს თუ დაწესებულების ინტერესების დაცვას, დღენიადაგ იმაღლებს პროფესიონალიზმის დონეს, იცავს საშემსრულებლო დისციპლინას, მიღებულ დავალებას მთელი სერიოზულობით უდგება, წინასწარ დაგეგმავს მის წინაშე დასმული ამოცანის გადაწყვეტის გზებს და საშუალებებს.

პრაქტიკულად მოემზადება დასახული ამოცანის შესრულებისათვის და შედეგიც ყოველთვის სახეზეა. მეორე ნაწილი კი უდიერად, უპასუხისმგებლოდ უდგება საქმეს. დავალებაც და საქმეც არ გამოსდის, ვერ ასრულებს დავალებას, სამაგიეროდ პრეტენზია აქვს დაწინაურების, პრემიის მიღების თუ სხვა წამახალისებელი ღონისძიებების მის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიმართ.

ტივია და, ცხადია, ადამიანის ფაქტორი ვერ მოქმედებს მთელი ძალითა და შესაძლებლობებით. განა ასეთი ფაქტები იშვიათია?

მსგავსი ფაქტები გვაქვს მოქმედ საწარმოებშიც, სადაც პროგრესული, უახლესი ტექნოლოგიით, საუკეთესო მასალებით აღჭურვილი შრომითი კოლექტივები, სახარბიელო შედეგებს ვერ აღწევენ, ვერ უშვებენ კონკურენტუნარიან პროდუქციას.

მიზეზებს სადღაც სოროში ნუ ვეძებთ, ასეთი შედეგები იქ ვლინდება, სადაც საკადრო პოლიტიკას სათანადო ყურადღება არ ექცევა, სადაც ადამიანის ფაქტორი იგნორირებულია.

სამწუხაროა, როცა ჩვენ პერსონალურად არსებითი ყურადღება გადაგვაქვს ახალ ფასეულობათა შექმნაზე, რაც შეიძლება მეტი მატერიალური დოვლათის

ჩვენი ქვეყნისთვის, ამ გარდამავალ პერიოდში, ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს უვიცი, თავისი საქმის არმცოდნე, ან ზერელედ მცოდნე ადამიანებისა. ახლა, როგორც არასდროს, გვჭირდება თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე სპეციალისტები, ადამიანები, რომლებიც თავისი კომპედენტურობით და პროფესიონალიზმით, მრავალმხრივი მომზადებით, წარმოების ღრმა ცოდნით, მეცნიერებისა და ტექნიკის მართვის, ეკონომიკის და შრომის ორგანიზაციის საკითხებში ღრმა წვდომის უნარით გამოირჩევიან, რითაც გავზრდით ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალურ პოტენციალს, გავზრდით მის შემოქმედებით უკუგებას.

მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება და საერთო საქმისთვის პასუხისმგებლობის გრძნობა ვერ ამაღლდება,

# პატივი ვცეთ მის უდიდებულესობას — ადამიანს!

თითქმის ყველა დონის ჯილდოც, მაგრამ, ყველაფრის გაანალიზების შემდეგ, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ყველაფერს, ცუდსაც და კარგსაც, ადამიანი განაპირობებს. უადამიანოდ არაფერი შეიქმნებოდა და შეიქმნება. იგი საზოგადოების შვილია, საზოგადოების ქურქში იწვის, მის მოღვაწეობასა და შედეგებზე შეუძლებელია გავლენას არ ახდენდეს რთული, მრავალპლანიანი საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტორები, რომლებიც ცალკეულ ინდივიდთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად იქმნებიან და მოქმედებენ.

მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სული და გული, მისი განვითარების ყველა ეტაპზე, ყოველთვის იყო, არის და იქნება ადამიანი, რომელიც განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, უპირველესად კი, ის უბრალო ადამიანები, რომლებიც მილიონიან მასებად არიან განფენილნი მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ზოგჯერ, ვერც კი წარმოუდგენიათ, როგორი დიდია მათი წვლილი სოციალურ შემოქმედებაში.

თითოეულის, სრულიად ჩვეულებრივი მუშაკის, ყოველდღიური მოღვაწეობის წარმატებაზეა დამოკიდებული სხვათა წარმატება და, პირიქით, ვიღაცის უდარდელობამ და უპასუხისმგებლობამ შეიძლება კატასტროფულად იმოქმედოს საკმაოდ დიდი მასშტაბითაც კი.

აქედან გამომდინარე, ადამიანები, რომელთაც უნარი შესწევთ უაღრესი ერთგულებით და პასუხისმგებლობით, მოვალეობის ღრმა შეგნებით, ემსახურონ საზოგადოებრივ საქმეს, მზამზარეულად როდი გვეძლევიან. ასეთებს აღზრდა, შექმნა, ჩამოყალიბება უნდა, რადგან ადამიანი, როგორც ცნობილია, გარემოებათა შვილია.

თუ რამდენად წარმატებით ვახერხებთ ამას, მით უფრო მაღლდება ადამიანის ფაქტორის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მით უფრო მეტ და თვალსაჩინო წარმატებებს ვაღწევთ საზოგადო საქმეებში, მით უფრო უკეთ კმაყოფილდება ცალკეულ პიროვნებათა ინტერესები: — მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

ამრიგად, როგორ უნდა გავიგოთ ადამიანის ფაქტორი? — ვფიქრობთ, ძალზე მარტივად. კერძოდ, თუ ობიექტური ადამიანი, მითუმეტეს, ნებისმიერი დონის ხელმძღვანელი, კარგად დაუკვირდება მის გარშემო მყოფი ადამიანების საქმიანობას და მოღვაწეობას, ადვილად შეამჩნევს, რომ თანაბარ პირობებში მყოფი ადამიანები, ხშირად განსხვავებულ შედეგებს აღწევენ. ადამიანების ერთი

თუ კარგად მიმოვიხედავთ ჩვენს ირგვლივ, დავინახავთ მსგავს მაგალითებს, როცა ზარმაცი, უპასუხისმგებლო ადამიანი, კარიერისტი და მოლაყბე, გაცილებით მეტ სარგებელს ღებულობს მავანთა მფარველობის გამო, ვიდრე ის, ვინც ლაყბობას, ტრაბახს, — დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებას ამჯობინებს. ვინც დაუმსახურებელი ხელფასის, პრემიის თუ რაიმე ჯილდოსათვის კი არ იბრძვის, არამედ საერთო საქმისთვის, თავსაც კი გასწირავს, დღეს და ღამეს გაასწორებს და თავს არ შეირცხვენს, შრომითი კოლექტივის, ხელმძღვანელის თუ საზოგადოების წინაშე.

50-წლიანი სამუშაო სტაჟის მქონე ადამიანი ბევრი ასეთი ფაქტის მომსწრე ვარ; ასეთი მაგალითები უხვად იყო კომუნისტური მმართველობის თუ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მოსული ხელისუფლების დროს.

გადაავლეთ თვალი ჩვენს უახლოეს ისტორიას და ნახავთ, როგორ ცდილობენ ერთი და იგივე „ტიპები", ცხვირსახოცივით იცვალონ პარტიები, ოღონდაც ვინმეს ქოლგის ქვეშ ნახონ ადგილი. კაცი არ ფიქრობს, გადახედოს მსგავსი „ტიპების" ბიოგრაფიას. მის განვლილ „სახელოვან" გზას, მთავარია ასეთმა „ტიპებმა", ვიღაცის მოთაფლვა, ვიღაცის შეცდომაში შეყვანა შესძლონ და არავინ არ კითხულობს, ვისი ვიოლინო ვის როიალშია.

და, ყოველივე ამის შემდგომ, რატომ გვიკვირს — რატომაა ჩვენი ქვეყანა ასეთ სავალალო დღეში, რატომ ვერ წამოდგა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ფეხზე? — ეს მაშინ, როცა პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რომ არაფერი ვთქვათ, აღმოსავლეთ ევროპის და აზიის ქვეყნები უკეთეს მდგომარეობაში არიან. ოპტიმიზმით, ვიღაცის მფარველობით მოსული „კადრი", საქმეს რომ ჩააგდებს, ნუთუ კითხვებს არ უნდა იწვევდეს?

დღესდღეობით, საჯარო სამსახური ერთგვარ თავშესაფრად იქცა. ვისაც პატრონი ყავს, ამ თავშესაფარში ადვილად იკავებს ადგილს, პროფესიონალების ნაცვლად.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, „ქოლგის" ქვეშ მყოფი ადამიანები, როგორ ლაღობენ, როცა სამუშაო საათებში მათ ყველგან ნახავთ, სამუშაო ადგილის ნაცვლად. ასეთი ე.წ. ბიუროკრატები, არად დაგიდევენ დაწესებულებაში მისული მოქალაქის ტკივილს, გასაჭირს. ანდა, რა უნდა გაგიკეთოს ადამიანმა, რომელიც თავის უფლება-მოვალეობებშიც ვერ გარკვეულა?

იბადება ბუნებრივი კითხვა: — რა ხდება? — პასუხი მარ-

დაგროვებაზე, მაშინ როცა წესრიგს ვერ ვამყარებთ იმაში, რაც უკვე შექმნილია, რაც უკვე გვაქვს. უკვე შექმნილის უკეთ მოვლა და წესიერად გამოყენება ხომ იგივე ახალი დოვლათის ტოლფასია.

ცნობილი ფაქტია, რომ ადამიანში მოქცეულია ამოუწურავი რეზერვები სოციალური და ეკონომიკური შემოქმედებისა. საჭიროა რაც შეიძლება სრულად ვავლენდეთ ამ რეზერვებს, რომ ნაკლები იყოს დანაკარგი, მაღალი იყოს ადამიანთა მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ასეთი ადამიანები კი, რომელთაც დადებითი მუხტი შეაქვთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკუთარი ფაქტორის სრული ამოქმედების შედეგად, თავისთავად არ შემოდიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ადამიანი ხომ საზოგადოების შვილია, იგი აქვე იზრდება და აქვე მოღვაწეობს. ამიტომ ასეთ ადამიანებს სჭირდება აღზრდა, მეორეს მხრივ კი მათ საჭიროა შევუქმნათ შრომისა და მოღვაწეობის ისეთ პირობები, რომელშიც მათი საზოგადოებრივად სასარგებლო უნარები, ნიჭი და ენერგია სრულად გამოვლინდება.

ძნელი ამოცანაა ადამიანთა აღზრდა იმ უნარებით, რომლებიც სულ უფრო მძლავრად გამოავლენენ სუბიექტური ფაქტორის როლს, მაგრამ ეს თვისებები შეიძლება გაქარწყლდეს თუ, ამავდროულად, არ ვქმნით პირობებს მათი ამოქმედებისათვის. ამის გარეშე ადამიანის ფაქტორის როლის ამაღლების მოთხოვნა დარჩება ფრაზად და რიტორიკად.

შემოვაბრუნოთ საზოგადოება ახალი ამოცანებისაკენ, მოვახმაროთ მათ გადაწყვეტას ხელისუფლების, ხალხის, ყველა შრომითი კოლექტივის შემოქმედებითი პოტენციალი. მხოლოდ ასე შევძლებთ ქვეყნის სოციალურ -ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას.

ადამიანის ფაქტორის ამაღლება შეიძლება მოხდეს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიული შერწყმით. ადამიანს მხოლოდ სიტყვით კი არ უნდა სთხოვდეს საზოგადოება აამაღლოს პასუხისმგებლობა და დაინტერესება საზოგადოებრივი და საქვეყნო საქმისადმი, არამედ, ყველაფერს უნდა აკეთებდეს იმისათვის, რომ ადამიანი სწორედ ისე იქცეოდეს და არა სხვანაირად. ადამიანის ფაქტორის შესაძლებლობანი, რომელიც გამოუყენებელი დარჩა, აზარალებს არა მხოლოდ ამა თუ იმ ადამიანს (ვისი შესაძლებლობებიც ვერ გამოვიყენეთ), არამედ, უფრო მეტად, საზოგადოებას, რომლისთვისაც სამუდამოდ დაიკარგა ეს შესაძლებლობა.

თუ ადამიანს გული არ სტკივა საქვეყნო საქმისთვის, თუ მიაჩნია, რომ ეს მისი საქმე არ არის, მაშინ ასეთი ადამიანი არა თუ აამაღლებს საკუთარ როლს, არამედ ზარალად იქცევა საზოგადოებისთვის.

და, ბოლოს. ნებისყოფა, ბრძოლისუნარიანობა, —აი ის პიროვნული თვისებები, რომელიც მნიშვნელოვნად აამაღლებს ადამიანის ფაქტორის როლს საზოგადოებაში. ვფიქრობთ, გულგრილი, მოწუწუნე, მშიშარა, ზარმაცი ადამიანები ზედმეტ ტვირთად იქცევიან საზოგადოებისთვის.

მხოლოდ დადებითი თვისებებით აღზრდილ ადამიანს შეუძლია გავლენა მოახდინოს მოვლენებზე იმ სფეროში, შრომით კოლექტივში, სადაც იგი მოღვაწეობს, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ორგანიზაციაც, რომელიც უზრუნველყოფს სრულად გადაიყვანოს აქტივში ასეთი ადამიანური ღირსებები.

ადამიანში ასეთი ღირსებების დამკვიდრება და აღორძინება იქნება მცდელობა ადამიანებში გააღვივონ სურვილი იცხოვრონ, იშრომონ, იბრძოლონ იმისთვის, რომ მის გარშემო და საზოგადოებაში უმჯობესდებოდეს ადამიანების შრომისა და ყოფის პირობები, იყოს სიტყვისა და საქმის ერთიანობა, მაღალი პროფესიული დონე, კანონისადმი პატივისცემა და სხვ.

მთავარი კი, მაინც, ის არის, რომ ადამიანის ფაქტორის ამაღლების უტყუარი განხორციელება მოხდება მხოლოდ დემოკრატიის გაღრმავების გზით, თვითმმართველობის განვითარებით.

როცა თითოეული მოქალაქის საქმიან კომპედენტურ აზრს პატივს ვცემთ, მეტ თავისუფლებას მივცემთ მათ, როცა მართლის მთქმელ ადამიანში მტერს კი არა — მოყვარეს დავინახავთ. დავაფასოთ, დავაფასოთ ის ადამიანები, რომლებიც უდრტვინველი შრომით, საქმის ცოდნით, სამშობლოს, ქვეყნის საკეთილდღეოდ იღწვიან!

დავაფასოთ ის ადამიანები, რომელთაც შესწევთ უნარი, უაღრესი ერთგულებით და პასუხისმგებლობით, მოვალეობის ღრმა შეგნებით, ემსახურონ საზოგადოებას.

თუ წარმატებით მოვახერხებთ ამას, ამით უფრო ამაღლდება ადამიანის ფაქტორის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უფრო მეტად თვალსაჩინო წარმატებას მივაღწევთ საზოგადო საქმეებში და უფრო დაკმაყოფილდება ცალკეულ პიროვნებათა ინტერესები, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

**თემურ ხუხუნაიშვილი,**
*ქ.ბორჯომი*

# როლანდ თოფჩიშვილი

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. N11-12 - 2016, N1-5 - 2017)

*ჯ. სონღულაშვილის* მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალებით, *დიღმის ხეობის სოფელ თელოვანში* მოსახლე *ფირუზაშვილები* აზნაურ *მაღალაშვილებს* ჯავახეთის *ახალქალაქის* სანახებიდან ჰყავდათ გადმოყვანილი. სოფელ *დიღომში* ჯავახეთიდან გადმოსახლებული რამდენიმე გვარი – *ხოსიტაშვილი, ხმალაძე, ბროლაძე* – მკვიდრობს. *ჯ. სონღულაშვილის* ეთნოგრაფიული მასალებით, – „*ბროლაძეები,* ანუ, როგორც ადგილობრივი მკვიდრნი უწოდებენ, „ჯავახიანი", ცხოვრობენ წერწვერაზე... *დიღომში* მოსული არიან ჯავახეთიდან XVIII საუკუნის მიწურულს. ისინი ჯერ სამეფო სახლს შეკედლებინ ხიზნად, შემდეგ მუხრანელ ბატონებს უყმიათ. მაგრამ შემდეგ წლებში, ადრინდელ ჯავახელ ბატონს მოუკითხნია დიღომში, რომელსაც მათი აყრა მოუნდომებია. ამ საქმეში, ხალხის ჩარევის შემდეგ, *ბროლაძეებს* უფიქრიათ ორივე ბატონის სამსახური, ჯავახელ ბატონს თავის წილს აძლევდნენ ყოველ წელიწადს. „ჩამოუჯდებოდა ჯავახიანთა თავიანთი ბატონი, შემდეგ მისი „ქვრივი" და სანამ მახტას არ მისცემდნენ, ფეხს არ მოიცვლიდა" (ჯ. სონღულაშვილი - „აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის". წ. I. თბ. 1969, გვ. 97). *ბროლაძეები* დიღომში, რომ ნამდვილად ჯავახეთიდან არიან მიგრირებულნი, ამას მათი გვარის ზედმეტი სახელიც – „ჯავახიანი" მიუთითებს. რაც შეეხება *ხოსიტაშვილებს,* ჯავახეთის სოფელ *გოგაშნიდან* მიგრირებულთა ერთი ნაწილი დიღომში დამკვიდრებულა, მეორე ნაწილი – გარე კახეთის სოფელ *გიორგიწმინდაში* დასახლებულა, მესამენი – ქიზიყის სოფელ *ბოდბისხევში.* ბოდბისხევის მკვიდრნი გამხდარან *ხიზაბავრადან* მოსული *ზურაბაშვილები,* რომელთა ადრინდელი გვარი *გვარამაძე* ყოფილა (ს. ხოსიტაშვილი – „ხოსიტაშვილების გვარის ისტორიიდან". თბ. 1996, გვ. 8). *ხოსიტაშვილები* ჯავახეთიდან დიდი ხნის აყრილნი რომ იყვნენ, ამას საისტორიო დოკუმენტები ადასტურებენ. XVII საუკუნის დამდეგს ისინი შიდა ქართლის სოფელ *ღვერთეთში* იყვნენ აღრიცხულნი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რამდენიმე კომლი ჩანს გარე კახეთში, 1781 წლის *დიღმის* აღწერაში კი შეყვანილნი არიან: „*აზატი ხოსიტაშვილი პატარკაცი,*" „*ხოსიტაშვილი გიორგი შეუძლებელი აზატი*" (ივ. ჯავახიშვილი - „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები". წ. I, გვ. 162; 85, 96, 9 69). *ხოსიტაშვილები* დიღმის მკვიდრებად 1674 წლის ყმის ნასყიდობის წიგნში მოწმეებად მოიხსენიებიან, კერძოდ, - „*ხოსიტაშვილი დემეტრა* და *ებიტა*" („დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან". I, გვ. 51). ასე რომ, ამ გვარისანი ჯავახეთიდან საკმაოდ ადრე, სავარაუდოდ, XVI საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყვნენ წამოსულნი. რაც შეეხება დიღმელ *ხმალაძეებს,* ისინი აქ პირველად 1830 წელს იხსენიებიან (ჯ. სონღულაშვილი „აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის". წ. I, გვ. 97). მათი ჯავახეთიდან სოფელ *დიღომში* დასახლება XVIII საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ უნდა მომხდარიყო. იმავე პერიოდში არიან მოსული *ბროლაძეებიც*.

დუშეთთან მდებარე სოფელ *არღუნში ჯავახიშვილები* ცხოვრობენ. ეთნოგრაფიული მასალებით, „ჯავახიანებს ვეტყვით მაგათ. ცეცხლიჯვარში მიყავდათ ბავშვები. **ადრე *მიქელაძეები* ყოფილან და ჯავახეთიდან მოსულან.** *მიქელაძეები* ყოფილან აგრეთვე შიდა ქართლის სოფელ *აბანოში* მცხოვრები *კოკოლაშვილები.* მათი ჯავახეთიდან მიგრაცია და ადრინდელი გვარი დასტურდება საარქივო მასალებითა *(სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. .#2330; ან. 3, საქ. #246)* და ეთნოგრაფიული მონაცემებით, არაგვის ხეობისავე დაბლობის სოფელ *კენჭაკლდეში* არის სალოცავი – „**ჯავახის წმინდა გიორგი**", რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს მოსახლეობის ჯავახეთიდან მიგრაციის თვალსაზრისით. მიგრირებულ მოსახლეობას ხშირად თავისი სოფლისა თუ რეგიონის მთავარი, ძირითადი სალოცავის ნიში გადაჰქონდა ხოლმე ახალ საცხოვრისში.

ჯავახიშვილების გვარი მკვიდრობს ერწოს სოფელ *თოლენჯში.* ეთნოგრაფიული მონაცემებით, ისინი ბატონყმობის დროს, ბატონს გამოქცევიან ჯავახეთიდან.

შიდა ქართლის სოფელ *ხოვლეში ილარიონის* გვარისანი მკვიდრობენ, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო რეგიონიდან მიგრირებულან. მათი ადრინდელი გვარი *ნუსხელაძე* ყოფილა. იქიდანვე („თათრებიდან") ყოფილან მოსული ხოვლელი *მერაბიშვილებიც*. ისინი ჯერ *რკონში* დასახლებულან და შემდეგ გადმოსულან *ხოვლეში*. რაც შეეხება ხოვლელ *ჯალალებს*, ისინი ძირად ჯავახები არიან, გვარად *ხმალაძეები*. მათ წინაპარ ქალს ბატონი მოუკლავს, გამოქცეულან და *ჯალალად* დაწერილან.

ქვემო ქართლის სოფელ *დიდ თონეთში* გლეხი *თაქთაქიშვილები* მკვიდრობენ, რომლებიც დღეს აქ 30 კომლის რაოდენობით არიან. ისინიც, მთხრობელის სიტყვით, ჯავახეთიდან გამოქცეულან. *დიდ თონეთშივე* ცხოვრობენ *ლონდარიძეები,* რომლებიც ჯავახეთის სოფელ *საროდან* არიან გადმოსახლებულნი. გადმოცემით მათ წინაპარს *საროში* „თურქი ფაშა" მოუკლავს. *ლონდარიძეების* წინაპრები XX საუკუნის 20-იან წლებამდე სალოცავად *ვარძიაში* დადიოდნენ.




სოფელ *ნოსტეში ხიზამბარელის* გვარისანი მკვიდრობენ. *პეტრე ივანეს ძე ხიზამბარელის* სიტყვით (დაბადებული 1890 წელს): **„ჩვენი გვარი მოსულია *ხიზამბარადან*. ჯავახეთისკენაა. ერთი კაცი წამოსულა და მისი შთამომავლები ვართ. ჩვენი მთავარი გვარი არის *ტატურაშვილი*. ხიზამბარაშიც მისული იყო, მიხიზნებული. ფრანგების ნასხლეტები ვართ** *(ე. ი. კათოლიკური სარწმუნოებისანი – რ. თ.).* პირველი ღამის უფლების გამო მოკლა ბატონი და გამოიქცა. ამ მიწა-წყალზე გამოქცეულები *თარხნიშვილებმა* ყმად მიიღეს. გვარი შეიცვალეს, რომ იმ ბატონმა არ მიპოვოსო. დამალა გვარი და სოფლის გვარზე დაეწერა. ეს *ტატურაშვილები* კიდევ არიან იქა, *ხიზამბარაში*. 14-15 წლისა ვიყავი, როცა მთელი გვარი წავედით *ხიზამბარაში* სალოცავად. მისვლა-მოსვლას 10 დღე უნდებოდა". *ხიზაბავრიდან* ყოფილან წარმოშობით შიდა ქართლის სოფელ *სკრაში* მცხოვრები *მულაშაშვილები,* რომელთა ადრინდელი გვარი *პაწაძე* ყოფილა (ზ. ქუქჩიშვილი ჯავახეთის სოფელ ხიზაბავრას ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხები. მესხეთი-საისტორიო კრებული, ტ. I, ახალციხე. 1997, გვ. 53, 57).

ხიზაბავრელები თბილისშიც იყვნენ გადმოსახლებულნი. *შ. ლომსაძეს* აღნიშნული აქვს: „თბილისში დაბრუნებული ივანე (საუბარია *ივანე გვარამაძეზე*, იგივე *ვინმე მესხზე* – რ. თ.) სოლოლაკში ბიძასთან ჩამომხტარიყო. სამცხე-ჯავახეთის შემოერთებამდე ხიზაბავრის რამდენიმე დევნილი ოჯახი აქ სოლოლაკში იყო დასახლებული. სამცხე-ჯავახეთის შემოერთების შემდეგ ძველ „სოლოლაკელებს" ხიზაბავრელთა ახალი ნაკადი შეემატა" (შ. ლომსაძე. „მესხები" (ახალციხური ქრონიკები), II, თბ., 1997, გვ. 33).

სოფელ *თელათგორში მუხიგულაშვილები* მკვიდრობენ. ეთნოგრაფიული მასალებით, – „ახალციხის მხრიდან ვართ. იქ *ჟუჟუნაძეები იყვნენ*. შეიცვალეს გვარი. *თარხნიშვილების* ყმები გახდნენ". *კავთურას ხეობაში* მცხოვრები *აბუაშვილებიც* ჯავახეთიდან, სოფელ *ბარალეთიდან* ყოფილან გადმოსახლებულნი (ს. მაკალათია. კავთურის ხეობა. თბ. 1960, გვ. 10).

მეჯუდას ხეობაში, *ისროლის ხევზე* იყო სოფელი „*ჯავახთა*". ეთნოგრაფიული მონაცემებით, **„აქ ძველად ჯავახებს უცხოვრიათ. ეგენი მოსულები ყოფილან. გვარიც ჯავახი იყო. გაფანტულან ახლომახლო სოფლებში: ფლავი, ფლავისმანი, სათემო".**

ფშავის სოფელ *ხოშარაში* (გაბიდაურთ თემი) ნაკვეთაურები ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული მასალებით, *ნაკვეთაურების* პაპა ჯავახეთიდან წამოსულა და შემოხიზნულა *ხოშარის* თემში. აქ დაყმობია მათს სალოცავს. *გაბიდაურებს* თავის სოფელში დაუყენებიათ და მიუღიათ თავის თემის წევრად. ჯავახეთში *ნაკვეთაურების* წინაპარს მაჰმადიანობა ჰქონია მიღებული. „ერთი ხნიერი კაცი იყო *ბეჟანა ნაკვეთაური* – მიამბო ბასილმა – ჩემს ბალღობასა და ის ამბობდა: ჩვენი ნაციხვარი ჯავახეთში ისევ არის, საიდანაც ჩვენი პაპა წამოსულაო" (ალ. ოჩიაური. „ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" (ფშავი). თბ. 1991, გვ. 285-286). ჯავახეთიდან ყოფილან მოსული ფშავის სოფელ *შუაფხოში* ბერიანიც: „გაქრისტანებულნი იყვნენ: ბერიანიც. ამათი პაპა გამოქცეული ყოფილა ჯავახეთიდან ბატონის უსამართლობის გამო. მთქმელმა მითხრა, მაგათი პაპის ნათქვამია ეს ლექსიო: „მე ჯავახეთს რა მიშავდა, მთვარე იდგა მზესავითა,//კალმახი და ქერის პური წინ მეყარა ბზესავითა". ეს შემღერნა ერთ-ერთ დღეობაში ლექსობის დროს და იქიდან ხალხში გავრცელდაო" (ალ. ოჩიაური. „ქართული ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში" (ფშავი), გვ. 280).

ბორჯომის ხეობის სოფელ *ქვაბისხევში მაისურაძეები* მკვიდრობენ. ერთ-ერთი ვერსიით, ისინი წარმოშობით რაჭიდან არიან. რაჭიდან მებატონეს გამოქცევიან. ქართლიდან ჯავახეთის სოფელ *გოკიოში* გადასახლებულან. აქ კარგა ხანს ცხოვრების შემდეგ, თურქების გამო შეწუხებულები ისევ ქართლში (სოფელ *ყელქცეულში*) მოსულან. ბოლოს, *ყელქცეულში* მამულები გაუყიდიათ და *ქვაბისხევის* ხეობაში დამკვიდრებულან.

სოფელ *დვირში ხუციშვილები* ცხოვრობენ, რომლებსაც მიგრაციის რთული გზა გაუვლიათ. ჯერ *წრომში* უცხოვრიათ, *წრომიდან ოშორაში* გადასახლებულან, *ოშორიდან – თისელში, თისელიდან – დვირში*. *სალარიძეები,* რომლებიც ზემო იმერეთის სოფელ *ჯვარიეწერიდან* არიან, ჯერ ქართლში გადმოსახლებულან, ქართლიდან – ჯავახეთში, ხოლო ჯავახეთიდან ბოლოს *დვირში* და *ქვაბისხევში* დაფუძნებულან.

ქართლში მცხოვრები *ანანიაშვილები* ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებულები, ხოლო ჯავახეთში უფრო ადრე *არტაანიდან* მოსულან. ბორჯომის რაიონის სოფელ *ტაძრისში* მცხოვრები *ბალახაძეებიც* ჯავახეთიდან, სოფელ *ვარევანიდან* მოსულან. სოფელ *ტაძრისში შაყულაშვილები* ცხოვრობენ. აქ ისინი *კასპის* რაიონის სოფელ *კავთისხევიდან* არიან გადმოსახლებული. თავის მხრივ, კი *კავთისხევში* ჯავახეთის სოფელ *სამსარიდან* ყოფილან მიგრირებულნი.

ეთნოგრაფიული მასალებით, ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებული *პატარა ლილოში* მოსახელე *ყარყარაშვილები. ყარყარაშვილების* ადრინდელი გვარი *ნაკაშაშვილი* ყოფილა. *ყარყარაშვილების* წინაპარი *ნაკაშაშვილები* ჯავახეთიდან თურქებს გამოქცევიან. სოფელ *პატარა ლილოში* პირველად სწორედ ისინი დასახლებულან. *ყარყარაშვილები* ლოცულობენ წმინდა გიორგი ეკლესიაში, რომელიც მათ გადმოსახლების შემდეგ აუშენებიათ. წარწერის მიხედვით ეკლესია 1670 წელსაა აშენებული.

ეთნოგრაფიული მონაცემებით, ჯავახეთიდან არიან გადმოსახლებული ქვემო ქართლში სოფელ *გომარეთის* მცხოვრებნი XVIII საუკუნის დასასრულს. *დიდ გომარეთში* ჯავახეთიდან მიგრირებულ გვარებს შორის შეიძლება დავასახელოთ: *ხმალაძეები, სამადაშვილები, ჭალიძეები, გვარამაძეები, ლაგურაშვილები, ელბაქიძეები, ჩაჩანიძეები, ხიზანიშვილები, მუჯირიშვილები, ბალახაძეები, მურჯიკნელები...*

ქვემო ქართლში სოფელ *დიდ კლდეისარში* მცხოვრები *ასპანიძეები* ჯავახეთიდან გადმოსახლებულან (გ. ჯალაბაძე. „ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური სურათი". კრ.: ქვემო ქართლი. თბ. 1990, გვ. 10). ქვემო ქართლშივე, სოფელ *განთიადში* (დმანისის რაიონი) *დევნოზაშვილების* 40 კომლი მკვიდრობს. მათი წინაპარი *დევნოზ ნათენაძე* ჯავახეთის სოფელ *გოგაშენიდან* რვა თაობის წინ გამოქცეულა. ჯავახეთიდან ქვემო ქართლში მისი მიგრაციის მიზეზი თათრის მოკვლა ყოფილა. სხვათა შორის, დღესაც *გოგაშენში* მცხოვრებ *ნათენაძეებს* და *განთიადში* მცხოვრებ *დევნოზაშვილებს* „ყურდუანთ" ეძახიან. *განთიადშივე* (ძველი *ყალამშია*) მკვიდრობენ *ციხელაშვილები*, რომელთა წინაპარიც ჯავახეთიდან XVIII საუკუნის ბოლოს გადმოსახლებულა. *განთიადში* XIX საუკუნის 20-იან წლებში ჯავახეთიდან სხვა გვარებიც მიგრირებულან: *კავლელიშვილები, ოკმელიშვილები, ბერიძეები, ლონდარიშვილები, დათუაშვილები* (ს. ხოსიტაშვილი. „ხოსიტაშვილების გვარის ისტორიიდან"). 1784 წლის ერთ დაზიანებულ საბუთში, რომელშიც შემწირველის ვინაობა გაურკვეველია, ვკითხულობთ: **„მამაჩემი ჯავახეთიდამ გადმოსულიყო და ქართლში ცხოვრებულიყო... მშობლები დამეჴოცნენ, პატრონი... არავინ მყავდა... მოველ ჩემის ნებით... ჩემი თავი გაყმე... (ნათლისმცემლის მონასტერს)..."** (ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები. შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ. ტფ. 1903, გვ. 148-149).

ჯავახეთიდან ქართლში პრივილეგირებული ფენების წარმომადგენლებიც გადმოსახლებულან. ჯავახეთიდან მიგრირებულ აზნაურულ გვარებს შორის *იოანე ბაგრატიონი* ასახელებს *ტარჯაიჭაშვილებს, მახვილაძეებს, ჩივაძეებს, ვაჩიანიძეებს* (ბაგრატიონი იოანე. „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა" თბ. 1997, გვ. 61, 91, 95, 101). გადმოცემით ჯავახეთიდან არიან ქართლში მოსული აზნაური *ალექსიძეებიც*. *მახვილაძეები* რომ ნამდვილად ჯავახეთიდან იყვნენ, ამას 1712-1714 წლებით დათარიღებული ერთი დოკუმენტიც ცხადჰყოფს. *სვიმონ ბატონიშვილის* ბრძანებაში პირდაპირ მითითებულია: "...ეს **მახვილაძე როსტევან და იმის შვილები ჯავახეთიდამ აგვიყრია და წასული ისრე მოგვიყვანია და *ოძისს* ჩვენს ნასყიდში დაგვისახლებია.** ამასთან ჴელი ნურავისა აქვს..." („საქართველოს სიძველეები". ე. თაყაიშვილის რედაქტორიბით. ტ. II. ტფ. 1909, გვ. 309). 1769 წელს სარდალ *რევაზ ამილახორს* ჯავახეთიდან ხალხი გადმოუყვანია და *ერეკლე II*-ის ბრძანებით მას ყმებად უმტკიცებს (ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები. 1736-1797 წლები. თბ. 2008, გვ. 63). ჯავახეთიდან მიგრაციის ფაქტია დადასტურებული 1793 წლის *ერეკლე II*-ის ერთ-ერთ წერილშიც. მეფე გორის მოურავს საყვედურობს, რომ მან, მეფის ნებართვის გარეშე, ახალციხიდან გორში ტყვედ წამოყვანილი *ჯავახი დათუნა* იყიდა, რომლებიც ადრე სამეფო ყმები ყოფილან (ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები. 1736-1797 წლები, გვ. 194).

როგორც ზემოთ ითქვა, ჯავახეთის, ისევე როგორც მთელი ზემო ქართლის (მესხეთის) მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მაჰმადიანობა მიიღო. თურქ ხელისუფალთა საადგილმამულო პოლიტიკამ ქრისტიანი ქართველები აიძულა მაჰმადიანობა მიეღოთ (შ. ლომსაძე „სამცხე-ჯავახეთი" (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუაწლებამდე), თბ., 1975, გვ. 284). არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ერთი გვარის ერთი ნაწილი ქრისტიანი და ქართველი იყო, მეორე – მაჰმადიანი, ე. ი. თათარი. მხარის რუსეთთან მიერთების შემდეგ, ცარიზმის პოლიტიკის შედეგად მაჰმადიანი ქართველების ძალიან დიდი ნაწილი ჯავახეთიდან აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. აქედან მაჰმადიანთა გადასახლება თურქეთის შიდა პროვინციებში რუსული ხელისუფლების დამყარებამდეც ხდებოდა. სამწუხაროდ, მაჰმადიანი ქართველი თავს ქართველად აღარ მოიაზრებდა, მაშინ ეთნიკურობა და სარწმუნოება, ფაქტობრივად, ერთმანეთთან იყო გათანაბრებული. მაჰმადიანობამიღებული ქართველების უმეტესობისთვის დედაენას კვლავ ქართული წარმოადგენდა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში გერმანელი გიულდენშტედტი წერდა: **„ჯავახეთი არის ქართული მხარე, რომელიც ამჟამად მთლიანად თურქების ხელშია** (გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში". ტ. I, გვ. 215).

*(დასასრული შემდეგ ნომერში)*

## კახაბერ ჯაყელი

ჩემი დიდებული მკითხველი, როგორც ჩანს, კარგად ჩაწვდა ავტორის მთავარ აზრს, რომ „ჯაყელთა 1000 წელი“, ეს არა მარტო ჯაყელთა, არამედ მესხთა ცხოვრების გადმომცემი წიგნია. ბოლო პერიოდში არაერთი მესხი მიკავშირდება ამის თაობაზე, რაც ძალიან მახარებს და მამხნევებს. უნიჭიერეს მესხებს თავიანთი კუთხეების ღრმად წარმოჩენა მოსწყურებიათ. ამას წინათ, უძველეს ქალაქ ვალედან, ერთი გამოჩენილი კაცი, დამიკავშირდა. მისი სახელია ვახტანგ ზაქროშვილი, რომელმაც სიამოვნებით გამაცნო თვისი გვარის გმირული ისტორია. ზაქროშვილები – უძველესი მესხები არიან, მათი წინარე გვარია მანველიშვილი. მანველიშვილებისა და ზაქროშვილების ისტორია, მართლაც შეუპოვარი და გმირულია. მომავალში – „ჯაყელთა 1000 წელი“, ყველა მესხურ გვარს გააცნობს მკითხველს. ბატონმა ვახტანგ ზაქროშვილმა ქალაქ ვალეზე და მესხურ ქალაქებზე მეტად საინტერესო მოსაზრება გამანდო,, რომელსაც მესხური სიბრძნე და შემოქმედებითობა ახლავს თან.

მეც მინდა გაგიზიაროთ ჩემი აზრი, ძვირფასო მკითხველო:

– გრიგოლ ხანძთელისა და შოთა რუსთველის ქვეყანა და მისი ერთ-ერთი მხარე, ამ გენიოსების უშუალო მშობელი – მესხეთი, „ჯაყელთა 1000 წელში“ მთლიანად უნდა მოვიცვათ, – მესხეთი უამრავი დიდი გვარის საცხოვრებელი ველია. ამიტომაც დიდი მადლობელი დაგრჩებით, ძვირფასო მკითხველო, თუ მომაწვდით თქვენი გვარის, ქალაქის, სოფლის, ციხესიმაგრეების, ეკლესია-მონასტრების, საყდრების, ქვაბულების, შესახებ ცნობებს, რომლებიც მომავალ თაობებს უნდა შემოვუნახოთ.



# დიდი მესხეთი და ქალაქთა მაშენებელი მესხი: მცხეთა, არსენ დიდი და ქალაქი ვალე

### მესხები და ქალაქი მცხეთა

მესხები, *რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს მსოფლიოს ცივილიზაციის შექმნაში,* თავდაპირველად, *„ნაყოფიერების ნახევარმთვარეზე“ იყვნენ განფენილნი*. ისინი ებრძოდნენ და ამარცხებდნენ ბაბილონის, ხეთების, ხათების, არამიელების, ირანისა თუ არაბეთის სახელმწიფოებს. ხუთი საუკუნის განმავლობაში მესხები შიშის ზარს სცემდნენ მაშინდელი სამყაროს ყველაზე ძლიერ მეფეებს. დღეს მესხების კვალი ადვილად მოიძიება სირიაში, ერაყში, ირანის მთებში, კაპადოკიაში, ანატოლიის მიწაზე, ქალაქების – სამსუნის, რიზეს, ტრაბზონის, ყარსის, იბლისის ძველ უბნებში, სადაც გადარჩენილია სამყაროს ერთ-ერთი მთავარი საკაცობრიო ფესვი, რომელსაც ჰქვია – *„მესხი“*, „მუსხი“, „მეშეხი“ თუ *„მოსოხი“*.

მესხებმა საფუძველი დაუდეს ქალაქ მცხეთას და ქართლის შუაგულში, იქ, სადაც მტკვარი და არაგვი ერთმანეთს ერთვიან, ამ მაღალმა ინტელექტუალურმა ხალხმა გადაწყვიტა თავისი ცივილიზაციის ერთ-ერთი მთავარი ქალაქის დაარსება.

რატომ მაინცდამაინც არაგვისა და მტკვრის გადაკვეთაზე? მესხები შუმერებთან წილნაყარი ხალხი იყო. არავინ იცის, აღარავის ახსოვს, იქნებ, აღარავის სჭირდება, მაგრამ შუმერთა ქალაქური არქიტექტურა კარგად იყენებდა ლერწამს. თავად შუმერთა ქვეყანას, რომელსაც ქი-ენგს უწოდებდნენ თავად „შავთავიანებს“ – ლერწმის მიმართ დიდი ინტერესი გააჩნდათ.

ქი-ენგი ნიშნავდა „ლერწმის მეუფის მიწას“. ჩვენ არ ვიცით, არის თუ არა „ქი-ენგი“ იგივე, რასაც კოლხები „ქიანას“, ანუ „ქვეყანას“ უწოდებენ დღესაც, *მაგრამ ხმოვანებით ქი-ენგი და ქიანა ერთმანეთს მართლაც წააგავს.*

გარკვეულწილად, შუმერები ლერწმის მეუფის ცივილიზაციას წარმოადგენდნენ და მათთან წილნაყარი მესხები იგივე საუკუნეობრივი გამოცდილებით იყვნენ აღვსილნი. შესაბამისად, როდესაც ისინი დაეუფლნენ მტკვრისა და არაგვის შესართავს, მესხთა ყურადღება ერთმა ფაქტორმა მიიპყრო, რაც მათი სამეურნეო ცხოვრების მთავარი საფუძველი გახლდათ. მტკვრისა და არაგვის შესართავი ლერწამს მიჰქონდა. მათი ნავნავის მაცქერალი მესხები ბაგინეთის ფერდობზე ჩამოჯდნენ და ერთმანეთს გადახედეს.

უხსოვარ დროს, ქალაქი მესხთა, იგივე მცხეთა, შუმერთა სამშენებლო გამოცდილებითა და სამეურნეო ჩვევებით დაარსდა ორი მდინარის შესართავში, ლერწმის ყანაში. *ქი-ენგის ცოდნის გამოყენებით მესხებმა ხელოვნური კუნძულებიც შექმნეს, სადაც მოსავლის რაოდენობა უეცრად გაიზარდა და მცხეთამაც სწრაფი აყვავება დაიწყო.*

მესხები მიხვდნენ, რომ დიდი შუმერის ცივილიზაცია დასასრულს უახლოვდებოდა. ველური ტომების სიმრავლე, მათი სიმძვინვარე და შინააშლილობა, ანგრევდა ქი-ენგის კეთილშობილურ იმპერიას, ამიტომაც მთებში გამაგრება და მათი ღვთაებრივი ენის, *სისხლისა და ერის* გადარჩენა იყო საჭირო.

მცხეთა გახდა მესხთა მთავარი ქალაქი. მან გარშემო მრავალი თემი შემოიკრიბა და ხალხმრავალ ადგილად იქცა. რწმენა მრავალ ღვთაებას მოიცავდა. ცხოვრობდნენ გვარებად, აგებდნენ მომრგვალებული ქვის დიდ სახლებს, რომელთაც საკრებულო ეწოდებოდა. შუაცეცხლი იმგვარად იყო მოწყობილი, რომ იგი მაღლა ჭერში პენტოგრამის ფორმის საკვამურით ბოლოვდებოდა. ამგვარი საკვამური, რწმენის სიმბოლო იყო. ღამე ცა მოჩანდა მუდამ. თანავარსკვლავედების ცქერისას მესხთა ბელადები თავისი ხალხის სამომავლო ლაშქრობების მიმართულებებს ადგენდნენ. შუადღისას, როდესაც მზე დაადგებოდა პენტოგრამის ფორმის მქონე სახლს, მესხი მის სხივებს ახლად გამომცხვარი პურით უნდა შეეგებებოდა. პურსაც იგივე ფორმას აძლევდნენ. იგი იყო პატარა მზე, რომელიც დიდ მზეს ხვდებოდა და ამგვარად სამყარო სახლის თავს ლოცავდა.

ქვის სახლების გარშემო უამრავი ლერწმის სახლი მოჩანდა, მათ სახურავებიც ლერწმისა ჰქონდათ. *სახლიკაცები საკრებულოში* – ქვის სახლებში მორიგეობდნენ, ბჭობაში მონაწილეობდნენ, ქალები კი ლერწმის სახლებში ბავშვებს ზრდიდნენ. მტკვრისა და არაგვის შესართავი თევზით იყო ცნობილი. გარშემო კლდეებზე მესხებმა გამოქვაბულების გამოჭრას მიჰყვეს ხელი. ეს საქმე მათ კარგად გამოსდიოდათ. მცხეთისაკენ მომავალი გზის დასაცავად, უამრავი გამოქვაბული გამოთხარეს, შიგ მეომრები ჩასვეს და მათ ბრძანება მისცეს, მტერს ცოცხლად არ დანებებოდნენ, ქალაქი და თემი დაეცვათ.

ერთხელ, როდესაც კიმერების საბრძოლო ეტლები გამოჩნდნენ, ჰაერში რამდენიმე ცეცხლოვანმა ისარმა გაიშხუილა და დაწნული ლერწმისაგან აშენებულ კოშკს დაერჭო. ლერწამი სწრაფად აალდა. მომხდურებმა იგრძნეს მესხთა ორგანიზებულობა და ეტლები მოატრიალეს. კიმერები დიდი მეომრები იყვნენ, სახელწოდება – გმირი, შესაძლოა, კიმერიდან მოდიოდეს. მაგრამ, ამჯერად, ისინი უკუიქცნენ. მესხების მხედრობას მთელ აზიაში ჰქონდა სახელი გავარდნილი. ისინი არამარტო ომით, არამედ მთებისა და ფერდობების გამოთხრის ოსტატობით იყვნენ ცნობილნი. შემდგომ, მრავალი საუკუნის განმავლობაში, მესხებს ეს ცოდნა ფართოდ გამოუყენებიათ. შექმნილა ვარძიისა და კაპადოკიის სამონასტრო კომპლექსები, რომელნიც დღესაც აოცებენ მნახველებს.

მესხები მცხეთას ღმერთთა ადგილსაც უწოდებდნენ. იგი მათთვის ზე-და ქალაქი იყო.

### საუბარი მესხ კაცთან, ბატონ ვახტანგ ზაქროშვილთან

– ახლა რომ მკითხონ, ვახტანგ ზაქროშვილო, რა გალაპარაკებს შენს მხარეზეო, უმალ მიუგებ ჩვენი დიდი აკაკი წერეთლის სიტყვებით: „ისტორული სიმართლე მალაპარაკებს და არა ისტორიული გატაცება, რომ ჩვენი წარსული გასაოცარია! უძველესი დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავდებოდეს – ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ...“ – ამბობს ბატონი ზაქროშვილი.

– კი გვესეოდნენ, განსაკუთრებით მესხეთი იდგა დიდ იმპერიათა გზაგასაყარზე. გაგვიჭირდა დგომა, ბატონო ვახტანგ – ვამბობ მე

– კვლავ აკაკის სიტყვებით გიპასუხებ: – „საქართველო იდგა როგორც სალი კლდე ზღვის პირას, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ეხეთქებიან, მაგრამ დაუძლურებულნი და ქაფად ქცეულნი უკანვე იქცევიან“.

**–** აბა, რას გვეტყვით, ბატონო ვახტანგ, თქვენს პატარა ქალაქ ვალეზე, რომელიც, დღეს, საქართველოს საზღვარს ნებსით თუ უნებლიეთ, მიბრჯენია და გამშვებ პუნქტად გადაქცეულა?

– სწორედ ეგ, თქვენი წინაპარი, დიდი ფეოდალი, მირიან ბაჰლაუნდი, რომელიც რამდენიმე ქართული საგვარეულოს – ჯაყელთა, ხურსისძეთა, ფალავანდიშვილთა და სხვათა და სხვათა დამფუძნებლად მეგულება, ვალეში ცხოვრობდა. ვალე არ იყო პატარა ქალაქი. იგი გახლდათ მესხური ცივილიზაციის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი და დიდი ფეოდალის ციხე-ქალაქი.

ამ სიტყვებზე ბატონი ვახტანგს თვალებში იმგვარი ცეცხლი აუბრიალდა, რომ გამახსენა თავად ზაქროშვილ-მანველიშვილების ისტორია, რომელიც მუდამ ქართულ საქმესთან ყოფილა შეკავშირებული.

**–** რა საბუთებია ამ მტკიცებისა?

**–** ვეკითხები და, განგებ, ეს იმგვარად ვთქვი, როგორც ძველ ქართლურ დიალექტში იყო გავრცელებული.

– ქალაქ ვალეში აღმოჩენილია დიდი გვირაბი, მე-9 საუკუნის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის გვერდით. აქვე უნდა ყოფილიყო დიდი ციხესიმაგრე, სადაც მესხეთის ფაქტიური მპყრობელი და გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრე – მირიან ბაჰლაუნდი, მხედრული სიმტკიცით გამორჩეული კაცი, ცხოვრობდა. ნადირაძეების სახლთან, რომელიც აქედანაც მოჩანს, არის უძველესი აბანო, გადახურული ოვალური დიდი ფიქლებით – ეს აბანო ჯაყელთა სასახლის აბანოს ნაშთი მგონია, მე. სადაც ახორეთის წყლები ჩამოედინება, გვირაბიც იქით მიემართება, ვებერთელა გვირაბია. მისი ბოლო თავდება იქ, სადაც დღეს „ბოლო-ბოსტნებია“ განფენილი.

ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ვალეს ეკლესია თავიდან ჯვარგუმბათიან ტაძარს წარმოადგენდა, შემდგომ, საკმაოდ დაზიანებულა, რადგან დედისიმედ ათაბაგს უკვე სამნავიან ბაზილიკად აღუდგენია და მისთვის ერთი წყვილი სვეტიც მიუმატებია. ეკლესიის თითოეულ ნავს საკუთარი სახურავი აქვს, შუას – ორკალთიანი, გვერდებისას – ცალკალთიანი.

მე-20 საუკუნეში, როდესაც ეკლესიას რესტავრაცია გაუკეთეს, იგი თითქმის მიწით ყოფილა დაფარული, – დიდძალი მიწა გაუტანიათ მისი ეზოდან. რომ იცოდეთ, ეს მიწა გარედან კი არავის შემოუტანია, არამედ ესაა დაქცეული ციხე-დარბაზის ნაშთი. ციხე-დარბაზს უამრავი სამეურნეო შენობა ექნებოდა, რომლებიც შემოსევის დროს დაიქცა და მიწად იქცა. დღესაც ჩვენი ტაძრის სამხრეთის მხარე კიდევ გასაწმენდია. ცნობილი მეცნიერი შოთა ლომსაძე, წიგნში – „მესხებში“ წერს, რომ ვალეს ეკლესიას გალავანი ჰქონდაო. ასეც იქნებოდა, მაგრამ ყველაფერი დაინგრა.

**–** საინტერესოა, მართლაც – სახელი ვალეც მიმზიდველია, **–** ხმამაღლა ვამბობ და პატივცემული რესპონდენტი აგრძელებს:

– კარგად ვიცი, ჯაყელთა ისტორია, თქვენც იცით, მაგრამ, რასაც ახლა მოგიყვებით, უთუოდ თქვენც გამოგადგებათ და თქვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება. მოგეხსენებათ, რომ მირიან ბაჰლაუნდი ჩაესიძა დიდი მესხეთის მფლობელს გიორგი ჩორჩანელს, რომელიც უკანასნელი იყო მისი დიდებული გვარიდან. ლატავრა ჩორჩანელი გადარჩა, როგორც ბოლო წარმომადგენელი ამ დიდებული დინასტიისა და ეს ლატავრა დედა გახდა სამი ვაჟისა, რომლებსაც ერქვათ: სულა, ბეშქენი და ლაკლაკი.

რაც მთავარია, სწორედ ვალეში, მირიანის შვილიშვილის, მირიან II-ის ოჯახში დაიბადა დიდი სასულიერო მოღვაწე არსენი, რომელსაც შემდეგ უკვე არსენ დიდად მოვიხსენიებთ.

რადგან ქრისტიანობამ, განსაკუთრებით მესხეთში, იმძლავრა, დიდი ქართველის (მესხის) – გრიგოლ ხანძთელის საქმიანობის შედეგად, პატარა არსენიც (6 წლის ასაკში), აღსაზრდელად მასთან გაიგზავნა.

როგორ მოხერხდა ასე მცირეწლოვანი ბავშვის ამ დიდ პიროვნებასთან მიბარება? – ვეკითხები ბატონ ზაქროშვილს.

– წმინდა გრიგოლ ხანძთელს განუსაზღვრელად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, – მეფე და დიდებულები მას ვერ უბრძანებდნენ, – შვილი გამიზარდეთო. რაც ყველაზე საინტერესოა, თავად გრიგოლ ხანძთელი ახლოს იყო ჩორჩანელთა საგვარეულოსთან. იგი ნათესავი იყო მირიან მთავრის. აქედან ჩანს, რომ, ალბათ, აქ შეხვედრია დიდი სასულიერო მოღვაწე პატარა არსენს და მისი ყურადღება მიუქცევია თავისი აზროვნებითა და სასიამოვნო გარეგნობით.

**–** მიავლინეს არსენი გრიგოლ ხანძთელთან. ეს, იმ დროისათვის, უნდა ყოფილიყო უფრო მეტი განათლების მიღების შანსი, ვიდრე ის, რასაც დღეს, ოქსფორდი და ჰარვარდი ჰპირდება თავის მსმენელებს – ვთქვი მე.

– უფრო მეტიც, ბერძნული აკადემია, უკვე გაუქმებული იყო, პირველი უნივერსიტეტი კი ბოლონიაში მე-14 საუკუნის დასაწყისში დაარსდა. ამგვარად, გრიგოლ ხანძთელის საგანმანათლებლო სამონასტრო სკოლა, იმ დროისათვის ყველა შემდგომი დროის უნივერსიტეტს აღემატებოდა. ეს განათლება სწორად იქნა გამოყენებული არსენის მიერ. იგი შეიქნა უაღრესად სწავლული და არსენ დიდი მცხეთის კათალიკოსი გახდა 897 წელს.

საქართველოს მაშინდელ მმართველს – გუარამ მამფალს, არ სურდა მცხეთის საკათალიკოსო სხვა საგვარეულოსთვის დაენებებინა, მაგრამ არსენ დიდის მამა, მირიან II – მთავარი სამცხისა, იმდენად ძლიერი ფეოდალი ყოფილა, რომ მას გუარამ მამფალმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედა და თითქოს და, დანებდა კიდეც. შემდგომ, როდესაც გუარამ მამფალმა შეაგულიანა ეკლესიის მამები და არსენ დიდის გადაყენება მოინდომა კათალიკოსის ტახტიდან, მაშინაც, საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჯავახეთში იქნა მოწვეული, არსენ დიდი მცხეთის კათალიკოსად იქნა დადგენილი.

თუ არსენი დაიბადა 820 წელს, მაშინ იგი 826 წელს მიუყვანიათ ხანძთაში მამა გრიგოლთან. საინტერესოა, რომ გრიგოლ ხანძთელმა მას 20 წლიანი განათლების კურსი დაუნიშნა. 845 წელს არსენი ამთავრებს იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სკოლას, რომელსაც გრიგოლ ხანძთელი უზის რექტორად. 850 წელს არსენი უკვე მცხეთის კათალიკოსია. იცით, რა სიტყვებით ამკობს მას ბრძენი გიორგი მერჩულე?

– „არსენი, რომელსაც ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოსი და მცხეთისა საყდრისა გვირგვინი დაუჭნობელი...“, რომელმაც – „სიხარული მოჰფინა, რამეთი საყდარი მამამთავრობისაი შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“. აი ასეთი იყო დიდი არსენი გიორგი მერჩულეს სიტყვებით.

სამცხის დიდ მთავარს – მირიან II-ეს, ცოლად ჰყავდა ცნობილი ქალბატონი, დედოფალი კრავაი. ჩვენ არ ვიცით ამ ქალბატონის გვარი, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს სახელი მტკიცედ შემოდის ჯაყელთა დინასტიაში და მრავალი საუკუნის განმავლობაში ამ სახელით არაერთი ქალბატონი მოიხსენიება.

**–** გავაგრძელოთ სახელგანთქმულ ქალაქ ვალეს აღწერა, ბატონო ვახტანგ, **მართლაც,** საინტერესოა ამ გვირაბის ისტორია.

– გვირაბი მიემართება ფოცხოვის ხეობისკენ და, ასევე, ირქის ეკლესიისაკენ. მირიანის ძეთა სასახლის საძირკველი დღესაც მოსჩანს. ამ ადგილას გათხრები რომ ჩატარდეს, ბევრი რამ იქნება მოძიებული. ადგილობრივი მკვიდრის პანტელ ნადირაძის გადმოცემით – დიდი წვიმების დროს, ეს აბანო მთიანად ივსება, მაგრამ მას მიწისქვეშა თიხის გამომწვარი მილებით დღესაც გააჩნია მოქმედი არხები, შესაბამისად, მესხი ოსტატების გაკეთებული ეს უძველესი აბანო, დღესაც არ „იჭედება“. დაგროვილი წყალი თავისუფლად გადის და სადღაც იკარგება.

**–** საინტერესოა, ბატონო ჩემო, აბანოს ოსტატები ყოფილან ძველი მესხები.

– დიახ, მაგრამ უფრო მეტსაც გეტყვით, ვალეს წმინდა ღმრთისმშობლის შობის ეკლესიის ეზოში მოიძებნა უძველესი ძეგლი - რომელსაც „კრავაი“ ჰქვია, ამგვარი ძეგლები ძალიან იშვიათია საქართველოში. საფიქრალია, რომ ეს გახლავთ მირიან სამცხის მთავრის მეუღლე – დედოფალი კრავაი, რომლის სახელი შემდეგ ეწოდა დიდ ქართველ დიპლომატ ქალბატონს, თამარ მეფის სეფექალს – კრავაი ჯაყელს.

„სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლების“ ავტორმა, აკადემი-

დასასრული მე-12 გვ. ▶

# „მესხები - ძალიან უცნაური ხალხია“

ვაგრძელებთ მკითხველისთვის იმ ორგანიზაციების გაცნობას, რომელიც დეპორტირებული მესხების შთამომავლებმა შექმნეს სხვადასხვა ქვეყანაში. „ვათანისა “ და „ხსნის“ შემდეგ ვისაუბრებთ **„ახისხაზე“**. ამ სახელწოდებით არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია. ამჯერად შევეხებით **„რესპუბლიკურ საზოგადოებრივ ორგანიზაცია „ახისხას“,** რომელიც თათარისტანის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს.

თათარისტანში 1992 წელს პრეზიდენტის, **მინტიმერ შაიმიევის** მონაწილეობით შედგა თათარისტანის ხალხების პირველი სხდომა, რომელმაც მიიღო რეზოლუცია „ეროვნულ-კულტურულ საზოგადოებათა ასოციაციის“. შექმნის შესახებ (АНКО). 1997 წელს ასოციაციამ მიიღო სახელმწიფო საბიუჯეტო დაფინანსება. 1999 წელს ასევე სახელმწიფო სახსრებით ასოციაციას გადაეცა ხალხთა მეგობრობის სახლი.

2007 წელს ჩატარდა თათარისტანის ხალხების მეორე სხდომა, სადაც მიიღეს გადაწყვეტილება ასოციაციის მოდერნიზაციის შესახებ და შეიქმნა თათარისტანის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების წარმომადგენელთა ასამბლეა. ასამბლეის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა: თათარისტანის ხალხების ენების შენარჩუნება და განვითარება; არამატერიალური მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება; საინფორმაციო უზრუნველყოფა და მომსახურება; მიგრაციული პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა; რეგიონთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება; თათარისტანის ხალხების ასამბლეის ფარგლებში ახალგაზრდული მოძრაობის ფორმირება და განვითარება; თათარისტანის ხალხების მხატვრული შემოქმედების შენარჩუნება და განვითარება; სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობა; საორგანიზაციო-ადმინისტრაციული მიმართულება.

სწორედ ამ ასამბლეის ფარგლებში თათარისტანში არსებობს **„თურქი-მესხების რესპუბლიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახისხა“.** ორგანიზაცია ასამბლეას შეუერთდა 2004 წლის დეკემბრიდან. გაერთიანებას დასაწყისში ხელმძღვანელობდა **გავხარხონ აფრაზიმეს ასული ფაზაილოვა.** 2011 წელს მას ჩაენაცვლა ახალი თავმჯდომარე **საიდ სულიევი.**

ორგანიზაცია, წესდების მიხედვით, საანგარიშო-საარჩევნო კრებებს მართავს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ. ბოლო კრება გაიმართა 2016 წლის მარტში. კრებას ესწრებოდა 9 წარმომადგენელი. კრებაზე ორგანიზაციის თავმჯდომარედ კიდევ ერთხელ ერთხმად აირჩიეს საიდ სულიევი.

ორგანიზაციის შექმნის ისტორია უკავშირდება თათარისტანში დეპორტირებული მოსახლეობის შთამომავალთა დასახლებას. როგორც ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, დიასპორა თათარისტანში დიდი არ არის – დაახლოებით 70-მდე ადამიანი. ამ ხალხის, როგორც თავად უწოდებენ – „თურქი-მესხების“ შთამომავლები ყაზანში პირველად მოხვდნენ როგორც დაქირავებული მუშები, კულ შარიფის მეჩეთის ასაშენებლად. გარემო, რომელიც დახვდათ – სიმშვიდე, ადამიანური, საქმიანი ურთიერთობები, გახდა განმაპირობებელი იმისა, რომ დროებითი სამუშაო ადგილი მუდმივ საცხოვრებლად აირჩიეს. თათარისტანში ისინი დასახლებულები არიან ყაზანში, ელაბუგში, სანაპირო ჩელებზე და ნიჟნეკამსკში.

მომდევნო ეტაპზე, მას შემდეგ, რაც დასახლდნენ თათარისტანის რესპუბლიკაში, დაკავშირება დაიწყეს თანამემამულეებთან და გაჩნდა კონტაქტები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მოსკოვში, ტაშკენტში, სტამბოლში, ანკარაში, ანტალიაში, კრასნოდარში საქმიანობის ყველა ეტაპზე. ნებისმიერი საქმიანობისას ხაზგასმულია, რომ მიუხედავად **„არაერთი დეპორტაციისა, რომელმაც გაფანტა თურქი მესხები მთელს მსოფლიოში, ამ ეთნოსისთვის ტრადიციის, მშობლიური ენისა და ისტორიის შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია“** (http://turkmes.addnt.ru/structure/).

რა ეთნოსზეა საუბარი, რომელია მათი მშობლიური ენა და რომელ ისტორიას ინარჩუნებს ეს ხალხი დღეს?

ამის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში ორგანიზაციის ლიდერი საიდ სულიევი ამბობს: **„ეს თურქების სუბეთნიკური ჯგუფია საქართველოს სამხრეთიდან, მესხეთის მხრიდან. თურქი მესხები ლაპარაკობენ თურქული ენის აღმოსავლეთ-ანატოლიურ დიალექტზე“** (ჟურნალისტი ფარიდა სულეიმანოვა). ორგანიზაციის ხელმძღვანელი იხსენებს სამხრეთ საქართველოდან 1944 წლის 14 ნოემბრის დეპორტაციას. მიიჩნევს, რომ სტალინის მთავრობა დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ამისთვის. რომ ეს იყო სსრკ-ს საზღვრების „არასაიმედო“ ელემენტებისაგან – კორეელებისაგან, გერმანელებისაგან, პოლონელებისაგან, ქურთებისაგან, ირანელებისა და ბერძნებისაგან, ასევე „თურქი მესხებისაგან“, „წმენდის“ პოლიტიკა, რომლებიც, როგორც სპეცგადასახლებულები შუა აზიის რესპუბლიკების შორეულ რაიონებში გადაასახლეს. თათარისტანში მცხოვრები მესხები ძირითადად სწორედ შუა აზიიდან, – უზბეკეთიდან, კონკრეტულად კი ქალაქ ფერგანიდან არიან.

დაახლოებით ასეთივე ინფორმაციააა განთავსებული ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე (http://turkmes.addnt.ru/structure/). ვებგვერდიდან მიღებული ინფორმაციით: **„თურქი მესხები (თავს ეძახიან „თიურქებს“. (тюрк) გავრცელებულია აგრეთვე სახელები - თურქი, თურქი ჯავახები, მესხეთელი თურქები, ახალციხელი თურქები, მესხები, კავკასიელი თურქები) - არის ხალხი, რომელიც ცხოვრობს ყაზახეთში, აზერბაიჯანში, რუსეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, უკრაინაში. მათი საერთო რაოდენობა ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე 260-280 ათას ადამიანს შეადგენს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეპრესიების შიშით, ბევრმა მესხმა, როგორც პასპორტში, ისე აღწერისას, დაიწერა აზერბაიჯანელი“..**

აქვე მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჯერაც არ არსებობს ამ ხალხის წარმომავლობის შესახებ ერთიანი მოსაზრება. ორგანიზაცია ამასთან დაკავშირებით ორ პოზიციას ასაჯაროებს, – პირველი თავად ამ მოსახლეობის თვითიდენტობას, თვითაღქმას ეხება, მეორე – მათ გენეზისს.

ორგანიზაციის ინფორმაციით: **„თავად თურქ-მესხებს შორის არის აზრი, რომ აქვთ თურქული ფესვები და უხსოვარ დროს მიუღიათ მაჰმადიანობა.**

**ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, თურქი მესხების ეთნოსი ჩამოყალიბდა XV-XIX საუკუნეებში დღევანდელი საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში ენობრივი და ქორწინებით ასიმილაციის შედეგად ქართველი მოსახლეობის ნაწილისა (მესხები) გადასახლებულ თურქ მოსახლეობასთან, რომელთა მასობრივად გაჩენა კავკასიასა და მცირე აზიაში იწყება მე-11 საუკუნეში. 1555 წელს ოსმალეთის იმპერიაში შესვლით სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) ტერიტორია აღმოჩნდა თურქი ეთნოსის გავლენის არეალში. თურქების მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია მიმდინარეობდა რელიგიური და ენობრივი მიმართულებით. შედეგად მივიღეთ საერთო ეთნონიმი - тюрки-турки** (თურქულ ენაში ეს სიტყვა არ განსხვავდება), **რომელიც აღნიშნავს მიწათმოქმედ მუსლიმს, თურქული ენის ადგილობრივ დიალქტზე მოსაუბრეს. ახალ ეთნონიმს ხშირად ამატებდნენ გლეხთა ამ ჯგუფის საცხოვრებელი ადგილის დამაკონკრეტებელ სიტყვას (მესხეთი – თურქი) ენა თურქული ენის აღმოსავლურ -ანატოლიური დიალექტი. რწმენა-მუსლიმი-სუნიტები“.**

თათარისტანში მცხოვრობ დეპორტირებულებს კარგად ახსოვთ ფერგანის მოვლენები. განსხვავებულია წყაროები, რომლებიც იკვლევენ ფერგანაში 1989 წლის ტრაგედიას, განსხვავებულია შემოთავაზებული ინტერპრეტაციებიც. ამ მოვლენების შედეგად 18 ათასი „თურქი მესხი“. სასწრაფოდ ევაკუირებულ იქნა. ორ სამ თვეში ტაშკენტი დატოვა 74 ათასმა ადამიანმა. თუ სტალინის დროინდელი გადასახლების დროს „თურქი მესხები“. აღმოჩნდნენ შუა აზიასა და ყაზახეთში, ფერგანის ტრაგედიის შემდეგ მათი განსახლების გეოგრაფია გაიზარდა: რუსეთის ფედერაციის – 17 ოლქი, უკრაინის – 5 ოლქი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, აზერბაიჯანი. ადამიანები, რომელთაც ძალით დაატოვებინეს საკუთარი სახლი, ემიგრირდნენ თურქეთში, ამერიკაში, გერმანიაში, ავსტრალიაში. ასე იქცა გადასახლებული ხალხი დევნილად და მოუწია კიდევ ერთხელ ცხოვრების დაწყება ნულიდან.

თათარისტანში მცხოვრები ერთ-ერთი მესხი, **გავხარხონი** იხსენებს: **„3 ივლისამდე ხშირად გვესმოდა ნაციონალისტური გამოსვლები, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებდნენ. იყო განცდა, რომ ყველა განზე გადგა და იქიდან აკვირდებოდნენ ვითარებას, ამ მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე პოლიცია დადიოდა კარდაკარ და გვაფრთხილებდა, რომ იქნებოდა პროვოკაცია და ქუჩებში არ გამოვსულიყავით, იმ დღეს სახლში ვიყავი. უფროსი ვაჟი ავად გამიხდა. უზბეკმა მეზობელმა მითხრა: სადმე წადიო. მე გავიკვირვე, შენ ხომ არსად მიდიხარ, მე რატომ უნდა წავიდე-მეთქი. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. მერე გავიგეთ, რომ თურქები და უზბეკები ჩხუბობენო. მეუღლე ექიმი მყავდა და ჩვენების დასახმარებლად წავიდა თავის მეგობრებთან ერთად. მალე მოვკიდე ბავშვებს ხელი და მეგობართან გავიქეცი. ის მრავალსართულიან ბინაში ცხოვრობდა და ვერ გვიპოვიდნენ. მასთან მოვასწარით ნათესავების გადაყვანა“.,** – ამგვარი ისტორიები მრავლად იკითხება თათარისტანში რეგისტრირებული მესხთა ორგანიზაციის ელექტრონულ პორტალზე (http://turkmes.addnt.ru/structure/).

დეპორტირებულთა გადასახლებების შესახებ ორგანიზაცია შემდეგ ინფორმაციას გვაწვდის:

1944 წ. – **120 000 ადამიანი** საქართველოდან ცენტრალურ აზიაში;

1958-1971 წ.წ. – **40 000 ადამიანი** ცენტრალური აზიიდან აზერბაიჯანში;

1980 წ. – **2000 ადამიანი** აზერბაიჯანიდან საქართველოში;

1989-1991 წწ. – **100 000 ადამიანი** ცენტრალური აზიიდან რუსეთში, უკრაინასა და აზერბაიჯანში;

1991-2005 წწ. – **35 000-40 000 ადამიანი** – რუსეთიდან, უკრაინიდან და ცენტრალური აზიიდან თურქეთში;

2004-206 წწ. – **9 000 ადამიანი** კრასნოდარის მხარიდან ამერიკაში.

საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს ამ ხალხის თავს დატრიალებული ამბები. რაც უფრო ღრმად მოვინდომებთ მათში გარკვევას, მით უფრო ხშირად ჩნდება კითხვა: რატომ ტრიალებდა ბედის ბორბალი უკუღმა მაინცდამაინც ამ ხალხის თავს, ხომ არ იყო რამე მიზეზები, რომელიც განაპირობებდა მათ ბედს, რამდენად სწორია დამნაშავის ძებნა ყოველთვის მხოლოდ ერთ მხარეს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა იმიტომ კი არ არის საჭირო, რომ წარსული შეიცვლება, ან გადატანილი ტკივილი შემსუბუქდება. არა, მიზეზების გარკვევა, დეპორტირებულთა მხრიდან სერიოზული ანალიზი, საჭიროა მომავლისთვის, რათა არასოდეს განმეორდეს ისტორია და წარსულის გაკვეთილები, თანაც ძალიან მწარე.

ორგანიზაციის ლიდერის, საიდ სულიევის პირადი ბიოგრაფია იმეორებს დეპორტირებული მოსახლეობის ათასობით შთამომავალთა ტრაგიზმსა თუ წარმატებებს – უზბეკეთში უზბეკური სკოლა, შემდეგ ქარხანაში სამუშაო ადგილი, სამხედრო სამსახური ფინეთის საზღვარზე და ბოლოს, უმაღლესი განათლება სვერდლოვსკის სამთო უნივერსიტეტში სპეციალობით – სამთო ინჟინერ-ელექტრომექანიკოსი. ახალი ტრაგედია, ფერგანაში ეროვნულ ნიადაგზე განვითარებული ცნობილი მოვლენები და სამხედრო თვითმფრინავებით რუსეთში ევაკუაცია, მერე კიდევ ერთხელ თავიდან დაწყებული ცხოვრება...

**„მეუღლე ბელგოროდსკის რაიონიდანაა. ისიც თურქი-მესხია, თავის ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ჩვენს ახლოს“,** – ამბობს **საიდ სულიევი.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფინანსური პრობლემები დაიწყო რუსეთშიც. სამსახურის პოვნა გართულდა. ერთ-ერთმა თურქულმა სამშენებლო კომპანიამ ეს ხალხი დაასაქმა რუსეთში. ერთი წლის შემდეგ ეს კომპანია სამუშაოდ ყაზანში გადავიდა. საიდ სულიევს მთავარი ინჟინრის თანამდებობა შესთავაზეს და მის ბრიგადას კულ შარიფის მეჩეთის მშენებლობა ჩააბარეს.

თათარისტანის რესპუბლიკაში მცხოვრებლებმა დეპორტირებულთა შთამომავლებმა მინიმუმ სამი ენა იციან: უზბეკური, თურქული და რუსული. ესეც ცხოვრებისეული პერიპეტიებისა და მათი ბიოგრაფიის შედეგია. ქართული ენა მათ ხსოვნას არ შემოუნახავს. ორგანიზაცია აწყობს შეხვედრებს, ატარებს ღონისძიებებს.

დეპორტირებულთა შთამომავლები აღნიშნავენ ღონისძიებებს: მუსლიმურ ზეიმებს, თურქეთის რესპუბლიკის დღეს, დედის დღეს, მამის დღეს, საბავშვო დღესასწაულებს. მათ ჩამონათვალში არ ჩანს საქართველოსთან დაკავშირებული არცერთი საზეიმო დღე.

2015 წლის 14 ნოემბერს მასშტაბურად აღნიშნეს დეპორტაციის 70 წლისთავი. რაც შეეხება სამშობლოს, საიდ სულიევი ინტერვიუში აღნიშნავს: **„ღონისძიებებს ასევე ვატარებთ ისტორიულ სამშობლოში – თურქეთში. ახლა ჩვენი თამამემამულეები უბრუნდებიან თავიანთ სამშობლოს, ხალხის შეკრება ყაზანში ღონისძიებებზე უფრო რთულდება. ხოლო როცა დიასპორა იყო დიდი, ვმართავდით კონცერტებს, ვიწვევდით მუსიკოსებს, მსახიობებს. ყაზახეთში, ალმა-ატაში, ჩვენ გვაქვს კინოსტუდია, მსახიობები ყოველთვის ჩამოდიან ჩვენთან ფილმების პრემიერებით“.**

უცნაურია, აღნიშნავენ დეპორტაციის დღეს და, რა თქმა უნდა, იხსენებენ სამშობლოს, საიდანაც გაასახლეს და ეს სამშობლო საქართველოა, საიდ სულიევი ამბობს, უბრუნდებიან ისტორიულ სამშობლოსო და თურქეთს ასხელებს, კიდევ ერთ სამშობლოში მიდიან ყაზანიდან – ეს შუა აზიის რესპუბლიკებია. საბოლოოდ, რომელია მათი სამშობლო?

უამრავი ფინანსური, ადამიანური, პოლიტიკური რესურსია დახარჯული, თანაც რამდენიმე ქვეყნისა, რომ ამ კითხვას სხვადასხვა პასუხი გაეცეს.

სახელმწიფოებს საკუთარი ინტერესები გააჩნით. ეს არც ახალია და არც დროებითი. დეპორტირებულები არჩევანში თავისუფალნი არასდროს ყოფილან, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან იყო მათზე ზეწოლა და ეს ადამიანები იძულებულნი იყვნენ გარკვეულ მოცემულობას დამორჩილებოდნენ. ასე იქცნენ თურქებად, თურქული მოდგმის ტომებად. ბედის ირონიაა, მაგრამ ერთადერთი „ზეწოლა“., რომელიც ძნელად ჭრის, ეს ქართული სახელმწიფოს სურვილია – ამ ადამიანებმა აღიარონ საკუთარი, ქართული ფესვები.

ყველგან, სადაც არ უნდა დასახლდეს ეს ხალხი, რალაცით გამოირჩევა. ამას თავად დეპორტირებულებიც გრძნობენ და ისინიც, ვინც მათ გვერდით ცხოვრობენ. საიდ სულიევი ამ გამორჩეულობას ასე ახასიათებს: **„თურქ-მესხებს თუქებისაგან განსხვავებით, შენარჩუნებული აქვთ ენა თავის ძველი ფორმებით, ის არ არის გაუარესებული დასავლური სიტყვებითა და დიალექტებით. ჩვენი წინაპრები ოდესლაც ცხოვრობდნენ კავკასიაში. ამიტომ სახის ნაკვთებით, რალაცით, კავკასიელებს ჩამოვგავართ. მუსიკაში შერწყმულია ქართული, სომხური და აზერბაიჯანული სიმღერები. სუფრაზე წარმოდგენილია სხვადასხვა ხალხის სამზარეულო – აზერბაიჯანული, ქართული, სომხური, თურქული და სხვა. თურქი-მესხები ძალიან მეგობრული ხალხია, რომელიც ცდილობს, შეითვისოს სხვადასხვა ხალხის ტრადიციები“.**

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ვერ ვპასუხობთ ერთ კითხვას: თუ ტომით თურქები არიან, იმ გარემოში, სადაც თავისიანად და ორგანულად უნდა გრძნობდნენ თავს, რატომ აქვთ განცდა განსხვავებულობის. რატომ არ გვანან თურქეთში თურქებს, თათარისტანში – თათრებს და ა. შ.?

ორგანიზაცია ფუნქციონირებს, მიუხედავად იმისა, რომ ისედაც მცირე დიასპორა ნელ-ნელა მცირდება. განსაკუთრებით ახალგაზრდობა ტოვებს თათარისტანს. დღევანდელი საყოფაცხოვრებო პირობები, შესაძლებლობები და მოთხოვნილებები ახალ რეალობას ქმნის.

ჩვენთვის ამ ორგანიზაციის მიერ გაცხადებული ინფორმაციიდან ბევრი რამ მიუღებელია, დაწყებული ტერმინიდან **„თურქი მესხები“.,** ბევრი საკამათო და ბევრიც გასარკვევია. პოზიციას შეიძლება არ ვიზიარებთ, მაგრამ კარგად გვესმის, რატომ არსებობს ის. არაფერია ნათქვამი სახელწოდებაზეც – **„ახისკა“.,** მას ჩვენ შემდეგ ნომერში დაწვრილებით შევეხებით. შეიძლება ყველაფრის ახსნა და გარკვევა. **„ჭირი თავსა არ დამალავსო“.,** – ბრძანებს დავით გურამიშვილი. სიმართლეც ასეა, რაც უნდა მალო, სადღაც თავს მაინც იჩენს, მისი ერთი მარცვალი გაკრთება სადღაც და ეს ჭეშმარიტების გაცხადების შანსს ზრდის.

ამ ხალხს განსაკუთრებით გამძაფრებული აქვს ღირსების გრძნობა, სიამაყემ და ქედუხრელობამ დააძლევინა სირთულეები. ამას თავადაც კარგად გრძნობენ და უფრთხილდებიან. ჟურნალისტ ვასილისა უსაჩოვას რესპონდენტი ამბობს: **„თურქი მესხები ამტანი, შრომისმოყვარე ხალხია. ბედისწერის რა გამოწვევაც არ უნდა ჰქონდეთ, ყველაფერს უძლებენ. მთელი ისტორიის განმავლობაში ჩვენს ხალხში არ იყო არცერთი ლატაკი, რომელიც მოწყალებას მოითხოვდა – ეს ჩვენი სიამაყის საკითხია. ასეთი ადამიანი რომც გამოჩნდეს, უკანასკნელს ვუწილადებთ და მოწყალების ამარა არ დავტოვებთ. რა მიიღო იმ ხალხმა, რომელმაც გამოგვაძევა მშობლიური მიწიდან, მიითვისა ჩვენი სახლი და ქონება? ამით გამდიდრდნენ? მხოლოდ გაღარიბდნენ. ჩვენი ხალხი გაჭირვებამ გამოაწრთო. თითქმის ყველამ შევძელით ფეხზე წამოდგომა და გადავრჩით“...**

ჩანს, კითხვები მათაც აქვთ და არაერთი. საქართველოს პოზიცია ნათელია – დეპორტაციამდე არსებული რთული ვითარებისა და გარკვეული დაპირისპირებების მიუხედავად, ქართველ ხალხს არ გაუძევებია ისინი, რადგან ხალხმა იცოდა, რომ განსხვავებული რწმენის მიუხედავად, საკუთარ სისხლთან და ხორცთან ჰქონდა საქმე. ეს იცოდა ორივე მხარემ. საქართველოს მათი გასახლებით არაფერი მიუღია, დაკარგა თავისი მოსახლეობის ნაწილი. გადასახლებისას დაკარგა ფიზიკურად, შემდგომ წლებში კი, როცა ამ ხალხის ნაწილის ცნობიერება შეიცვალა, დაკარგა სხვამ ხრივადაც.

დეპორტირებული მოსახლეობა გადატანილმა სირთულეებმა მართლაც გამოაწრთო, ბევრს გაუძლეს, მაგრამ მათაც ბევრი დაკარგეს.

ამ დანაკარგმა დაგვაშორა, სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით, მაგრამ ყველაფერი არ დაკარგულა.

**„თურქი-მესხების რესპუბლიკური საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახისხას“** მთავარ ელექტონულ გვერდზე, სადაც უამრავი ინფორმაცია დევს ამ ხალხის თურქობის შესახებ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ინფორმაციამ სათაურით: **„მესხები ძალიან უცნაური ხალხია“.,** სადაც ვკითხულობთ: **„მესხები (Месхетинцы) — საქართველოს ერთ-ერთი სუბეთნოსია, ისევე როგორც იმერლები, მეგრელები და სხვები. მესხებს აქვთ ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი — მსოფლიოში მათ თითქმის არ იცნობენ. იმერლებისა და სვანების შესახებ სმენია ყველას, ხოლო მესხებს იცნობენ, როგორც მხოლოდ თურქ-მესხებს. ამ დროს მესხები არიან არა მხოლოდ თურქები, არამედ, უბრალოდ, მესხებიც. მათ ეძახიან მესხებს.**

**მესხები ძალიან უცნაური ხალხია. არსებობს თვალსაზრისი, რომ მათგან წარმოიშვა მთელი აღმოსავლეთის ქართველები. დღეს მესხებს არ აქვთ დიალექტი და ისინი ურთიერთობენ კლასიკურ ქართულ ენაზე. ეს უცნაურია, მაგრამ ეს ასეა“.**

რაც ეუცნაურათ დეპორტირებულთა შთამომავლებს, ჩვენთვის კარგად საცნაურია. შეიძლება ვაჭარბებთ, შეიძლება სურვილია მხოლოდ ჩვენი და ასე იმიტომ ვხედავთ, მაგრამ ერთი რამ გვენიშნა: თვით რადიკალურად განსხვავებული პოზიციის მქონეებთანაც კი ყველა ძაფი საბოლოოდ გაწყვეტილი არ არის, ამ ძაფს უნდა ჩავეჭიდოთ და ავუხსნათ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს მესხი კაცი, ის მესხია, ქართველია და ვერასოდეს იქნება თურქი ...

მაკა ქაჭკაჭიშვილი-ბერიძე

# სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის 80 წლის საიუბილეოდ

*(გაგრძ. დასაწყ. იხ. N3-5 2017)*

*... ვინ არ იცის – რა დიძალი გუჯრები, სიგელები და სხვა ნაწერები და სხვა წერილები უადგილო ადგილას ყრია დღეს აქა-იქ უპატრონოდ, მოუვლელად. რამდენი ამისთანა განძი ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და არქეოლოგიისა გამოუქვეყნებლად არის მიმალული და დროთა მიმავლობაში ისინი იკარგება, ფუჭდება და იღუპება. ახლა კი – რაკი მუზეუმი არის, ყოველივე ეს ერთს ადგილას თავს მოიყრის და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენი ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა... ყოველი ნივთი თუ ნაწერი წესსა და რიგზე გარიგებული იქნება და ამ გზით ყოველს მოწადინებისათვის ადვილად ხელმისაწვდენი და სამეცნიეროდ თუ სასწავლებლად იქნება.*

*ილია ჭავჭავაძე*

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, რომ მე-19 საუკუნის 70-იანი წლებში, მიუხედავად თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სიმძიმისა, მესხეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილი ნიადაგ იბრძოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღმავლობისა და წინსვლისათვის.

## მესხეთის სიძველეთა საუნჯე

აქედან გამომდინარე, მესხების სულიერი მოთხოვნები, უძველესი მისწრაფებები და ტრადიციები ოსმალთა ბატონობამაც კი ვერ ამოშანთა მამა-პაპათა მეხსიერებიდან, არამედ, მათში ბოლომდე ძალუმად იყო შემორჩენილი, როგორც ქორწინების, ისე ჯვრისწერისა და ნათლობის ცერემონიები... თურქთა ტყვეობაში მყოფებმა მოახერხეს ისიც, რომ ესაუბრათ ქართულად – მშობლიურ ენაზე... ყოველივე ამისათვის სამალავებსა და გამოქვაბულებში აგებდნენ სამლოცველოებს, რომლის შესახებაც ჩვენი მუზეუმის ფონდში დაცული ერთ-ერთი ხელნაწერი დოკუმენტის მიხედვით უცნობი ავტორი აღნიშნავს: – **„დღეს ის სამალავ-სალოცავები მინიატურულ დეკორაციას უფრო ჰგავს, სადაც წინაპრები ღვთის მსახურებას აღასრულებდნენ.“** აღნიშნულის დასადასტურებლად, აშკარად გამოგვადგება სამცხის ნასოფლარების: გოდერძის, ჩაკიდულას, ძველი დადეშის, სირგვისა და სხვა ნასოფლარების დღემდე შემორჩენილი ძეგლები. ამასთანავე, მუზეუმის არქივის მასალებში ვკითხულობთ: – **„უფრო გვიან, როცა თურქი დამპყრობლებისაგან ეს მხარე საბოლოოდ განთავისუფლდა და კვლავ საქართველოს ერთიანობაში შევიდა, რამაც შექმნა საფუძველი იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაძლიერებული ხალხის ლტოლვა – მეტი სულიერი საფანელი მიეღო ეროვნული კულტურიდან, ეროვნული ცივილიზაციიდან, რომელსაც ხარბად უნდა დასწაფოდა და აუცილებლად მიეღო იგი, რაც ბედის უკუღმართობამ დააკლო.“**

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ 1870-იანი წლებიდან დაიწყო მესხეთის ინტელიგენციის დიდი ნაწილის ნიადაგ ბრძოლა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის აღმავლობისა და წინსვლისათვის, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ახალციხეში თეატრალური დასების ჩამოყალიბება, რომელიც გართობასა და კულტურულ მომსახურეობასთან ერთად საქველმოქმედო მუშაობასაც ეწეოდა. ცოტა მოგვიანებით, აქვე, კერძოდ, რაბათში, პირველი ბიბლიოთეკა გაიხსნა. მოკლედ, როგორც ამას მუზეუმის არქივის გაცრეცილი ფურცლები გვიამბობენ – **,,მესხეთის ქართულმა მოსახლეობამ, უცხოური სამსალით დიდხანს რომ იყო გაბრუებული და მოდუნებული, ნელ-ნელა გამოიღვიძა და ქრისტიანული ნათელ-მირონისა და ქართული იერსახის აღდგენას მიჰყო ხელი.“**

აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ XX საუკუნის ოციანი წლებიდან მხარის მოწინავე ინტელიგენციას განსაკუთრებული ზრუნვა გამოეჩინა – ახალი სკოლების, კლუბების, ქოხ-სამკითხველოების გარდა სხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებისათვის. სამაგალითოდ აქვე მოვიყვანთ იმ პერიოდისათვის ქართული საქმის დიდი მოამაგის, სანიმუშო განმანათლებლისა და მოძღვარის – ივანე გვარამაძის მიერ საკუთარ სამუშაო კაბინეტში სამუზეუმო უჯრედის დაარსების ფაქტს, რის შესახებაც ივანეს ვაჟი – კონსტანტინე გვარამაძე, თავის ერთ-ერთ წერილში შთამბეჭდავად აღნიშნავს – **,,მისი კაბინეტი სწორედ ერთგვარ, იმ დროისათვის საუცხოო მუზეუმს შეადგენდა, რომლის სანახავად და გასაცნობად ბევრი მეცნიერი, ისტორიკოსი და უცხოეთის ტურისტებიც კი ესტუმრებოდნენ ხოლმე.“** სტუმრებს შორის ასახელებს მოსკოვის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების თავმჯდომარეს გენერალ კომაროვს, რომელიც 1882 წელს სწვევია ივანე გვარამაძეს სოფელ ხიზაბავრაში. რამდენიმე დღეს დარჩენილა და იქვე გასცნობია მესხი მოღვაწის ნუმიზმატიკურ მასალას. უფრო ადრე კი მამა ივანე უვაროვას გამასპინძლებია, ხოლო, სიცოცხლის ბოლო წლებში – 1910 წელს, ივანე გვარამაძის საოჯახო მუზეუმი მოუნახულებია ლონდონის ისტორია-ეთნოგრაფიის საზოგადოების წევრს, მსოფლიო მოგზაურს – **პრაისს.** ამ საკითხთან დაკავშირებით, მუზეუმის საარქივო დოკუმენტები გვამცნობენ, რომ პრაისი ხუთ დღეს დარჩენილა ახალციხეში. ამ პერიოდში მას – „თავის მსოფლიო გარშემო მოგზაურობის წიგნ-რვეულში“ ჩაუწერია სამცხე-ჯავახეთის ისტორიული და არქეოლოგიური ცნობები. პრაისი განსაკუთრებულად განუცვიფრებია ვერცხლით მოჭედილ ყდაში ჩასმულ (პაპირუსის ქაღალდზე, ბატის ფრთის კალმით ნაწერ) პატარა წიგნს, რომლის შესახებ აღნიშნავს, რომ თავისი ზომით და ხელოვნებით მთელ მსოფლიოში მეორე კატეგორიად ჩაითვლებაო (პირველი კი ინახება ლონდონის ბიბლიოთეკაშიო). მკვლევარ-მოგზაურს მისი შეძენაც განუზრახავს, მაგრამ ივ. გვარამაძეს ამაზე უარი განუცხადებია (აღნიშნული საკითხით დაინტერესებულებს დაწვრილებითი მასალის გაცნობა შეუძლია გაზ. ,,ლიტერატურული მესხეთის“, 2017 წლის აპრილის თვის N40 (220) ნომერში).

აქვე მინდა მოგახსენოთ იმის შესახებაც, რომ XXს-ის 20-იან წლებში სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებასთან ერთად მოიაზრებოდა ქ. ახალციხეში სამაზრო მუზეუმის ჩამოყალიბების საკითხიც, რომლის ორგანიზაციას სათავეში ჩასდგომია დიდი ივანე გვარამაძის უფროსი ვაჟი – კონსტანტინე. 1923 წელს მართლაც გახსნილა სამაზრო მუზეუმი, რომლის შესახებ მუზეუმის ფონდში შემონახულ დოკუმენტებში ვკითხულობთ, რომ მისი ძირითადი ფონდი გაუქმებული ეკლესია-მონასტრების შესამოსელი უნდა ყოფილიყო, რასაც უნდა დამატებოდა მოქალაქე არტემ ბაიბურთელისაგან შეძენილი კოლექციაც... სამაზრო მუზეუმის საქმიანობას სათავეში ჩასდგომია **იოსებ ღვინიაშვილი,** რომელსაც 1924 წლის 13 ივლისს დასახელებული მუზეუმი ,,ვინმე-მესხის“ ვაჟიშვილის – კონსტანტინე გვარამაძისთვის გადაუბარებია.

1923 წელს გახსნილ მუზეუმს, შეუფერებელი შენობის გამო, დიდხანს არ უარსებია და 1924 წელსვე გაუქმებულა. მუზეუმის კოლექციების ნაწილი უკან დაუბრუნებიათ ეკლესია-მონასტრებისთვის, ნაწილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისთვის გაუგზავნიათ, თბილისში, ხოლო არტემ ბაიბურთელის მიერ გადაცემული ექსპონატები პატრონისთვის დაუბრუნებიათ.

ამის შემდეგ, 1934 წლიდან, ფუნქციონირება დაიწყო რაიონულმა არქივ-მუზეუმმა, რომლის გამგედ კონსტანტინე გვარამაძე მუშაობდა. ვიდრე ამ საკითხზე თხრობას გავაგრძელებდე, იმისათვის რომ ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის კონსტანტინე გვარამაძის პიროვნება უფრო ნათლად იყოს წარმოჩენილი, სამაგალითოდ მოვიყვან ამონარიდს მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ნატო ყრუაშვილის ნაშრომიდან – ,,კონსტანტინე გვარამაძე“, სადაც იგი სიმბოლურად აღნიშნავს – **,,მას მოღვაწეობა სამი ხელისუფლების პერიოდში მოუხდა: მეფის რუსეთის, მენშევიკური მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, მაგრამ ურყევი და უცვლელი იყო მისი იდეალი – თავისი კუთხისა და ხალხის სამსახურის, მისი თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვა.“** დიახ, ეს რომ აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, ამას მტკიცება ნაკლებად სჭირდება.

კონსტანტინე გვარამაძე მუზეუმ-არქივის გარშემო არსებული მდგომარეობის გამო ძეგლთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომრის ფილიპე მახარაძისა და პარტიის ახალციხის რაიკომის პირველი მდივნის გიორგი კირვალიძისადმი გაგზავნილ განცხადებაში აღნიშნავს: **,,1943 წლის 1 იანვრიდან 1936 წლის 31 დეკემბრამდე ვირიცხებოდი რაიონული მუზეუმის გამგედ, ე.ი. მუზეუმთან რაიონული არქივიც დავაარსე და ამ წლების განმავლობაში ვმუშაობდი გამგედ. ძველი რაიონული მუზეუმი ჩემი აქტივობით და აღმასკომის ხელმძღვანელობით, საქ. განსახკომმა დააარსა, ე.ი. გადაკეთდა ძველი რაიონული მუზეუმი მესხეთ-ჯავახეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად“. მაშასადამე, რაიონული მუზეუმის ამოცანები გაიზარდა, მანამდე იგი მხოლოდ ახალციხის რაიონს მოიცავდა. ახლა უნდა ასახოს მთელი სამხრეთ საქართველოს, კერძოდ: ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების წარსული, დღევანდელობა და მომავალი. ახალბედა მუზეუმი ამ ძნელ ამოცანას როგორ გაართმევს თავს?“**

აქვე შევნიშნავთ, რომ მუზეუმს, პირველად, წლების მანძილზე, მეტად ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. პირობები ისე ვთქვით, თორემ, სინამდვილეში, მინიმალური პირობებიც არ გააჩნდათ მუზეუმის მუშაკებს. ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელი ზოგიერთი ხელმძღვანელი, მუზეუმის საჭიროებას ჯეროვნად არ აფასებდა. ანუ, მუზეუმის არსებობის წინააღმდეგიც კი იყო. აქედან გამომდინარე, ადვილად წარმოსადგენია ისინი ახლად დაარსებულ მუზეუმს მუშაობაში როგორ შეუწყობდნენ ხელს.

როდესაც კონსტანტინე გვარამაძის პიროვნების შესახებ ვსაუბრობთ, ყურადღებიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ იგი მხოლოდ ამ დიდ საქმეს არ ემსახურებოდა, არამედ მან დიდი ღვაწლი შეიტანა ქართული სახალხო წიგნების შედგენა-გამოცემის საქმეში. ამ თვალსაზრისით კ. გვარამაძის შესახებ წერდნენ: **,,ზაქარია ჭიჭინაძის მსგავსად თვითონვე ბეჭდავს წიგნებს, დადის სოფელ-სოფელ, ხალხში აღვიძებს სწავლა-ცოდნის წყურვილს და ავრცელებს იაფფასიან პოპულარულ გამოცემებს, რომელთაც ხშირად უფასოდ ურიგებს გლეხის შვილებს.“** აქვე შეიძლება აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ კონსტანტინე გვარამაძე იყო რამდენიმე სახალხო წიგნის ავტორი და **,,სამესხეთოს ზეპირსიტყვიერების“ ნაწარმოებთა სერიალის შემქმნელი. ასევე, მუზეუმის ჩამოყალიბებასთან ერთად მთელი თავისი ენერგიითა და თავდადებით იბრძოდა, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალციხის განყოფილების მდივანი და ერთ-ერთი აქტიური წევრი, დიდ მუშაობას ეწეოდა სამცხე-ჯავახეთში სასკოლო ქსელის გაფართოების მიზნითაც.**

**კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში აქტიურად ჩართული კ. გვარამაძე ყოველივე ზემოაღნიშნული რეგალიებისა, რაბათის თეატრალური სცენის ფუძემდებელიც ხდება.**

**არქივის დაარსებით და თავგანწირული დაცვით, ხომ უდიდესი სამსახური გაუწია მშობლიურ მხარეს, რადგან მის მიერ შეგროვილი, საკუთარი ხარჯებით შეძენილი მასალის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მესხეთის შესახებ რაიმე სერიოზული კვლევა.**

**კონსტანტინე გვარამაძის სახელთანაა დაკავშირებული ისეთი საქველმოქმედო საქმიანობა, რომელსაც ის ეწეოდა ქ. ახალციხისა და სოფ. უდის თავშესაფრებისადმი. კონსტანტინე გვარამაძე, როგორც თავშესაფრების მდივანი და ეკონომი, დადიოდა სამცხე-ჯავახეთის სოფლებში და ბავშვებისთვის სურსათ-სანოვაგეს აგროვებდა.**

**უნდა აღინიშნის ისიც, რომ კონსტანტინე გვარამაძე მრავალ სხადასხვა მნიშვნელოვან საქმეთა ინიციატორად გვევლინება და იგი დიდი ივანე გვარამაძის ერთ-ერთი ბიოგრაფიც ბრძანდება.**

**როცა კონსტანტინე გვარამაძის დამსახურებებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ მის ურთიერთობას ქართველ ინტელიგენციასთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლავ მოვუხმობ ჩვენი მუზეუმის საარქივო დოკუმენტებს, სადაც ვკითხულობთ – ,,კონსტანტინე გვარამაძეს, როგორც მხარის ერთ-ერთ განმანათლებელს, საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, ისეთ ქართველ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ ილია და აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, ლუარსაბ ბოცვაძე, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები“.**

აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ეს ურთიერთობები განაპირობებდა კონსტანტინე გვარამაძის კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობას. ამასთანავე, სრულიად ვეთანხმები მკვლევარ ნ. ყრუაშვილს, როცა თავის ნაშრომში აკეთებს დასკვნას და წერს – **,,ქართველ ინტელიგენციასთან ბატონი კონსტანტინე გვარამაძის ურთიერთობა, თავის მხრივ მიმართულებას აძლევდა მის საზოგადოებრივ საქმიანობას.“**

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსტანტინე გვარამაძეს დიდი დამსახურება მიუძღვის სამცხე-ჯავახეთის მხარის წინაშე, როგორც ჯერ სამაზრო მუზეუმის, შემდეგ არქივის ჩამოყალიბებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნის საქმეში.

**ციური ლაფაჩი**

## ნიკო (კოლა) გაბრიელის ძე ასათიანი

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში წამოწყებულმა ეროვნულმა მოძრაობამ განსაკუთრებულ თემად აირჩია ახლად შემოერთებულ ,,სამაჰმადიანო” საქართველოში მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების აღწერა. ამ წამოწყების ძირითადი საქმიანობა მოსახლეობაში შემორჩენილი სიბრძნის შეკრება-შენახვა იყო. ხალხის სამსახურისადმი მხარის მოღვაწეთა შორის, რომლებმაც ჩვენამდე მოიტანეს წარსულის მემკვიდრეობა, ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ნიკო ასათიანი.

ნიკო ასათიანი დაიბადა 1858 წელს დღევანდელი ასპინძის რაიონის სოფელ ზველში. მას სასკოლო სწავლა-განათლება არ მიუღია, 1878 წლიდან მუშაობა დაიწყო აბასთუმნის გზატკეცილის მშენებლობაზე. 1883 წლიდან, რამდენიმე წლის განმავლობაში, საცხოვრებლად გადავიდა



ქ. თბილისში, სადაც თავისი ბიძაშვილის – ბაგრატ ზედგინიძის წყალობით, ჩაება სასულიერო სემინარიის მოწაფეთა არალეგალურ წრეში, რომლის წევრები იყვნენ გოლა ჩიტაძე, რომანოზ ფანცხავა, ბაგრატ ზედგინიძე, ნიკო შიუკაშვილი და სხვები.[1]

ნიკო ასათიანი 80-იანი წლებიდანვე დაინტერესდა ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრებით. ამ საქმიანობისათვის მას მთელი ცხოვრების მანძილზე აღარ უღალატია. ნ.ასათიანმა ქართულის გარდა შესანიშნავად იცოდა რუსული, სომხური, თურქული ენები, განსაკუთრებით – თურქული ენა. კარგად იცნობდა სამაჰმადიანო საქართველოს ძველ კუთხეებს: ართვინს, არდაგანს, ყარსს. იგი ერთხანს ყარსშიც მსახურობდა. მას მჭიდრო ურიერთობა ჰქონდა ქართველი საზოგადოების წარჩინებულ წარმომადგენლებთან. უშუალოდ იცნობდა მხარის მოსახლეობის კულტურულ ნაწილს. თურქული ენის ზედმიწევნით კარგმა ცოდნამ ნიკო ასათიანს საშუალება მისცა ყურადღება მიექცია ქართველ მაჰმადიანთა თურქულენოვან ფოლკლორისთვის. იგი დღენიადაგ ტრიალებდა ადგილობრივ მოსახლეობაში, მათგან იწერდა თურქულ მასალებს და ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნიდა ქართულად.

ასათიანის ფოლკლორული მასალა ინახება რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოლკლორულ განყოფილების და სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია ნ. ასათიანის 35 სხვადასხვა ხელნაწერი.

ღვაწლმოსილი მკვლევარი ნიკო ასათიანი ამა სოფლიდან სრულიად ვალმოხდილი წავიდა, რის გამოც 1942 წლის 12 მარტს იგი, ერისადმი დამსახურების ნიშნად, საპატიოდ დაკრძალეს რაბათის წმიდა მარინეს ეკლესიის ეზოში.

ნიკო ასათიანის მიერ მოძიებული მასალები უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანია ქართული ფოლკლორისთვის, რისთვისაც მიზაშეწონილად ჩავთვალეთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ საშუალებით პერიოდულად შემოგთავაზოთ მის მიერ მოძიებული მასალების ერთი ნაწილი, რაც უთუოდ დაინტერესებს გაზეთის მკითხველებს.

**გრიგოლ (გრიშა) ჯვარიძე,
ლევან ლაფაჩი**

# ჟამი ავბედობისა და წამება შალვა ახალციხელისა და ათთა-ბევრთა (ასი ათასი) ქართველთა

◀ დასაწყისი გვ. 1

თა განიყვანა საწუთროსა წმიდა შალვა, და მოწამობისა გვირგვინითა შემკული აღვიდა წინაშე ქრისტესა“ *(„ქართლის ცხოვრება“, ტ.2, თბ. 1959 წ., გვ. 169-171).*

შალვა ახალციხელის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ მოკლედ მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილიც თავის ისტორიაში *(იგივე ლიტ. ტ.4. 1973 წ. გვ. 200-203),* ხოლო ანტონ კათალიკოსი (*XVIII* საუკუნის მეორე ნახევარი) თავის ვრცელ მოთხრობაში – ***„შესხმა და მოთხრობა, ღვაწ***ლისა და ვნებათა წმინდისა დიდისა მოწამისა შალვა მთავრისა ახალციხელისა, მანდატურთ უხუცესისა“, ჟამთააღმწერელის მსგავსად, გადმოგვცემს ამ დიდებული ერისთავთერისთავის, გამოჩენილი სარდლის, მეჭურჭლეთუხუცესისა და მანდატურთუხუცესის შალვა ახალციხელის ისტორიას, მის, როგორც მესხთა მეწინავე ლაშქრის მხედართმთავრის გმირულ ბრძოლებს ქრისტესმოძულე დამპყრობლების წინააღმდეგ შამქორთან, ყარსთან, ბასიანისტორიას, ასეთი ყოფის უშუალო შედეგია.

როგორც ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: *„ეს უბედურება ასე,წვავედ იმიტომ იყო საგრძნობელი, რომ ხანგრძლივ მშვიდობიან და ძლევამოსილებას მიჩვეულს ქვეყანას იგი უეცრად დაატყდა თავს. წინათაც, მაგალითად სასანელთა და არაბების ბატონობის დ*როსაც... იმ დროს თვით საქართველო ჯერ ბატონობას მიჩვეული არ იყო. ***XI-XII*** საუკუნეში კი საქართველომ უბრწყინვალეს ძლიერებას მიაღწია და წინანდელი მწუხარება და განსაცდელი დავიწყებული ჰქონდა: გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, ქართველობამ უძლევლობის სახელი მოიხვეჭა და მერმისშიაც ყველანი უეჭველია უფრო მეტის დიდების მოლოდინში იყვნენ, მაგრამ უეცრად საქართველოს ბედი უკუღმა დატრიალდა“ *(ივ.ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 8, თბ. 1977 წ., გვ. 254).*

ამრიგად, ჯალალ-ედ-დინმა, სანამ მონღოლები გაბატონდებოდნენ კავკასიაში, მოიწადინა და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც ქრისტიანული საქართველოს განადგურე-

*„და ესრეთ რა ძლიერად ხელთ იგდო ქალაქი სულტანმან, კუალად იწყო უბორეტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა“.* „ეკლესიანი და ყოველნი პატიოსანნი სამსხვერპლონი შეურაცხ იქმნებოდეს, და პატიოსანნი ღვდელნი ეკლესიათა შინა , თვით ხატთა და ჯუართა თანა, შეიმუსვროდეს; „ბერნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვიდეს, ჭაბუკნი დაეკუეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს“.

„ესოდენ მძვინვარედ იწყეს მოსვრად, ვითარ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წასცვივდიან და რომელსამერ ტვინი დაეთხიოს, და უკანის დედანი მოიკვლიდიან“.

„ყვირილთა და ზახილთა და ვაებათა ხაზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარი შეკრიბიან, და კუალად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატიოდ მკუდარ მდებარეთა, ცხენთა

რალო რამ“, – ყველასათვის ადვილად შესასრულებელი პროცედურა: სათითაოდ გაივლიდნენ ხიდზე, მიაფურთხებდნენ ხატებს და ფეხით გადაივლიდნენ მათზე.

მოუსმინოთ მემატიანეს: ჯალალ-ედდინმა ***„იწყო რღვევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძვლამდე აღფხურა, რომლისათვის იკადრა და ხელყო სიონის გუმბადსა შემუსვრად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომელი იგი ხიდითა მაღლითა და გრძლითა განხიდა აღსვლად და ესე-ცა შ***ესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ყოვლად წმინდისა ღვთისმშობლისა, რომელი სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და ხიდისა შესავალსა დადებად პირაღმართ და ბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა, უკეთუ არა ჰყონ, წარკვეთა თავთა“ *(„ქართლის ცხოვრება“, ტ.2,1959 წ. გვ.177-178).*

ქართველებმა გამოიჩინეს სასწაულებრივი სიმტკიცე და ასი ათასი ერისკაცი



> ომი კი არა, ზეციდან
> დაცემა იყო მეხისა,
> გარნისის კლდესთან კვეთება
> ოთხი ათასი მესხისა...
>
> *გრიგოლ აბაშიძე*



თან... კიდევ უფრო ვრცლად ჩერდება „სპარსელებთან“ (ჯალალ-ედ-დინთან) ბრძოლაზე

სოფელ გარნისთან: ***„ათაბაგისა იოანესი უბოროტესისა“*** მხრიდან ღალატზე, ***„რამეთუ*** უკანაგან ჰედგა და არა აუფლა ლაშქართაგან ვინ შეწევნად წინა-ბრძოლთა“. გადმოგვცემს შალვა ახალციხელის წამებას ჯალალ-ედ-დინის მხრიდან ***„საპყრობილესა შინა“,*** თუ „პირად პირადითა მძვინვარითა ტანჯვითა განცდილმან“, როგორ ***„აღასრულა სრბა მარტვილობითი“,*** ე.ი. როგორ სტანჯეს მანამდე, სანამ არ მიიღო შარავანდედი სიკეთისა ქრისტიანობისათვის, საქართველოსთვის (ეს ორი მცნება განუყოფელია ქართველი ერის ისტორიაში) თავდადებული და წამებული რაინდი შალვა ახალციხელი ქართული ეკლესიის მიერ წმინდანადაა შერაცხილი და ხსენება მისი დაკანონებულია ყოველი წლის 17 ივნისს (ძველი სტილით).

***

1225 წლის დეკემბერს, გარნისთან, ქართველებზე გამარჯვებისა და თავრიზელ შეთქმულთა დამარცხების შემდეგ, ჯალალ-ედ-დინმა გეზი საქართველოს დედაქალაქისკენ აიღო. ქართული ეკლესია-მონასტრების ზარებმა ამცნო ქართველ ხალხს ახალი, თავზარდამცემი და ავბედითი ჟამის მოახლოება...

დაქსაქსულობა, დაკნინება, „განწირვა“ სახელოვანი და ძლევამოსილი საქართველოსა და მისი გავლენის სფეროში შემავალ სამფლობელოებთან, თამარ მეფის შთამომავალთა – გიორგი ლაშასა და რუსუდანის – პოლიტიკური უნიჭობა და ვნებათაღელვას აყოლა, – აი კიდევ რამ განაპირობა საქართველოს მარცხი. მემატიანის სიტყვით, ქართველებმა ***„დაუტევეს სიყვარული, სიწრფეობა, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, ხდომა, სიძულვილი და კვლანი“.*** უფრო მეტიც, ***„ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა მიიდრკა სიბოროტეთა, რამეთუ დაუტევეს სიმართლე და ჭეშმარიტება, ვინათგან თვით მღუდელთა მიერ იხილვებოდა*** არაწმიდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა“-ო, – გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი. გარნისის ომში ქართველთა სამარცხვინო და სასტიკი დამარცხება, რომლის მსგავსი არ ახსოვს ქართველი ერის ბას. და „აქა ჟამამდე (ე.ი. მონღოლთა გამოჩენამდე) სვიანი იგი ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არა-სადა ძლეულ იყო. ხოლო, აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავითა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა“ და იყო ქვეყანა ***„მწარებასა ოხრებასა შინა“***-ო, – გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი.

გარნისის ბრძოლების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, გამარჯვებულ ხვარაზმშახი ტრიუმფალურად მოემართება საქართველოს დედაქალაქისკენ...

როგორც კი გაიგო რუსუდანმა მოსვლა ჯალალ-ედ-დინისა, აიყარა და გადავიდა ქუთაისს. თბილისს მცველად დაუტოვა ლაშქარი ორი ძმის – ცნობილი მხედართმთავრის ბოცოს შვილების – მემნა და ბოცო ერისთავთა მხედართმთავრობით. მიაღწია სულთანმა თბილისს. ქალაქის დამცველნი მზად იყვნენ მტერთან დასახვედრად. „იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ძლევა აჩუქნეს ქართველთა“. მაგრამ უღალატეს ქართველებს თბილისელმა მკვიდრმა სპარსელებმა, – „ღამესა მიუვლინეს კაცი სულტანისა ჯალალ-ედ-დინს შიგნიდაღმა მიცემად ქალაქისა, რითა კართა, რომელთა სპარსნი სცვიოდეს, განუხუნეს და შიგნით ბრძოლა უყვეს. განთიადისას, ქალაქის შინაგამცემებმა, სპარსელებმა ე.წ. განძის კართან, როცა მორბიოდეს წინა-აღდგომად მტერთად ქართველთა ჯარის სარდლები, ... ძლიერ უხეთქნა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და მოკუდა). „და იქმნა შინათ ომი“... სპარსელებმა გაუხსნეს კარები ჯალალ-ედდინის ლაშქარს. ქალაქის მცველებმა თავი შეაფარეს ისნის ციხეს – „ივლტოდეს მცველნი ქალაქისანი და შედგეს ისანთა; ბოცოსძემან ბოცო გაამაგრა ისანი და ქმნა ძლიერი ომი“ (ეს ციხეც რუსუდანის ბრძანებით დამპყრობლებს ჩააბარეს).

1226 წლის მარტში თბილისი აიღეს...

ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, აღწერა იმისა, თუ რა მსხვერპლი, ძარცვა-გლეჯა (ხელთ იგდეს საუკუნეების მანძილზე დაგროვილი საუნჯე), ვაება და წამება, უბედურება და ღვთის რისხვა დაატეხა თავს ხვარაზმშაჰმა ქრისტესმოსავ ქართველებს. თბილისის ტრაგედია – ეს იყო ფაქტიურად „სრულიადი მოსპობა ქართველ ნათესავთა“-ო.

მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიდულთა“.

*„და ესევითარი ჭირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენი არს, რომელნი თანა – შეესწორებიან ქრისტეს ჯვარისა* მცემელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუსალიმისა სრულიადსა მოსპოლვასა“. ერთი სიტყვით, „ქართველთა ზედა ბობოქრობდა სიკვდილის საშინელი ცელი თავისი ყველაზე შემაძრწუნებელი ტანჯვითა და ვაებითა“...

ჟამთააღმწერელის მსგავსად, თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებული შემდეგდროინდელი აგიოგრაფიული ნაწარმოებიც – „შესხმა და მოთხრობა ღუაწთა და ვნებათა წმიდათა ათთა-ბევრთა მოწამეთა ტფილისის ვნებულთა“ *(იხ. მ.საბინინი, „საქართველოს სამოთხე“. გვ. 542-553)* – ისეთი საშინელი სურათებით გადმოსცემს ქართველთა წამებას, რომ ივანე ჯავახიშვილის თქმით, ბუღა თურქის დროინდელი შემოსევა და თბილისის გადაწვა-განადგურება, შედარებით პატარა შემთხვევათ გვეჩვენება. თითქმის იგივეს მოგვითხრობენ სპარსული, არაბული, სომხური წერილობითი წყაროები („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ.3., თბ., 1979, გვ. 527-538).

მსოფლიოს მასშტაბით ამ უმაგალითო ტრაგედიის კულმინაცია იყო ქალაქის აღებისა და განადგურების შემდეგ გადარჩენილი 100 000 ქრისტიან ტყვე ქართველთა წამება, – დიახ, თბილისის დაპყრობა რომ დაასრულა ჯალალ-ედ-დინმა, გადაწყვიტა ტყვექმნილ ქართველთა გამუსლიმანება. ამ მიზნით თავისებური სამზადისი გასწია: თავისი თვალით რომ ენახა „ეს სასიამოვნო“ პროცესი, მან სიონის საპატრიარქო ტაძრის გუმბათი მოარღვევინა და ზედ თავისი საჯდომი ტახტრევანი მოაწყობინა. იქვე, ახლოს, მტკვარზე გადებულ ხიდზე, სიონის ეკლესიიდან ჩამოხსნილი ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს ხატები გაატანინა და ხიდზე დაადებინა (მისი ბრძანებით, აქ უნდა მიეღოთ მუსლიმანობა ქართველებს). ასევე წინასწარ გააფრთხილა ყველა ქართველი, რომ ისინი ტყვეობიდან გათავისუფლდებოდნენ და ცოცხალი დარჩებოდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ მიიღებდნენ მაჰმადიანობას. ამისათვის კი, მისი აზრით, საჭირო იყო „უბ-

თუ ეკლესიის მსახურნი ***„თავ-წარკუეთილიქმნეს სადიდებლად ღვთისა და პატივად წმინდისა ეკლესიისა“.*** ხსენება მათი, – თბილისში წამებულ ათთა-ბევრ ქართველთა, – ქართული ეკლესიის მიერ დაწესებულია 31 სექტემბერს (ძვ.სტილით).

***

***„და გაგრძელდა ესევითარი ჭირი და ზეგარდამავალი რისხვა ხუთისა წლისა ჟამთა, რამეთუ ორ წელ პირველ აღაოხრეს ქვეყანა და ხუთი წელი ქალაქსა დაყვეს, და აოხრებდეს ქუეყანასა“,*** და ხვარაზმელებმა ***„ესრეთ რა მოაოხრეს თბილისი, იწყეს რბევად, ტყუენვად ხოცად და კვლად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის ნაპირთა, ქართლს და თრიალეთს,*** ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორისა და არსიანის მომდგომთამდე“-ო, – გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი.

უცხო წყაროებითაც, სადაც კი ფეხი დაადგეს დამპყრობლებმა, დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს საქართველოს ეკლესია-მონასტრები, დაუნდობლად გაჟლიტეს მისი მრევლი. მემატიანენი განსაკუთრებით მიუთითებენ თბილისის შემდეგ ბოლნისთან დატრიალებულ ტრაგედიაზე. სადაც „იქმნა ომი სასტიკი... იძლივნეს სპანი მეფისანი და ხუარაზმელთა მიერ ივლტოდეს, ხოლო სულტანი კუალად მოვიდა თბილისად (უკვე მეორედ, ვ.გ.), თუღა სადა ვინმე პოვნა დარბევად (აოხრებდა) ქვეყანათა მათ ზემოხსენებულთა“ (ჟამთააღმწერელი).

და ***„გაგრძელდა*** ესევითარი ჭირი“ მანამდე სანამ მონღოლებმა არ გააქციეს ჯალალ-ედ-დინი დედაწულიანად... (1231 წელს განადგურებული და ლტოლვილი ხვარაზმშაჰი, რომელიც თავს მაჰმადიან სამყაროს მფარველად და პატრონად თვლიდა, ბასიანის მთიანეთში მოკლა ერთმა მწყემსმა და „აქა შინა დასრულდა სრულიად ხელმწიფობა“ მისი).

ჯალალ-ედ-დინის სიკვდილის შემდეგ მშვიდობიანად ამოისუნთქა მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხებმა, მაგრამ ეს იყო მეტად ხანმოკლე შესვენება, – რამდენიმე წლის შემდეგ მონღოლთა ურდოები კვლავ მოადგნენ ჩვენს ქვეყანას.

***ვახტანგ გურგენიძე***

*საქართველოს ცენტრალური არქივის*

*ფ.303/351*

# თეატრის დღეები ბორჯომში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით, ბორჯომში „თეატრის დღეები“ აღინიშნა.

ერთი კვირის განმავლობაში კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სცენამ სამ სპექტაკლს უმასპინძლა და მოზარდებისა და პატარა მაყურებლების ინტერესი ერთნაირად დააკმაყოფილა. **ნოდარ დუმბაძისა** და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრების მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლებმა სრული ანშლაგით ჩაიარეს.



კვირეულის პირველ დღეს მაყურებელმა უილიამ შექსპირის კომედია – „აურზაური არაფრის გამო“ იხილეს. წარმოდგენა სავსე იყო ახალგაზრდული ენერგიით, მხიარულებითა და ოპტიმიზმით.

ბორჯომელებისთვის ეს სპექტაკლი ორმაგად სასიამოვნო და დასამახსოვრებელი გამოდგა, – სცენაზე ერთმანეთს ბორჯომელი მსახიობები – **მარიამ ჩუხრუკიძე** და **ვახტანგ ნოზაძე** ენაცვლებოდნენ.

კულტურის სამსახურის უფროსმა **მარინა ხუჯაძემ** წარმოდგენის დაწყებამდე ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრს 90 წლის იუბილე მიულოცა, წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მოზარდ მაყურებელთა თეატრთან ნაყოფიერად თანამშრომლობს და ეს ურთიერთობა მომავალში უფრო აქტიურად გაგრძელდება.

თეატრალური დღეების მომდევნო სპექტაკლი „ხუთკუნჭულა“ იყო.

წარმოდგენამ პატარების დიდი მოწონება დაიმსახურა.

რეჟისორ **დიმიტრი ხვთისიაშვილის** თქმით, დასი ყოველთვის მოხარულია ბორჯომელ მაყურებელთან შეხვედრით, რომელიც განსაკუთრებული კეთილგანწყობით გამოირჩევა დასის მიმართ.

„ჩვენი ეზო“ – ამ სათავგადასავლო მუსიკალური წარმოდგენით დაიხურა ბორჯომში თეატრალური დღეები.

სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის მსახიობებმა პატარებს ერთი მხიარული ეზოს შესახებაც უამბეს, – სპექტაკლის პერსონაჟებმა უშუალო დიალოგი გამართეს აუდიტორიასთან, რამაც კიდევ უფრო ხალისიანი გახადა სცენაზე მიმდინარე მოვლენები. ეს კონტაქტი იმდენად ბუნებრივად და სხარტად განვითარდა, რომ შემოქმედებითი პროცესის თანამონაწილეებად პატარა მაყურებლებიც მოგვევლინნენ.

აღსანიშნავია, რომ თეატრალური დღეები ბორჯომის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ინიციატივით გაიმართა.

აღნიშნული სამსახურის სპეციალური მოწვევით, სპექტაკლებს მრავალშვილიანი ოჯახებიც დაესწრნენ.

# ბორჯომის დრამატული თეატრი საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი გახდა



ბორჯომის დრამატულმა თეატრმა თურქეთში – ქალაქ მერზიფონის მე-3 თეატრალურ ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ფესტივალზე, სადაც საქართველოს გარდა კიდევ 4 ქვეყნის თეატრალური დასები ღებულობდნენ მონაწილეობას, ქართულ დასს განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად.

მსახიობებმა მაყურებელს წარუდგინეს **პოლიკარპე კაკაბაძის** სატირული კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“.

როგორც თეატრის რეჟისორმა **ზაზა კიკნაველიძემ** აღნიშნა, – სპექტაკლი თურქმა მაყურებელმა დიდი ინტერესით მიიღო. იგი პირდაპირი თარგმანით გადაიცემოდა ადგილობრივი ტელევიზიით, რითაც თურქი ხალხის დიდი ყურადღება და პატივისცემა ვიგრძენით. წარმოდგენებს ესწრებოდა ქალაქ მერზიფონის მერი. ფესტივალის მონაწილე თეატრალური დასის მსახიობებისთვის მოეწყო ექსკურსიაც – დავათვალიერეთ ქალაქის ისტორიული ადგილები, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თითოეულ ჩვენთაგანზე.

ფესტივალზე ბორჯომის დრამატულ თეატრს მიენიჭა ლაურეატის წოდება და გაფორმდა შესაბამისი მემორანდუმი, რომელიც თეატრალური კოლექტივების დაძმობილებისა და შემდგომი ურთიერთობის საწინდარი იქნება.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის ორგანიზატორებს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სახელით, ქართველმა მსახიობებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

დასის მხარდამჭერია ბორჯომის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი.




# „ცოცხალი წიგნები" ტაძრისის სკოლას ესტუმრნენ

იდგნენ და ელოდნენ... როდის შემოაღებდნენ კარებს საპატიო სტუმრები.

საჯარო სკოლის სააქტო დარბაზი საგანგებოდ მოეწყოთ. გაზაფხულის ყვავილები და წიგნები გარემოს მეტ სითბოსა და სინათლეს მატებდა.

უცებ ცნობისმოყვარე სახეების მზერა დედაქალაქიდან ჩამოსულმა სტუმრებმა მიიპყრეს.

მასპინძლები წიგნებით ხელდამშვენებულ ავტორებს შეეგებნენ და მაგიდასთან მიიპატიჟეს.

საპატიო სტუმრები – **ნიკა ჩერქეზიშვილი, რობერტ მესხი, ნინო გუგეშაშვილი** და **ირმა ბერიძე** საკუთარ ნაფიქრსა და ნააზრევს, გრძნობებითა და ემოციებით აღსავსე ლექსებსა და პროზაულ ამონარიდებს, დიდი განცდებითა და ემოციებით გადმოსცემდნენ. იყო სიტყვა მრავალი და მოკლედ თქმული, სევდიანიც და მხიარულიც.



აუდიტორიამაც უპასუხა მათ საკუთარი შემოქმედებით, – ლექსი ლექსს ენაცვლებოდა და სასიამოვნო განწყობა სუფევდა ირგვლივ...

პატარებმაც თავისი თქვეს – წაიკითხეს როგორც ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსები, ასევე მოწვეულ სტუმრებს თავიანთი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები წარუდგინეს.

ლონდა ფილიშვილი

# წარმატება მიღწეულია

სომხეთის ქალაქ ეჩმიაძინში ჩატარდა ხალხური ცეკვების ფესტივალი – „მეგობრობა – 2017“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სომხეთისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ხალხური შემოქმედების 48 კოლექტივმა, მათ შორის – საქართველოდან ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულები იყვნენ ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტების ქორეოგრაფიული ჯგუფები; ფესტივალში დიდი წარმატება ხვდა წილად ჩვენ მიერ წარდგენილ ხალხური ცეკვების ანსამბლებს. ნინოწმინდის სამუსიკო სკოლასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „წუნდამ“ ფესტივალზე წარადგინა ქართული ხალხური ცეკვები – „ქართული“, „აჭარული“ და „მთიულური“. მოცეკვავეთა ანსამბლი მთლიანად დაკომპლექტებულია ნინოწმინდაში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოსწავლეებისაგან.



ასევე უნდა ითქვას, რომ ფესტივალის ჟიურის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანსამბლმა „იმედმა“, რომლის მიერ შესრულებული თითოეული ნომრის შემდეგ დარბაზში არ წყდებოდა ხანგრძლივი ოვაციები და შეძახილები, რაც წარმატებების უტყუარი დასტური იყო.

ფესტივალს ესწრებოდა სომხეთის დედაქალაქის კულტურის მუშაკთა სოლიდური წარმომადგენლობა. კულტურის მინისტრმა კი წარმატებული ანსამბლების ხელმძღვანელებს და, მათ შორის, ნინოწმინდის სამუსიკო სკოლის დირექტორს **ვართუი ფუთულიანსა** და ანსამბლ „იმედის“ ქორეოგრაფს – **თამაზ მელიქიძეს** პირადად გადასცა საპატიო დიპლომები, სუვენირები და ქალაქ ერევანში, საუკეთესო კოლექტივის სტუმრის სტატუსით, ნინოწმინდის ორივე ქორეოგრაფიული ანსამბლი ხალხთა მეგობრობის ფესტივალზე მიიწვია, რომელიც 2017 წლის სექტემბრის ბოლოს ჩატარდება.

გარდა ამისა, ანსამბლ „იმედს“, ზაფხულში დაგეგმილი აქვს მონაწილეობა მიიღოს როგორც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში დაგეგმილ ფესტივალებზე, ასევე – საზღვარგარეთაც.

თამაზ მელიქიძე

# ერთი დაუვიწყარი დღე

ახლახან ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მონაწილეობა მიიღეს ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივი პროგრამის – „ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში და რეგიონული. ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ მხარდაჭერით განხორციელებულ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ერთობლივ პროექტში – „ჩვენ გვიყვარს კითხვა“. პროექტში მონაწილეობდნენ: როდიონოვკის (მასწ. **თ.დულარიძე**), ფოკის (მასწ. **კ.ფოცხვერაშვილი**, ს.ლომიძე), ვლადიმიროვკის (მასწ. **მ.ბარდაძე**), განძის 1-ლი და მე-2 (მასწ. ნ.ბარჯაძე, **მ.ანთაძე**), დიდი არაქალის (მასწ. **ვ. ხაჩატრიანი**), ოროჯალარის (მასწ. **თ.პოილარაშვილი**), გორელოვკის (მასწ. **ლ. მარგიშვილი**), მამწვარის (მასწ. **რ.ყაულაშვილი**), პატარა გონდრიოს (მასწ. **ლ.განჯელაშვილი**), უჩმანის (მასწ. **მ.ჯვარიძე**), ნინოწმინდის მე-2 (მასწ. **მ.კალაიჯიშვილი**) და ნინოწმინდის მე-3 (დირექ. **ა. ღარსლიანი**) სკოლების მოსწავლეები.

პროექტის მიზანი იყო მოსწავლეები უკეთ გასცნობოდნენ შოთა რუსთაველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. პროექტი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული. ბავშვებმა დაათვალიერეს საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოქროს ფონდში დაცული უნიკალური საგანძური, შემდეგ კი გადაინაცვლეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში, სადაც პროექტის ძირითადი ნაწილი წარიმართა. მოეწყო მოსწავლეთა მიერ ,,ვეფხისტყაოსნის“ თემაზე შესრულებული ნახატების გამოფენა. ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართულ-სომხური ლექს-სიმღერები, აფორიზმები „ვეფხისტყაოსნიდან“, საკუთარი სოფლისა თუ სკოლის ისტორიები;

ამაღელვებელი და სასიამოვნო იყო სომეხი ბავშვების მიერ გამართული ქართულით წარმოთქმული სიტყვები – „საქართველო ჩემი სამშობლოა“, „მე მიყვარს საქართველო“... პროექტის დასასრულს, მასპინძლებმა, – მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელებმა, სტუმრებისთვის მუსიკალური ნომრები შეასრულეს.

დასკვნითი ნაწილი მთლიანად მიეძღვნა მოსწავლეთა და პედაგოგთა დაჯილდოებას – გადაეცათ სიგელები და ბუკლეტები – „ევროპის საბჭო – სომხური უმცირესობის ისტორია და კულტურა საქართველოში“.

ეს მართლაც დაუვიწყარი დღე იყო ნინოწმინდელი მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სწორედ ასეთი პროექტები უწყობენ ხელს ეროვნულ უმცირესობებს ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციასა და განვითარებაში.

მადლობა პროექტის ორგანიზატორებს ამ კეთილი საქმისთვის.

თამარ პოილარაშვილი

# ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

*

ახლახან, საქართველოში ბიბლიოთეკების კვირეულის ფარგლებში, ახალციხის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩაატარა კულტურული ღონისძიება, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა. თავდაპირველად შეხვედრა მოეწყო ქალაქის ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებთან – საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ როგორც ბიბლიოთეკარები, ასევე აქტიური მკითხველები.

შეხვედრაზე მოეწყო ასევე ცნობილი მხატვრისა და მწერლის რეზო ადამიას საგაზეთო სტატიის – ,,წიგნს ქუჩაში ნუ გადააგდებ!“, – განხილვა, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ ,,ლიტერატურულ მესხეთში“. განხილვაში მონაწილეობა მიიღო ამავე გაზეთის რედაქტორმა **ავთანდილ ბერიძემ**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორმა **სოსო გიქოშვილმა**, მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის ადმინისტრატორმა **შალვა ტაბატაძემ**, მერიის კულტურის სამსახურის უფროსმა **ზ. კაპანაძემ**, ქალაქის მერმა **ვლადიმერ ზედგინიძემ**, კერძო სკოლა ,,მზექას“ დირექტორმა **ბელა კაპანაძემ**, სახალხო მთქმელმა **ვასილ კვინცხაძემ**. განხილულმა საკითხმა დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია და, ერთგვარად, როგორც იტყვიან, ,,მამათა“ და ,,შვილთა“ პოლემიკაში გადაიზარდა. დასამახსოვრებელი იყო ახალციხის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეების – **თამარ კიკნაძის, გიორგი გრიგალაშვილის, მარიამ მაკარიძისა** და **ანა შუბითიძის** გამოსვლებიც.

შეხვედრის ორგანიზატორი და წამყვანი იყო **ლილი აჩელაშვილი**.



*

ახალციხის ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ინტელექტუალური შეჯიბრი – რა? სად? როდის? რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქ ახალციხის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა.

კონკურსი გაიმართა სამ ეტაპად. კითხვების უმეტესობა ქართული მხატვრული ლიტერატურიდან იყო შერჩეული. ფინალში გავიდნენ პირველი და მეორე საჯარო სკოლები (39-38 ქულებით), ხოლო ბლიც-ტურში გაიმარჯვა შოთა რუსთაველის სახელობის I საჯარო სკოლამ.

კონკურსში მონაწილე ყველა მოსწავლე დაჯილდოვდა სიმბოლური საჩუქრებით, ხოლო გამარჯვებულ გუნდს გადაეცა სპეციალური თასი.

ღონისძიებამ საკმაოდ მეგობრულ და თბილ ატმოსფეროში ჩაიარა და მუსიკისა და ფეიერვერკის ფონზე სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს.

ღონისძიების ორგანიზატორი იყო ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი **ნაირა გოგოლაძე**, ხოლო წამყვანი – ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი **თამარ კიკნაძე**.

ლილი აჩელაშვილი



# დიდი მესხეთი და ქალაქთა მაშენებელი მუსხი: მცხეთა, არსენ დიდი და ქალაქი ვალე

◄დასაწყისი გვ. 9

კოსმა ვახტანგ ბერიძემ, გამოიკვლია ასომთავრული წარწერა, რომელიც მოგვითხრობს დედისიმედ ათაბაგის მიერ 1561-1564 წლებში ვალეს ეკლესიის აღდგენის ამბავს. საფიქრებელია, – რატომ აღადგინა დედისიმედ ათაბაგმა სწორედ ეს ეკლესია? თავად დედისიმედი იყო გვარით მუხრანბატონი, იგი გახლდათ ქეთევან წამებულის ღვიძლი და. დედისმედი შეუყვარდა ათაბაგ ქაიხოსრო ჯაყელს და მისი ხელი სთხოვა მუხრანბატონებს. ჯაყელებთან დამოყვრება დიდი პატივი იყო მუხრანბატონებისათვის. დედისიმედი გახდა ათაბაგთა დედოფალი და თავად ათაბაგი. როდესაც ქაიხოსრო ათაბაგმა სული დალია, დედისიმედი მართავდა სამცხე-საათაბაგოს. ჩემი აზრით, მისთვის მისაბაძი იყო დედოფალი კრავაი, რომელიც, მირიანის გარდაცვალების შემდეგ, ასევე დამოუკიდებლად მართავდა სამცხეს. თითქმის 650 წელი აშორებს დედისიმედ ათაბაგს კრავაი დედოფლისაგან. მაგრამ რა არის 650 წელი, თუ გვაქვს იდეალები და ინფორმაცია. როგორც ჩანს, ჯაყელთა სახლი მკაცრად აღწერდა საკუთარ ისტორიას და აცნობდა შვილებს მის ხასიათს, რაც მუდამ მისაბაძი იყო ყველა სხვა საგვარეულოსათვის.

– საინტერესოა, საიდან იწყება ჩორჩანელ-ჯაყელთა სამწერლობო ინიციატივები, ბატონო ვახტანგ – ვეკითხები ჩემს საინტერესო მთხრობელს.

– სწორედ არსენ დიდმა, მცხეთის კათალიკოსმა, სათავე დაუდო ჩორჩანელ-ჯაყელთა სამწერლობო საქმიანობას. არსენ დიდს ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული ძეგლი – „მოსახსენებელი აბიბოს ნეკრესელისა“, რომელიც ეწამა სპარს დამპყრობელთა მიერ ქართლში მე-6 საუკუნეში. ძეგლს ეწოდება - „შესხმაი და მოსახსენებელი წამებისაი... აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაი, რომელიც ეწამა ცეცხლის მსახურთა მიერ ქართლს, თქმული არსენ დიდის, ქართლისა კათალიკოზისაი “. ეს ნაწამოები სავსეა როგორც დიდი ლიტერატურული ღირსებებით, ასევე, იგი სავსეა ფილოსოფიური ძიებებით.

– დიდებული პიროვნება ყოფილა არსენ დიდი, ბატონო ვახტანგ, მისი სხვა ნაწარმოებებიც ხომ არ შემოგვინახა ისტორიამ?

– დიდმა არსენ ჩორჩანელ-ბაჰლაუნდ-ჯაყელმა კიდევ ერთი ცნობილი ნაწარმოები შექმნა, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა. არსენ I-ს ეკუთვნის პოლემიკური თხზულება „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“, რომელიც განსჯის ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი ურთიერთობისა და განხეთქილების მიზეზებს, ასევე მიზნად ისახავს ამ დიდი „განაყოფის“ პოლიტიკურ-სოციალური და დოგმატიკურ მიზეზების გარკვევას.

– ბატონო ვახტანგ, დიდ მადლობას გიხდით დახმარებისათვის, თქვენგან დიდი ინფორმაცია მივიღე და, ასევე, თქვენ მიერ შედგენილი და ჩემთვის გამოგზავნილი ქალაქ ვალეს ისტორია, მომავალში აუცილებლად გამომადგება ჩემი ისტორიულ-დოკუმენტური რომანის – „ჯაყელთა 1000 წლის “ მთავარი იდეის გასავითარებლად.

ამ სიტყვებით დროებით დავემშვიდობე მესხეთს, მის ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას, ბატონ ვახტანგ ზაქროშვილს და თბილისში დავბრუნდი.

## ფოლკლორი

***
სწორად ვუთხარ,–
მეტი რაღა მეღონაო,
სიმართლის თქმა
ბრიყვსა წყევლა ეგონაო.

***
ცხოვრებისთვის
ბრძოლა გმართებს,
სიცოცხლესთან ჭიდილიო.

***
ვის არ ხიბლავს სილამაზე,
ვინ ახსენებს ვაჟკაცს ავად,
ყველაფერი მიდის-მოდის,
სახელი კი რჩება თავად.

*სიმონ აფრიამაშვილი,*
*სოფელი არალი, ადიგენის რაიონი,*
*81 წლის*

***
რძალმა დედამთილი ცემა,–
ეს რა გასაკვირიაო,
ერდო-ბანიდან ისროლა,
დაუდუმნა პირიაო.

***
ბანზე ლაყბობდნენ ქალები,
ვარდობის ლამაზ თვესაო,
რას გვიზმნენ ბერიკაცები,
აცანცარებენ წვერსაო,
აფსუს, ჯეელო ბიჭებო,
ხელი მოგვხვიეთ წელსაო.

***
ვერ მამკლამ, არტაანელო,
ხმლით ვერ დამატყობ ნიშანსო,
ჯერ კიდო ჯანმაგრადა ვარ,
გაჭმევ უმწიფარ ქვიშნასო.

***
ხვანაში ცივი წყალი ვსვი,
უდე-არალში მაჭარი,
ურიას ჰკითხეს: ვინა ხარ?
– შენ დაგენაცვლე, – ვაჭარი.

***
ერთი ბათმანი ქერი მაქვს,
ჯაყის წისქვილში ჩამოფქვი,
ნახევრად მინდი წამართვეს,
საყვედურიც კი ვერა ვთქვი.

***
ვიყავ ხარების წაფელი
თავს ყაბალახი მეხვია,
ბევრი ურჯულო გავყუყე, –
ღრანტოებს გადმიჩეხია.

უდეში არვისთვის მითქვამს,
ანდა რა დასაკვეხნია?
ღმერთი გაუწყრეს ტრაბახას,
ერდოს დაეცეს მეხია.

***
თათრებს რომ მედგრად დაუხვდეს,
ხვანელის შესაფერია,
ვისაც თათრები აშინებს
ამსოფლად არაფერია.

ვერ დამაშვენებს აბჯარი,
არც არსად წასასვლელია,
კაცად არავინ არ იტყვის,
არც ჩალად ჩასაგდებია!

***
ბიჭი ვარ ჯაყისმანელი,
ტყის ღორი მოვკალ ისრითა,
უცებ გაავდრდა, გაწვიმდა,
ტყე შეიმოსა ნისლითა,
ურჯულოც თავზე დამესხა,
ცოტაოდენი ჯარითა,
თითოჯერ თოფი მესროლეს,
ვერ მაჯობებდნენ ჯანითა,
მეც მხოლოდ ერთი ვესროლე,
სისხლი ვადინე ღვარითა.

***
ფორნიკარელო სიმონა,
სტუმრად ხშირია ტყისაო,
ბუნაგში დათვი მოუკლამს,
ტახს მოამტვრევდა კბილსაო,
მალი-მალ ხმალსა ლესამდა,
ბედისწერა ვარ ტყვისაო,
თავებს დავაჭრი თათრებსა,
როგორც მაჟალოს ტყისაო.

***მთქმელი ოსიკო (იოსებ) გიქოშვილი, ახალციხე, სოფ. ივლიტა, 83 წლის. ჩაიწერა სოსო გიქოშვილმა***

## ჯავახური თურქულენოვანი გამონათქვამები

*
წყალი მოვა, ქვას მოხვდება, წყალი წავა სილა დარჩებაო.
*
ქვა გაისროლა, კლავი ეტკინაო.
*
მე ბატონი, შენ ბატონი, ძროხები ვინ უნდა მოწველოსო.
*
ამ მზის თოვლი მე ვარ, მზე რომ მომხვდეს, არ დავდნებიო.
*
დედა რა არის, შვილი რა იყოსო.
*
სისხლი გაშრა, სული ამოსვლას იწყებსო.
*
დედა არ მყავს იტიროს, და არ მყავს ძვირფას თვალიდან ცრემლი ჩამოყაროს, ძმა არ მყავს საფლავზე ქვა დამადოს, ერთი ღერი ყარიბი ვარ ჩემი საფლავის ქვისთვის.
*
პირით რომ მოვითხოვო, რიღათი უნდა ვჭამოო.
*
წავიდა ვარდი, წავიდა ბულბული, გინდ იცინე, გინდ იტირე, ბოლო მაინც სიკვდილიაო.
*
წავიდა, თქმა აღარ უნდა.
*
ჭერმიდან დუდუკი არ გამოვაო.
*
უილბლოდ ლუკმა არ შეიჭმებაო.
*
ერთი ჭამს, მეორე უყურებს, – საცოდაობა დატრიალდებაო.
*
ცოდვა თავიდან მოდისო.

მთქმელი ***შუშანა დაელაშერიძე***, 82 წლის,
დაბა ასპინძა, ჩაიწერა ***ავთანდილ ბერიძემ***
2017 წელს

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ პრესის გარე გამავრცელებლებთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო:
დურმიშხან ბერიძე, რამაზ ბერაძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.meskheti@gmail.com
lit_meskheti@yahoo.com